

ქვეყნური ბიბლიოთეკა

# ივერია

1884

№ № V II & VIII, ივლისი და აგვისტო



თბილისი.  
ექვთიმე ხელაძის სტამბა.  
1884

შინაარსი:

- I. ლელია, რომანი ეოტე ზანდისა, თარგ. კნ. ნ. ჯრისთავისაგან (დასასრული) . . . . . 3
- II. პროტესორი პატკანოვი და ქართულის ისტორიის წყაროები დ. ბაქაძისა . . . . . 54
- III. საანდაზო ლექსები, ამოკრუთიანი აკუფუვის-ტუ-ოხსნიდამ, ქეილა და მანიდამ და გუჩაძისანი-დამ (დასასრული) . . . . . 65
- IV. ქართველთ საერთო ენის ფილოლოგიასა და ლექსიკოგრაფიასედ. (ფილოლოგიური ესკიზები), ა. გრაქენისა . . . . . 105
- V. ხილად (კიდიო-კიდექე) მშვიდობიანობისა და თავისუფლების კავშირის (ლიგის) კრების (კონგრესის) სხდომები შვეიცარიაში. — სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარი — გერმანიელთა და ფრანცუზთა სუსტი მხარე ანუ აღზას-ლორენი — ნაღბთა-შორებრივი საექიმო კრება დანიაში. — მასტერის სიტყვა. — ახალი ფარ-ხმალის ცოფისა და ციფების წინააღმდეგ. — ქართველ მოუტეხიდან უცხო ენებზე თარგმანნი. — გრათ ბობრინსკი, მეუნარგია, ლეისტი და თბორუევსკი. . . . . 110
- VI შერიშენები ჩვენს ცხოვრებასა და ლიტერატურაზედ: ჩვენი მდგომარეობა. — ჩვენი ბუნების სიმდიდრე და

# ივერია

საოლითიკო და სალიბერატორო  
ქუჩნალი

6047

წელიწადი გერვე

№ № VII & VIII



თბილისი

უკვეთიბე სვლაქის სვამბა, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე  
1884



Дозволено цензурою. Тифлисъ, 6 Юля 1884 г.

## შ ე ლ ი ა

რომანო

ჟორჟ - ზანდისა

(დასასრული) \*

### XV

ტრენმოკს უყვარდა ქვეითად მოგზაურობა, მაგრამ სტენოსათვის დაიჭირა ეკიპაჟი, რადგან იმას აღარ შეეძლო სიარული. სტენიო ერთხელაც არ დაეკითხა, სად მიჰყავდა მას იგი, მხოლოდ თვალთათვის საამო სანახაობანი, რომელსაც მათი გზა წარმოადგენდა, გამოიყვანდა ხოლმე მას ხანდისხან ჩაფიქრებისაგან. მაშინ იმას ეწვეოდა უწინდელი ენტუზიაზმი და პოეზიის ნაპერწკალი. თუმცა ამ ნაირად ჭყუეტჰავდა მისი სიცოცხლის ნაღვერდალი, მაგრამ ტრენმოკმა შეამჩნია, რომ იმისი ნიჭი შესანიშნავად დამცირებულყო; იმის თავში არც ერთი გამოკვლეული ნათელი იდეა არ იყო, თვით მესხიერებაც კი როგორღაც დაღატობდა.

ერთხელ იმათ დააღამეს თერმში, და დილას, გამოდვი-

\*) «ივერია» № № 5 და 6, 1834 წ.

მებისას, სტენიომ ტრენმოარის ნაცვლად თავის გვერდით ნახსადრინდელი ნაცნობი ედმეო, რომელიც არ ენახა მას შემდეგ, რაც ლეოანს სახლიდგან გამოვიდა. ოდესმე იმასთან შეგობრულად იყო, მაგრამ ესლა სრულებით გულ-გრილად და თითქო დაცინებითაც შესვდა; ედმეომ არ მიაჩნია ამას უურადლება და დანაქარა, რომ წასულიყვნენ ტრენმოართან, სადაც იგი ელოდა მათ. სტენიომ არც კი გამოჰქვიტისა, სად უნდა წასულიყვნენ, ისე მტონარედ გამოუცხადა სრული თანხმობა წასვლისა, საითკენაც კი წაუძღვებოდენ, და ედმეომაც წაიყვანა ქვეითად სადღაც უაღ ადგილებში, სქელ ტყეებსა და ჭაობებში. საღამო უამრედ მივიდნენ ისინი ძველს, ფეოდალურ დროინდელს ნახევრად დანგრეულ კოშკთან, რომელიც ობით იყო მოცული და დაზავებული.

— რა დაღვრემილი ადგილია, თითქო საზერობილიაო! შენიშნა სტენიომ, გალაკანს რომ შევიდნენ: — ვინ სცხვარობს აქა?

— ვალმარინი, უზასუსა ედმეომ.

სტენიო შეერთა ამ სახელის გაგონებით; მაგრამ ერთი წამის შემდეგ, ციკად უთხრა:

— ეს რომ შარშან ყოფილიყო, მე დაგიმადლებდი შენ, მაგრამ ესლა სულ ერთია ჩემთვისა.

ედმეომ არა უზასუსა-რად და წაიყვანა იგი ბნელს და მიუწეებულს ეზოში, რაღაც თაღებიან დერეფნით, რომელსაც კაცი შეჭყავდა მრავალს დაცალიერებულს და ციკს ზალებში, მხოლოდ მთვარის შუქით განათებულებში. ბოლოს, ისინი მივიდნენ დიდს დაკეტილ კარებთან. ედმეომ განსვკებულად დაარაკუნა. მაშინ მერე მხარეს გასწიეს საკმელი და მას ჰკითხეს ნიშანი. იმის პასუხის შემდეგ კარები მამანვე გაიღო, სტენიო და ედმეო შევიდნენ უზარმაზარს განათებულ

ზალაში, რომელიც მთლად სავსე იყო წინდების ალკაზმულ-ობით. დიდი კრება იყო იქ...

გარნა, როდესაც დაიწყო ბჭობა იმაზედ, მიიღონ სტენიო თუ არა, ზოგერთი პირნი წინა აღუდგნენ მისს მიუბას, და თხოულობდნენ, რომ იგი ჯერ ჩვეულებრივ გამოეცადნათ. ამ მოწინააღმდეგე პირებს ეკუთვნოდნენ მომეტებული ნაწილი დიდ-კაცთა შვილებისა, რომელთაც სტენიო იცნობდა საზოგადო ცხოვრებაში და თვით ზინზოლინას სახელშიაც; იმას სწყინდა და გუფს აკლდა, რომ თვით ის პირნი, რომელთაც პირად იცნობდა, ესე უნდობლად ეპურობიან მას. თავსმჯდომარე მჭკითხა, ვინა მჭყავდა მიმჭმეულად, სტენიომ არ იცოდა, რა პასუხი მიეცა, ედმოი ძალიან ემაწვილად მიანდა ამ როლისათვის. მაშინ კრებიდან წამოდგა ტრენმორი და გამოაცხადა, რომ ის არის პასუხის მგებელი და თავდებობს მას თავის-თავით, პატიოსნებით და ქონებით.

ამ სიტუებმა სტენიო დიდად ააღუჯა და თავის დამდაბლებად შერაცხა, რადგან იმის მხარის დამჭერი მხოლოდ ერთი კაცი იყო და ისიც კატორგაში ნამყოფი. ვინ იცის, იქნება ამ ყრდილობაში ტრენმორის წარსული იცის ვინმე, აღამაღლეს აქ ხმა და გამოააშკარავოს? ამ ფიქრის თავში გაუღებზაზედ სირცხვილისაგან თუკმა გადაჭკრა. მაგრამ რა რიგად გაოცებული დარჩა, როდესაც ერთი ტრენმორის დანახვით უკლას თავები დაიხარა და უკლამ გამოიშვირეს თითები ნიშნად თანხმობისა.

სტენიო მიუბრუნდა ერთს იქ მყოფს და ცნობის-მოყვარულობით მჭკითხა მას, რა ადგილი უჭირავს ამის მიმჭმეუკს ამ კრებაში და ასე რისთვის ემორჩილებითო? იმან შესედა მას განცვიფრებულმა და წარმოსთქვა კრებისაკენ:

— გესმით, რა საოცრებაა! ეს არ იცნობს იმას, ვინც თავ-  
დაუბად დაუდგა, არ იცნობს ვალმარინოს!

— ვალმარინი? შეჭყვირა სტენიომი:— მაგას ხომ ტრენმოარი  
ჭკვიან?

— ტრენმოარი, ვალმარინა, ანსუემ—სულ ერთი არ არის,  
რასაც უნდა უძახოდნენ, უზასუსეს სტენიოს ახალმა მოძიებმა:  
— ჩვენში იჭმეკეს ეგ ვალმარინოს, მაგრამ არც ეგ არის მა-  
გის ნამდვილი სახელი. ჩვენც არ ვიცით, ვინ არის ეგა; მხო-  
ლოდ ეს ვი ვიცით, რომ ჩვენზედ ნიჭიერია, ხეჩიანი და  
უგელაქედ პატროსანი; ყოველს მსხვერპლს კისრულობს!  
თავი უნდა მოგწონდეთ, რომ მაგისთანა კაცმა გადიცათ  
მიჩქმა.

თავსმჯდომარის ხმამ შესწყვიტა ეს ღაზარაკი. წინამძღო-  
ლის ასარჩევად, ყველა ნაკურთხებს იწვევდნენ. კედლიდამ ჩა-  
მოიღეს ერთი თუჯის ჩაჩქანი და ჩაყარეს სასულ-დაწერილი ბა-  
რათები. ხმის უმრავლესობით აღმოჩნდა, რომ ვალმარინი ამო-  
იჩიეს.

— მადლობას მოგახსენებთ, სოჭვა ვალმარინმა და წამოდგა:  
— რეგორც მოგახსენებათ მესამედ ვაცხადებ უარს; იმისათვის  
რომ ჩემი წარსული ცხოვრება შეუბღაღავი არ იყო და შესამ-  
ღებელია შემდეგ მოტყუებაში ჩამომართვათ.

ყოველ მხრიდან მოისმა წინააღმდეგი ყაყანი.

— შეურაცხ-ყოფას ნუ მოგაკაყენებ ვალმარინ, დაიწყო კლავ-  
რა შერთულმა მოხუცმა:— ჩვენ გარდაწყვეტილებას ნუ შეუერ-  
თებ საზოგადო გარდაწყვეტილებას. რა საქმე გვაქვს ჩვენ შენ  
წარსულთან?

ვალმარინის სასუ სვედამ შეჭმუნა; იჭენეულობის დიმილი  
ერთოდ მის ტუჩებზე.



— გამიგონეთ, ძმანო და ამხანაგნო, სთქვა მან:— მე ნამდვილად მჯერა, რომ მაგას წრფელის გულისთ ამბობთ, წუთის ზედ მოქმედებით, მაგრამ თქვენც კაცნა ხართ და თქვენი აზრი შეიძლება შეიცვალოს. თქვენ ცოტად თუ ბევრად ეგუთვნით საზოგადოებას, მე თქვენ შორის განსუთქილების მიზეზად არ მინდა გავხდე, ამისთვის რომ ვიცი ბოლოს თქვენვე დაიწუბობთ დრტინვას იმაზე, რომ სასულ-გატესილ კაცის ხელ-ქვეითები იყავით.

ეს სიტყვებიც წინააღმდეგობით მიიღო შეუწილმა კრებამ, ტრენმოკმა მანც დამშვიდებით განაგრძელა:

— მე კატორგაში ნამყოფი ვარ, კაცის კვლისათვის ვიყავი გაგზავნილი. თქვენში ჩემისთანა აჩავენ ურევია და ამისათვის უარ-ვჭყეოთ თქვენს წინამძღოლობას. ამას გარდა მოკალედ ვრაცხს ჩემს თავს, ავიხსნათ თქვენ ჩემი სიმიდრის წყარო, რომ აქაც საეჭო რამე და გაუგებარი საქმე არ შემოგვეპაროს...

— ნება მომეცით, მეც მოგახსენოთ! შეჭვივია ედემომ და წინ წამოდგა. ყველანი განცვიფრებულნი მიუბრუნდნენ იმას,

— ეს ციხე-ღარბაში, დაიწყო მან:— ეგუთვნოდა, როგორც მოგესხენებათ, ბიძა-ჩემს, ამ მხარეზე უმიდრეს მებატონეს. ის იყო ფილოსოფოსი, მეგობარი ალფიერისა, რუსოს შეგირდი, კეთილ-წარმატების მომხსენი; იმას ჰქონდა სურვილი და იმედი: გაებნეინებინა თავისი მშობელი ქვეყანა. ერთხელ იმას ესტუმრა გზად მიმავალი, მშობელ ქვეყნიდან განდევნილი. ისინი შეიყარნენ, დაიწყეს მუსაიფი, საფუძვლიან წესებზე, ზნეობრივ და კაცობრიულ სიძნობელზე და როდესაც განდევნილი აზიარებდა წასვლას, სახლის ჰატრონმა დაიშატოყა და დასტოვა თავისთან. სამი თვის შემდეგ ბიძა-ჩემი მოკვდა და რადგან მე ჩემი საკუთარი შეძლება მქონდა, ამაცილა თავის საცხოვრებელი და

უნდერძა განდევნილს თავის ციხე-დარბაზები, მიწები, მამულად და ფულები. იგი შევიდა მთელბელობაში, გააუმჯობესა მამული, გარდაიხდა გადასახადი, ეკელა წესიერებაში მოიყვანა, წლის თავზე მოვიდა ჩემთან და ჩამაბარა ციხე-დარბაზის გასაღებები და ძამულის შემოსავალი, მთხოვა მხოლოდ წილი და მდო რამე შევიწროებულ მოძმეთ შესაწევნელად.

აქაც კალმარინმა სიტყვა ჩამოართვა კდემოს.

— ძელა მრჩება დავასრულო ეს მოთხრობა, სთქვა მან:— კდემომ დასტოვა ჩემს ხელში მრთლად სიმდიდრე, განონიერი თავის საკუთრება; ამისი მადლობელი უნდა იყოთ და არა ჩემი, რაც რომ სამსახური გაგიწიეთ. აი რა ფულებით ვეწოდები მე ჩვენ მოძმეთ. ამასთანავე ისევე ჩემს გარდაწვევტილებასვე ვადგეარ და თქვენს უფროსობას არ ვგისრულობ.

ამ სიტყვას თქმასუდ, ტრენმორი ადგა და კრება პატივისცემის დუმილით ორად გაიყო და მისცა გასაკლელი გზა.

დანარჩენი მოლაპარაკებით ზომიერება იხმარეს წინად ნათქვამი საქმის მარჯვად დასაბოლოებულად.

შემდეგ ამისა კრების წევრები გამოესალმნენ ერთმანეთს, წავიდნენ სხვა-და-სხვა გზით ლუეში, ზოგი ცხენით, ზოგი ქვეითნი და ძველი ციხე ხელახლად დამარტოვდა და მიუჩრუდა.

## XVI

ერთის წლის შემდეგ, სტენიო ისევე იმ მთასუდ, ისევე იმ ადგილებსუდ დაიოდა, რომელნიც იყვნენ მოწამენი იმის გადარეული-სიუკარულისა და მწუხარებისა. თუმიცა ამ ერთი წლის განმავლობაში დიდი მწუხარება გამოიარა და იმის ჭრილობანი ჟერ არ

გამროლებულიყენენ, მანც გასაღება დაეტყო, ამისთვის, რამდის გამოკლილი დეკანო და განწირულებანი გამამხსნეებულ წამლად შეეცო. გარყენილმა ცხოვრებამ იქამდისინ ჩანთქა იმისი-ანსება, რომ წინანდელ ზნეობრივ სიმაღლეძე აღარ შეეძლო მიღწევა; დაფანტვა და დაღუპვა ამხანაგებისა, რომელთაც კერ შეუსრულდათ თავიანთი დაწყობილი განზრახვა, იმდენად საინტერესოდ არ მიაჩნდა, რომ იმისი აზრები გაერთო, თუძცა მამაცურად იბრძოლა იმათ წრეში და არ ზოგავდა თავის სიცოცხლეს. გათავდათუ არა ბრძოლა და ზიკადის საშიშროებამ განვლო, იმან აღარ იცოდა თავისი თავისუფალი დრო რით გაეტარებინა, და ხელახლად იზიდაძდა თავისაკენ ის ცხოვრება, რომელსაც შეახვია ზუღხერამ.

ნაცნობ ალაგების ნახვაზედ, ლელოს მოგონება და ის გარემოება, რომ მან უარ-ჭყო იგი, სიმწარით უვსებდა გულისა. სრულებით კერ გამოეცნო ლელო, არ ესმოდა, რატომ არ კმაყოფილდებოდა ფუფუნებით და თსოულობდა გრძნობას, დამყარებულს პატარის-ცემასა და რწმუნებაზედ. თუძცა ლელოს სხვა დედა-კაცებზედ ძალა აყენებდა, იმას კი არ უბოლობდა, რომ ბუნებრივის კანონის ძალით, დედა-კაცი მამა-კაცის თანასწორია.

დედა-კაცების მდგომარეობას ხედაძდა და არ უნდოდა მიუდგომლობით გაერკვია იგი, არ უნდოდა აღიარებინა, რომ თუძცა დედა-კაცი მახინჯად იზრდებინა, მანც მათ შორის იპოებოდა განსხვავებულნი პარნი და სწორედ იმ განსხვავებულ პირთ ხედებათ ხოლმე წილად იმ დამდაბლების ატანა, რომელსაც სხვები ვერც კი გრძნობენ. ლელოს უბედურება იმაში მდგომარეობდა, რომ მრთელი საუკუნით ადრე დაიბადა და ჭკეყანაზედ. თვით ტრენმოცსაც კერ გამოეცნო იმის გა-

უგელველი მდგომარეობა. ლელამ იცოდა, რომ დედა-კაცების თავისუფლებას არასოდეს არ მოესწრება.

წინარ-წინარა, ტყეს შეუღლილი სტენიო კარგა შორს მთაში მოულოდნელად შესვდა ერთს კაცსა, რომელიც კინა-ღამ მოჩვენება ეგონა.

— ვაღმარინა! შეჭყვირა მან:—თქვენა გხედავთ?.. მე თქვენ შვედრებში გთვლიდით; საიდან გაჩნდით აქ?

— მე ჭარ კიდევ ცოცხელი ვარ, უზასუხა ვაღმარინო:— მავრამ ვუკვან დაძებებ და ჩემი პოვნისათვის დანიშნულია ფასი. შენზედ ვიცი, რომ ბედნიერის შემთხვევით, არ ჩავარდნილხარ საუკვო ხალხის სიაში, ამისათვის შენს თავს გაუფთხილდი. მშვიდობით.

— თქვენ საპოვნელად დანიშნულია ფასი და თქვენ აქ მოსულხარ, სადაც ვუკვანი გიცნობენ? უზასუხა სტენიო:—ეს რას ნიშნავს?

— ეს იმას ნიშნავს, რომ მე მსურს ერთი ქალის ნახვა. თუ ღმერთი გწამს, სტენიო, წადი შენს გზაზედ. თუ ჩვენ ერთად გვინახეს, დაიღუპები.

— მე ასე ვერ დაგანებებთ თავსა, სთქვა მან:—მე გხედავთ რომ დაღალული და ავად-მყოფი ხარ, თქვენ ჭრილობა ეს-ლა ხანს მოგვიჩინო, თქვენი აგრე უპატრონოდ დატოვება არ შეიძლება—უბინადოდა ხარ, წამოდიოთ ჩემთანა.

— მე აქ ახლოსა მამკს ბინა, უზასუხა ტრენმორმა:—ჩემთვის ნუ შიშობ და შენს თავს ტყუილად საფრთხეში ნუ აგდებ. შენც იცი, რომ მე არა ეზოგავდი ჩემს თავსა, რომდესაც საჭირო იყო სამართლიანი საქმის დასაცეკლად, გაუჭირებლად განსაცდელში შენი თავი რად უნდა შეიყვანო, თავად ერთმა კაც-

მა გამბედაობა იხმარა და შემეგრდომა თავისთან; ჰასუსხის კებაში მეორე წაღად უნდა ჩავაგდო.

სტენიომ მანც არ დაუჟჟა დაწიგება და მიაწილა განდგილის მღვიმეს კარებამდინ, რომელთანაც იმალებოდა ტრენ-მორი. ის მღვიმე, გამოქვაბული მაგარ კლდეში, სრულებით იმალებოდა ლიბანის ნაძვის სქელ ფოთლებში და ერთის მხრით საშინელ ფლატოს მიჰქრდა, რომლის ძირშიაც შეგუბებულყო ტბასავით წყალი. ამ ტბის უძრავ წყალზედ ირყოდნენ გიგანტური ლოტოსას ფოთლები და იმათ ძირს შემოხეოდა მწვანე იჭიდნე გველები. ჰატარა ყვეთელი კლდის ჟოჯოებს და ბაყაყებს. ფოთლებს შუა სთვლემდათ მზეზედ, არავისაგან შეწუსებას არა შიშობდნენ. ტბის ზედა ჰირი მცენარებისაგან მწვანე მინდორს. ისე მიეგზავსებოდა, რომ სტენიოს უნდოდა იქ ჩამსტარიყო, მაგრამ განდგილმა საჩქაროდ დაიჭირა იგი.

— მოითმინეთ, მოითმინეთ! სთქვა მან:— მაგ ბალახსა და ყვავილებ ქვეშ დასაღუშავი ადგილია. ამაო წუთი სოფლის სამოკნებათა ნამდვილი გამომხატველია ეგ ტბა.

— თქვენც გამოგიცდიათ, ჰატი-ცემულო მამაო? უზასუსა სტენიომ, ჩაწინვით: მან თქვენც გრკებიანთ ფუფუნების ტალებში ცურვა?

— როდესაც მოციქულმა პეტრემ სცადა ზღვაზე სიარული, დაიდრჩობოდა უთუოდ, უფალს რომ არ მოეკიდნა ხელი და გადერჩინა, უზასუსა განდგილმა.

— მაგისათვის თქვენც უმჯობესად დაინახეთ მოშორებოდით მაცთუნებას? განაგრძელა სტენიომ:— გასაკვირველია, რომ თქვენ მაგალითად სწორედ ის მოწაფე ავილიათ.

განდგომილა აღარა უზასუსა-რა, მხოლოდ უფრო ძლიერ წახვავა თავის ბერულ კაპიშონში.

— რათა ჭყარამით ჩემგან თქვენ სასულს? უთხრა სტენიომ:

— მე ძალიან კარგად მასსოვს თქვენი ხმა: ჩვენ ადრეც შეგხედ-  
რივართ ერთმანეთს უკეთეს დროსა.

— დაახ, უკეთეს დროსა, განიმეორა მაგნუსმა, გარდაიდლო  
კაპიშონი და მელოტ შუბლსედ სელი გადაისვა.

— როგორ გამოცდილხართ! უთხრა სტენიომ: — უგანასკნე-  
ლად რომ მე გნასეთ, თქვენ გჭონდათ სქელი და შავი თმა:  
თქვენ სულ უმაწვილ-განად გამოიუყუროდით!

— რაში მინდა ის სიუმაწვილე! დასაღუზავად ტეპილეკა იგი!  
უზასუსა ბერმა გაჯავრებით.

— იმისთვის ხომ არ ამოობთ მაგას, წმინდა მამაო, უზა-  
სუსა სტენიომ დაჯინებით: — რომ თქვენში კიდევ ძლიერია იგი.  
მე დარწმუნებული ვარ, ერთს თქვენს ოცნებაში უფრო ბევრი  
სიუმაწვილეა, ხანამ მთლად ჩემს ასკებაში!

მღვდელი გაუკითხდა და მოშორდა მას.

— სტენიო, უთხრა ტრენმორმა უკადრებით: — სხვის ნა-  
ღუღეკვანებათა კირთად ატდება ამტეიტებს თქვენსავე სისუსტეს  
და არა ძალას.

— ეჰ! სიტუვა ჩამოართვა სტენიომ: — მე უთქვენოდაც ვიცი,  
რომ სუსტი, გარყვნილი და უენერგო ბუნება მაქვს! თქვენ-  
ოწნივ ძლიერები ხართ, გმიწნი და იდეასათვის წამებულნი!  
რა სულ-გრძელობაა თქვენის მხრით, რომ შემომკვებთ თქვენს  
სისრულეს? არც სულ გრძელობაა და არც გიჟობთ, იმისათვის,  
რომ შეიძლება მე შეკათურთხო მაგ თქვენს სულის სამდიდ-  
რეს... კარგად რომ გაგსწრავით თქვენი საჭმე, ტრენმორ,  
შეიძლება სულ ცუდის მხრივ ავხსნათ თქვენი გამარჯვება ჩამ-

ჭრად ფუფუნებაზე და აღსრულებულ სურვილებზე! თქვენ გი-  
მაგნუს, მრთელი თქვენი სიცოცხლე გაგიტარებიათ სოკრის-  
ტანჯვასა და გვეძში, მარსულობასა და ლოცვაში და იქამდი-  
სინ ვერ მიგიღწევიათ, რომ შეიძლოთ გულ-გრილად მოისმირ-  
ნოთ ერთი თქვენის ნაწინობის ქალის სახელი... თქვენ რომ  
ჩემსაკით მოქცეულიყავით, უფრო შეისრულებდით წადილს. მე  
იმდენი ვსვი ტრფობის ნეტარი, რომ ბოლოს სრულებით სა-  
ვაჭრე ჩემში ტრფიანობას ცეცსლი. ამ გვარად მოქცევა უფრო  
სწრაფია და ბუნების შესაფერად!

— უმაწვილო ვაცო, უთხრა მაგნუსმა თრთოლვარეს ხმით:  
—ნუ თუ თქვენ ფიქრობთ, რომ ღმერთი არ განაჩჩევს სოკ-  
რის მოკვდინების სსვა-და-სსვა საშუალებათა? განა თქვენ გგო-  
ნიათ, რომ ცრემლითა და ლოცვითა ჩვენი სული შეწყულებას  
არ გამოითხრავს განკითხვის დღესა?

— რითი იცით მერე? ჭკითხა სტენიომი:— აბა იფიქრეთ,  
მრთელ თქვენ სიცოცხლეს რაგორ ატარებდით? აუძლურებდით  
თქვენ ძალას, არღვევდით სიმრთელეს, იღუკვებდით გრძნობას  
და მაგაებით თქვენ მხოლოდ ერთს შედეგს მიადწიეთ—ნელ-  
ნელა თავის კვლას, რომელსაც სარწმუნოება მამაკვდინებულ  
ცოდვად რაცხს. მას რომელი-ღა საფუძველით იმედოვნებთ  
თქვენ, რომ ღმერთი შეგინდობთ.

— თუმცა ვსცდებოდი, სთქვა მაგნუსმა, დაღვრემილმა სკვ-  
დით:— მაგრამ ღმერთი იმას მაინც ჩამითვლის სამსასურში,  
რაც რომ ცხოვრებაში გადაძხდა და ჩემ წილ ნეტარებას მიწ-  
ყალობებს.

— რატომ დამშვიდებულდი და მოთმინებით არ ელით მაგ-  
წილსა და მხდალსაკით შიშობთ და განკალებთ? გამოგონეთ,  
ტრენმორე, მე ვიცი რომ თქვენ უფრო ფილანთროფოსა ხართ

და სტოიკი, სინამ ქრისტიანი; იყავ ჩვენ შორის მსაჯული: რომელს უფრო მომეტებული ენერჯია შეგვჩენია მე და ამაში?

— შენ უსამართლოდ სჯი მაგნუსზე სთქვა ტრენმორმა: — შენ გინდა დაამარცხო და შეურაცხ-ჭყო ყველაფერი, რაც შენ არა გგავს, ყველა, რასაც აქვს ძალა წინააღმდეგეს ტრფიალების ინსტიტუტებსა. მაგნუსში უფრო ენერჯიაა, ვიდრე შენში, სწორედ იმიტომ, რომ ის აქამდისინ აბრძვის, აქამდის იტანჯება და ჭსურს ესა თუ ისა. ამას სწამს მაინც და შენ კი არა გწამს ის იდეაც, რის გულისათვის სწირავდი თავსა? ნუ თუ სულ იმ ბრძოლაში, განსაცდელში, ტანჯვაში, — ყველამ განგლო შენთვის შეუნიშნავად და სსვა შთაბეჭდილება არა იქონია-რას, გარდა პანარამის სურათისა?

— ტრენმორ, უპასუხა სტენიომ პირ-მჭეშად: — მითხარით, რაში მამლეკო მე საყუდურსა? თქვენ მიბძანეთ საიდუმლოდ დათარგა — მე არ მილაღატნია; თქვენ ჩამომართვით ფიცი, მე იგი არ დამირლეკოა; თქვენ მომანდეთ საშიშარი საქმე, — მე ის აღვასრულე. ვიდრე რას თხოულობთ? მაგრამ თქვენთვის არც ეს არის სავარა; თქვენ უგულოდ გინდათ მაკისრებინათ თქვენი სარწმუნოება? რომელის უფლებით მასკვეთ თავს თქვენს რწმუნებას და იმელებს? თუ გსურდათ, რომ თანა-მოზიარე კუთფილვიყავ თქვენ რწმუნებაში, არ უნდა გაგებ საკნეთ იმ სა-შიშროების სახილველად, რომელიც არ ეთანხმება სიმართლისა და სიკეთის რწმენასა.

— ჭარბედ გადაგდებული მარცვალი მაინც კიდევ დაეცემა რომელსამე ნიადაგზედ, სთქვა ტრენმორმა: — შენ ტყუილად გგონია, რომ მე მინდა თავს მოგასვიო ჩემი რწმუნება: იმისათვის საჭიროა ძალა და შენში კი არ არის იგი.

სტენიომ არა უპასუხა-რას; რამდენსამე წამის შემდეგ, მან უჩუმ-



რად გაუწვდინა ხელი ტრენმოზს გამოსასაღებლად და წავიდა.

მთიდან ჩამოსული ის გაემგზავრა პირდაპირ ზულხერას სახლისაკენ. შუაღამე იყო და ზულხერა მარტო იჯდა თავის ბუდუარში, ტუალეტის წინ ღრმად ჩაფიქრებულად. სტენიოს დანახვასზედ, რომელსაც მკვდრებში სთვლიდა, შიშისაგან შეჭკივლა და უგონოდ დაეცა.

სტენიომ მხრები შეათამაშა, არც კი მიაქცია ზულხერას ურჩადლება და გაწვა მდივანზედ დასაძინებლად.

## XVII

წმინდა მარკამის მონასტერში ემზადებოდნენ დღესასწაულისთვის. ზარებსა რეკდნენ; ეკლესიის გარეუბი ურჩამდინ გაღებულნი იყვნენ და შიგნით არა ჩვეულებრივის სიმდიდრით იურძრთული: აღმოსავლეთის ხალებით იყო მოფენილი მარმარილოს იატაკი, ახლად გაშლილის ყვავილების გვირგვინებით ანგელოზებს თავები ჭჭონდათ მორთული და გვირგვინების ბოლოები სვეტებზედ დაშვებული იყო აბრეშუმის ფარდებზედა; ოქროს საცრცხლურებში იმეოდა საბრი და მური, რომელიც სურნელებით ავსებდნენ ჭავისა.

იმ დღეს იყო დანიშნული ერთის მორჩილის აღკვეცა და იმისათვის უზომო ხალხი მოგროვიდაყო. წამ და უწუმ ისმოდა მოსული ეკიზაჰების სმა; ყველა ეზოები ამისნენ გარეტებით, ცხენებით და მკვინიბებით.

იმ მღვლავარებისა და ხმიანობის ნაცვლად, რომელიც სასახლის გარედან იყო, შიგნით მონასტერში საფლავის მგზავნი დუმილი და საიდუმლოება სუფევდა. ნახდებით დახშულ გა-

რბებსა და შიშიელ ფარდებ ჩამოფარებულ ფანჯრებში არ შედიოდა გარედან არც შუქი და არც ხმაურობა.

მორთული ხალხით აიძრა ეკლესია; დიდ-კაცთ ქალებს დაეჭინათ ჩარდახი და მადლობა ადგილები, კაცების უმეტესი ნაწილი დარჩა ქვემოდ.

ტრენმორი შეუნიშნავად შეიშარა ეკლესიაში, ცდილობდა სასის დაფარვას და შეეკედლა ორ სვეტ შუა ფარდას ქვეშ. ტრემონის ღოდინში, უნებლიედ მოისმენდა რასაც გაქს ღაზააკობდნენ.

— არ იცით ვის აღკვეცავენ? ჭკითხულობდა ერთი ქალი.

— არა, უხვასუხვასა—საიღუძღოდ რჩება ესა, ვიდრე ასლად აღკვეცილი არ შეასრულებს აღთქმას. წმინდის მარიაძის კანონი უზომოდ სასტიკია მორჩილთათვის, თუმცა საზოგადოება ესწრება ტრემონას, მაგრამ ვერ ნახავს სახეს და არ იცის სახელი აღკვეცილისა.

— რაც გინდათ სთქვით; სიტუვა ჩამოართვა მეორე ქალმა: — მაინც სმა გამოვა საზოგადოებაში და გამოაშკარავდება, ვინც არის ეგ მორჩილი.

— ტყუილად ფიქრობთ თქვენ აგრე: სასულიერო კრებული უოველ ღონისძიებას ხმარობს, რომ არაფერი არა გავიდეს—რამხანსტრის კედელს გარედ: თვით მშობლებმაც არ იციან, როდის აღკვეცავენ იმათ ქალსა და ამ ხანად განსხვავებული ზომიერებაა მიღებული, რომ მორჩილის სასული ვერავინ გაიგოს; ზოგი ამბობს, რომ სუთი წყლიწადი არისო აქ გამოსადგელად; მეორე გვაწმუნებს, რომ მარტო რამდენიმე თვეა. ნამდვილია მხოლოდ ის, რომ საერთოდ უმადლესი სამღვდელეობა დიდად ცდილობს, უსათუოდ აღკვეციონ იგი, ამისთვის რომ იმის სიმდიდრე მონასტრის სასარგებლოდ შევას; თუ არ

ამის გულისათვის თორემ ბეჭი დამაბრკოლებელი მიზეზები ეჭმნებოდა ამის აღკვეცასათ.

— სულ სხვა-და-სხვა ხმებია მაგაზედ, შენიშნა კიდევ ერთმა: — ამბობენ რომ ეგ პრინციპს აჩის მეფის შთამომავალი; მე ისე მგონია, რომ გლავდია აჩის თავადის ბამბუხის ასული.

— აი ეგ უფრო დასაჯერებელია! იმას ხომ საბერძნეთის პრინცი პალაგო უყვარდა და ის გი უცხო ქვეყნულ ლელის წაჭყვა მექსიკაში.

— რა სიცრუეა! სიტუვა ჩამოართვა მეორემ: — ლელის ინკვიზიციის საპერობილეშია — ეს ნამდვილია! იმას კარბონარებთან ჰქონდა დამოკიდებულება.

— ეგ ტუფილია! ის მოჭკლეს ავანსკებმა მონტე-როზას სეობაში.

ორდანოს მიშენიერმა სმამ შესწყვიტა ეს ლაპარაკი და ზირკელ აგორდზე, ფარდა სამწირველს და ეკლესიას შუა განმყოფი, წყნარად გასწიეს და ეკლესია თვალათვის გამოჩნდა მონასტრის საიდუმლო შიგნითა მხარე. შიგნითა დერეფნები დამ გამოვიდა მოლოზების წრე, ორად გაიყვნენ და აქედით მხარეს დადგნენ. იმათი ტანსაცმელი იყო სადა, მაგრამ ანცივიფრებდა კაცს თავისის სიმშენიერით. განსპეტაკებულ თეთრს შესამოსელზედ ჩამოფარებული ჰქონდათ ყელიდგან ფეხებამდის აჯისფერი სამსრე — ემბლემა ქრისტეს სისხლისა; თავიდან იფხებამდის განვეუფლებენ თხელ თეთრს საბურველში და გრძელი შლეიფები მისთრევდათ დედა-მიწაზედ.

მათ შემდეგ მოსდევდნენ, ყმაწვილნი და ტანადნი მოწილნი უმანტიოთ და უსამსრეობოთ, იმათ ტუნიკების ქვეშ ტიტკულა ფეხები უჩნდათ, სანდალებ ჩაცმულნი; სასე სრულეობით დაფარული ჰქონდათ პირ-ბადებოთ.

როდესაც იმათ ყველამ დაინოქეს, გამოცხადდა ქალი აბ-  
 ბატი, მარჯვნივ სწინადაც და მარცხნივ დიაკონი მოლოზ-  
 ნები მოსდევდნენ. სანამ ის ჩაჯდებოდა ეკლესიის შუა მდგარ-  
 სავარძელში, მთლად მოლოზნობა წამოდგა და მდებლად თავი  
 დაუგრა. ის დრმად მოხუცებული იყო; იმის გულსეოდ ბრწყინ-  
 ავდა ოქროს ჯვარი, ხელში ეჭირა მსუბუქი ვეცხლის უვარ-  
 ჯენი, მშვენიერის ხელკონებისა. როცა იგალობეს *veni crea-*  
*tor*, ოდნავ ლამპობით განათებულ კიწრო დერეფნიდამ გამო-  
 ვიდა მოწიწი, აღსაკვეცად მომზადებული. აქეთ-იქით მოსდევ-  
 და მას ორი ქალი თეთრი ვარდის გვირგვინებით და ანთებუ-  
 ლი სანთლებით ხელში, წინ ორი ხუჭუჭი თმიანი პატარა ქა-  
 ლები, შუა საუკუნოების შესამოსლით ანგლოზებად ჩაცმულნი,  
 ოქრომკვდიანი ზედატნებით და თეთრი ოქრომკვდ-ქსოვილი  
 ტუნიკით და ბადესავით გაკეთებულ ფრთებით მსჭებუ. ამ ქა-  
 ლებს მოჭქონდათ კადატობით ახალი ვარდები და თითონ მოწ-  
 ილეს ხელში ზამბასი ეჭირა. ის იყო მადლად ტანისა, თუმი-  
 ცა პირ-ბადე თავიდან ფეხებამდე ჭქონდა ჩამოთვარებული, მაგ-  
 რამ კეკლეუცურ სიარულსა და მოძრაობაზე შეატყობდით მას  
 სილამაზეს. შუა ეკლესიასთან რომ მივიდა, დაინოქა საკვრდის  
 ბაღიშზე. მასმა ოთხმა თანამსლებლებმაც დაინოქეს მასთან ერ-  
 თან აქედ-იქით.

ამასობაში ეკლესიის მეორე მხარეს, შეიკრიბა მთლად  
 მინკლიტის სამღვდელთა თავიანთი ამალით. პრელატები  
 ჩასხდნენ საკვრდის სავარძლებში, მღვდლები მოუსხდნენ მათ  
 უგან, ვაზუტანებმა მოწიწებით მოადრევეს მუსხნი, პატრიარ-  
 ხი და კარდინალი სადღესასწაულს შესამოსელით წარმოადგნენ  
 წინა და წირვა დაიწყო. გათავების დროს უხუცესმა პატრიარ-  
 ხმა იქადაგა და ტყენმოცი გააკვირა შემდეგმა სიტყვებმა:

«როცა ურწმუნობა მრავლდება, ეკლესია გარეგანად და-  
რბობება, მაგრამ ნამდვილ დიდებულნი და კეთილ მოქმედნი  
სულნი სწორედ იმ დროს ეკლესიის წიადს მოატანენ, რადგა-  
ნაც იციან, რომ მხოლოდ აქ იპოვნიან ნუგეშის-ცემას და  
სულიერს საზრდოს.»

ტრენმორის წარბები უნებლედ შეიკმწივნენ და იმისი  
თვალები ჯაუტურ დაკვირებით დასტერდა მორჩილსა, თითქოს  
ჭსურდა დაბურვილ მოსასხმელში გაეგო მისი უღრმესი აზ-  
რები. მაგრამ მცირედი მღელვარების თრთოლვაც არ აჩსე-  
და საბურველის ნაკვეცებს, ისე უძრავად იდგა, რომ თითქოს  
ალებასტრისაგან არის ჩამოსხმულიო.

იმ დიდებულ წამს, როდესაც დაჩოქილი მორჩილი წა-  
მოდგა და წავიდა ხალხს შუა ჰატრიარხის ალაგისაკენ, შეუკავ-  
ბული ცნობის მოყვარულობის ხურჩულმა და მღელვარებამ გა-  
იბინა ეკლესიაში. ხალხი შეირყა, აირია, ასე რომ ცერემო-  
ნიისათვის მეოფე უანდარძები ორ-პირად უნდა დამდგარიყვნენ,  
რომ გზა მიეტათ მორჩილისთვის გასავლელად. იგი მოდიო-  
და წუნარად, უკან მოსდევდა მოხუცი მღვდელი და ბებერი მო-  
ლოზანი, რომელნიც იმის დედ-მამის მაგიერობას სწევდენ იმ  
დღეს.

ლელო მედიდურად ავიდა საკურთხეველის კიბეზედ. ჰატ-  
რიარხი, შემოსილი სამღვდელო შესამოსელით, ელოდა მას  
მჟღრომარე, კათედრასავით მომზადებულ მაღალ ადგილზე.

— რა გჭკიან? ჭკითხა მან სასტიკის და გარკვეულის სმით,  
რომელიც მკაფიოდ მოისმოდა ეკლესიაში საერთო სიჩუმესა  
და სულ-განახულ ღოდინში.

მორჩილმა შეისხნა ოქროს დიდი, რომლითაც თავზე  
საბურველს იმაგრებდა და იმავე წამს, უკვლავ, წაც მოსხმული

ჭკონდა, თავის-თავად ჩამოცვივდა ძირს და იგი წამოხდგა ბრწყინვალე საერო ტანისამოსით ყველას თვალოთვის, მარგალიტებით შემოხვეული უმძკენიერების შავი თმის ნაწნაკებით, თეთრი ოქრომკედლიანი გაზის კაბით, რომელიც აწეული იყო თეთრი კამელიის ყვავილებით. თუმიცა ღელავს საღსისაგენ ზურგ-შეჭრეული იდგა, მაგრამ საღსმა ფართო, თოვლსაგით თეთრ ბეჭებზედ, ამაყად მოღერებულ კისერზედ, ნარ-ნარ და შედიდურ მოყვანილობაზედ, ძალიან ადვილად იცნო იგი.

— მე მქვიან ღელავს აღმოკარ, სთქვა მოჩინი და ამ ხმის გაგონებაზედ ალექსებისაგან ურუხანტელმა გაურხინა საღსსა.

— ვინა ხარ, ქალწული, ქმრინი თუ ქერივი? ჭკითსა ზატრიაჩსმა.

ამ კითხვაზედ საღსში დაცინების ჩურჩული გაჩნდა, რადგანაც ყველამ იცნოდა, რომ ღელავს სამი წელიწადი თავადს იეროლამოსთან სცხოვრებდა დაუქორწინებულად, თუმიცა ცოლი კი არ იყო იმისი.

— მე არც ქალწული ვარ და არც ქმრინი საღსის კანონის მიხედვით, მტკიცედ უპასუხა ღელავს: ქერივი კი ვარ ღვთის წინაშე.

ამ გაბეჯულ ადვიარებაზედ, სამღვდელთა ძალიან შეკრთა, შეშინებული მოღერებთ შემწუნდენ და არ უფერებდნენ თავიანთს ყურს. საღსში დიმილი შესწუდა. მარტო ზატრიაჩსმა დამშვიდებით მოისმინა შეუპოვარი პასუხი.

— რა გსურს, შეიღო ჩემო? განაგრძელა მან: — რად გამოსცხადდი შენ ღვთისა მსახურთან?

— მე ვარ სასმლო იესო ქრისტესი, უპასუხა მან — და კთხოვლობა აგვეცხასა.

— გწამს შენ მამა ღმერთი და ძე მისი იესო ქრისტე, გან-  
კაცებული და ჭკარცმული ჩვენთ...

— მე ვფიცავ ალვასრულთ ყოველივე დოღმატი ქრისტიან-  
ული სარწმუნოებისა და სახარების სწავლა, სიტყვა ჩამოართვა  
ლელიამ და აღარ დაასრულებინა მას ლაზარაკი.

ამ პასუხმა, რომელიც კანონად არ იყო მიღებული, ხელ-  
ასლად გააოცა მრთელი ყრილობა; მაგრამ მოჩნილმა, დაუნი-  
დებლად განაგრძელა გამოკითხვის დროს უცნაური, კადნიერი  
პასუხების ძლევა, რომელსაც შიშით და გაოცებით მოისმენდა  
მცირე-სამღვდელოება. მაგრამ პატრიარსი და კარდინალი ბრძა-  
ნებლობის ნიშნებით წინააღმდეგობის გამოცხადებას უგრძობა-  
დნენ. თითქოს ყველა პირობას კისრულობდნენ ლელიასაგან,  
ოდონც კი ის აღკვეცაჲდ დათანხმებულიყო.

ლელიას გამოკითხვის შემდეგ, პატრიარსი საკურთხევე-  
ლისაკენ მიბრუნდა და მცირე ლოცვა წაიკითხა; ბოლოს ხელ-  
ში აიღო ოქროს სანაწილე ნაწილებით და მიაცილა ისეუ თა-  
ვის ადგილას მოჩნილი. სანაწილე დადგეს პატარა გადასატან-  
სამსხვერპლოჲდ, მოჩნილმა ხელმოკრედ მუსლი მოიყარა ამ  
გზობით ხალხისაკენ პირ-შეჭეუელმა.

იმ წამს, ერთი უმაწვილი-გაცი, რომელიც სვეტთან იდგა  
და მონაწილეობა არა მიუღია-რა ამ ცერემონიაში, უცბე თით-  
ქოს ესლა გამოფხიზლდაო, წინ წასადგომად წევა დაიწყო.

— შეხედეთ პოეტს სტენიოს, სთქვა ერთმა:— ღვინისაგან  
როგორ გაბრუნებულა!

— ოჰ, როგორ არ გესმისთ, დაიწყეს დედა-კაცებმა:—მა-  
გას სომ ლელია უყვარდა!

ამასობაში, მოჩნილი ერთს წამს მიეფარა და მალე გა-  
მოვიდა, ესლა უსამკაულოდ ჩანდული თეთრი შალის ტუნიკით.

წელზე თოკ-შემოკრული. გაშლილი სქელი თმა გადაჭყენოდა ბუტბუსე. ლეღიამ დაინოქა აბატის წინ; მოისმა მაკრატლის კრატუნნი და ის მშვენიერი თმა იატაკზე დაეცა; მასინ მოხუცი მოლოზანის სახესედა სიამოვნება გამოიხატა, თითქოს სხვის სილამაზის დაკარგვამ ანუგეშა.

ამაყი ლეღიას შუბლი საუკუნოდ დაიმალა უკუსაკრავის ქვეშ,

— ესე არს უღელი, იგალობა აბატმა ქაღმა ბებრულის ხმით:— და ესე არს სუღარა, დაუმატა მან და შეახვია ლეღიას სუღარაში.

მასინ ახლად აღკვეცილი მოლოზანი დაწვა იატაკსედა ორპირად ანთებულ დასამარხავად მომზადებულ სახთლებ შუა; ასხურეს უსუბითა და იგალობეს მასედა წმინდაო განუსვენე.

ტყენმოცი უცქერიდა სტენიოს; სტენიო მისჩერებოდა იმ შავს სუღარას, რომელიც ჭყარავდა ძალითა და სიცოცხლით სახესედა აჩსებას და აჩ ესმოდა, რა ხდებოდა იმის გარშემო.

მაგრამ როდესაც ახალი მოლოზანი წამოდგა და გარდაიგდო სუღარა, დიმილით და ნათელის თვლით მივიდა აბატ ქაღთან თეთრი ვარდების გვირგვინის მისაღებლად, კეცხლის ბუტბისა და მილოცვის კოცნისათვის, სტენიომ კელურად გამწარებულმა შეჭკვილა და უგრძობლად დაეცა იატაკსედა.

ამ ხანად კი შეკრთა ლეღიას; ის სმა იცნო და როდესაც დაინახა, რომ სტენიო საშინელის კვლანჭით მიჭქონდათ, მასინ ლეღიაც გაუვითლდა და დაზარებდა. მაყურებელი ეგონათ, რომ აქ შეურაცხება რამ მოხდებოდა, მედგრად მოაჯირს მისცვიდნენ, ასე რომ შეშინებულმა ქაღმა აბატმა, თარღის გათვარება უბრძანა, მაგრამ ახლმა მოლოზანმა სმა აღიმადლა



და ბრძანების კილოთი მოითხოვა, რომ ცერემონია განუგრძელებინათ. ყველანი განცვიფრდნენ და ვერ გაბედეს ბრძანების აუსრულებლობა.

### XVIII

წელიწადს ცოტა გადაცილებულ იყო, წმ. მარიამის მონასტრის სენაკში, ორს პირს ჰქონდათ ერთმანეთში რჩევა.

— მე მგონია, დაო ანუნიციატა, თქვენი სურვილი უფრო ძალე სრულდება, ვიდრე თქვენ გეგონათ, ეუბნებოდა კარდინალი ანბელი: ქალი ახალი უთუოდ მოკვდება ამ საშიშარი ავადმყოფობისაგან, მაშინ აქ ბევრი ცვლილება მოხდება და თქვენ საქმის მოყვარეობა უმეტესად გაიმულებთ უფრო ვრცელს და სასარგებლო მოღვაწეობას შეუდგეთ.

— თქვენო ღირსებაჲ, უპასუხა ლელიამ: ჩემი სურვილია, რომ სასარგებლოა მოქონდეს, მართალია, თვალად უბრალო და მარტივი სურვილია, მაგრამ ნამდვილად ვი სრულებითაც ავრე უბრალოც არ არის. ნამდვილ სასარგებლობის მოსატანად უნდა ვიქონიო უფლება; მე ბევრი ვიფიქრე ამასუდ და გარდავსწავიტიე რომ ამ მონასტერში ან პირველი პირი ვიყო ან სულ არაფერი.

— თქვენ ლაპარაკობთ ისე, როგორც ნამდვილი მეფე, დაო ანუნიციატა! უპასუხა ღიმილით კარდინალი: — მე ძალიან მსურს ეხლავე დაგსვით თქვენ სამეფო ტახტზედ, მაგრამ საუბედუროდ მე იმდენი ძალა არა მაქვს, რომ თქვენ ასე უცბო გადაბიჯოთ იერარხიის მაღლა ასასული საფეხურებს.

— ამ საფეხურებზედ ნელ-ნელა ასასულიყავი, მე უნდა ვე-

ბრძოლა წვრილმანს გულის-თქმათა და მუშურობას? თქვენ არ იცით, რომ მე მაგ რაღასათვის არ გამოვდგები?

— რასაკვირველია ვიცი და სრული თანხმაცა ვარ, რომ ეგ რაღა მნელი სასტანია. მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ მაგ ფასით თქვენ ყიდულობთ თვით უდიდეს თანამედრობას, რომელიც კი ჩვენ შეგვიძლიან მივსცეთ დედა-კაცსა. წმ. მარიაშის ახატად ყოფნა გვინებ ღირს რადმე!

— მსოფლიდ იმ შემთხვევაში, თუ შევიძლებ და ახატობას შესაბამად მივიხმარ, თუ არა და სრულებით არაფერი მნიშვნელობა არა ექნება-რა. იქნება გვინათ მე მაცდუნებს ოქროს ჯვარი და კერცხლის კვერთხი, თუ მასთან შეერთებული არ იქმნება სწეობრივი რამ მნიშვნელობა? რადესაც მე ქვეყნიერებაში ვსცხორებდი, მე მქონდა უკეთესი და ამისევე ძვირ-ფასი სამკაული, მაგრამ დავსტოვე ყველაფერი.

— მართალია, მართალი! აი სიტყვას გაძლევთ, რომ თქვენ იქნებით ახატი.

— ოდესმე? მე მაგას არ მივიღებ. თქვენ უნდა მითხრათ, რომ ესლავე ახატი ვარ, თორემ მე უარ-ყოფ ყველაფერს.

— გამიგონეთ, დაო ანუნციატა; თქვენ თხოულობთ თითქმის შეუძლებელს.

— მე მძაგს ყველა ტყუილი მიზეზები, უპასუხა ლელიამ: — და ამისათვის გელაპარაკებით პირ-და პირ. თქვენი უარის თქმა მე არ მაშინებს, ამისათვის, რომ ველადი მაგას და სრულუბითაც არ მიკვირს. თავ-მოყვარეობისათვის კი არ ვეძებ ამ ადგილს, ჩემს თავს გამოსადეგად ვვრძობ; სხვა საქმეები კი, რაგორათაც: სახლის-პატრონობა, ანუ დისახლისობა, მებაღეობა, კერვა—სრულებით საჩემო საქმე არ არის. თუ ჩემს თავს ძალას დავატან და ამაებს გავაკეთებ, მე ვვრძობ, რომ ჩემი

სასიათი გაიფუტდება, გაიჩვენება და დაწვრილმანდება! ნუ თუ  
თქვენ ესა გსურთ?

— არა, მე ეგ არა მსურს, უზასუსა ანაბელიმ მსურდად:  
— მე მსურს მივსტე საზრდო თქვენს გასათარ ნიჭიერებას. მე  
გამპარტანობ მით, რომ გამოგიცანით თქვენ; გიცი ლელია,  
რომ თქვენ შეგიძლიანთ მნელად გასაბედი საქმეების ასრულება,  
მე დაგესმარებით, რითაც გი შეგიძლიან.

— სასელდობრ რითა? ჭკითსა მან.

— ჟერ თქვენ იქნებით აბატის შემდეგ მეორე პირი, სოლო  
მერე გი— პირველი.

— ესე იგი, მე უნდა აღვასრულო სხვის ნება, იქამდისინ  
ვიდრე სიკვდილი არ განაქრობს იმ სხვას? მე ამასე თანახმა  
არა ვარ.

— როგორ, განა საზინადარის რელი აგრე მტარა? თქვენ  
იქნებით მოწყალების დამრიგებელი, ღარიბთა დედა, აბოლოთ  
შემწყნარებელი. მუქით გადუყრით რქროს ყველას, ვისაც გი  
ღირსეულად დანახავთ, — ეს თქვენთვის ცოტა?

— მაგისათვის სრულებითაც საჭირო არ იყო ჩემი მონას-  
ტერში შემოსვლა და ჩემი სიმდიდრის გადმოცემა: მე შემემ-  
ლო და ვიდევაც ქველ-მოქმედებდი, რამდენიც მინდოდა ქვე-  
ყანაში ცხოვრების დროსა. ამასთანავე საზინადარს აქ სომ არ  
მისცემენ უფლებას თავის ნებაზედ მონასტრის შემოსავალი და-  
ხარჯოს?

— ეგ თვით აბატსაც არ შეუძლიან, უმაღლესის რჩევის  
ნება-დაურთველად.

— მაშ რაღაზე ვლამპარაკობთ ჩვენს? თქვენ სომ იცით, კარ-  
დინალო, რომ მე ქველ-მოქმედებად მარტო მოწყალების გა-  
ცემა გი არ მიმანია, მარტო ღარიბებს გი არ მინდა მივსტე

პური აწსობისა; მე მინდა მდიდრებსაც მივსტე პური ცხოვრებისა: მეცნიერება, ცოდნა, სწავლა, იდეა და წესი, რომელნიც აწავის არ უსწავლების იმათთვის. თქვენ უფასო სკოლა გამართეთ ვაუბისათვის, რატომ არ გაესწნა მეც მაგ გვარი ქალბისათვის? მხოლოდ ერთის პირობით ვი, რომ აწავინ არ გაეკრიოს ჩემგან დაწესებულ სკოლის გაწყობისა და სწავლის წარმოებაში.

— კარგი, სთქვა ანაბელი დაფიქრებით: — თქვენ იქნებით ახალი! მაგრამ ნუ დაგვაიწყლებათ, რომ ჩვენ ვიწყებთ. საშინაო თამაშობას: ჩვენ შემოგვაქვს ამით განდგომილება და მწკალებლობა. სწორედ გითხრათ საკათოლიკო ეკლესიამ ბევრი დაჭკარვა იმით, რომ იმის მოთავედ სდგანან ყოველთვის პატრიარქები გვართა და პლებები ჭკუით. ამის გამო ყველაფერი ძლიერ ცუდად მიდის. მე და თქვენ გვსურს დავადგინოთ საუკეთესო წესები: ცრუ-მოწმუნების ნაცვლად—განათლება, უმეცრების მაგივრად—ცოდნა; ნაცვლად ამაოდ-მოწმუნებისა—მეცნიერება. როგორ ფიქრობთ თქვენ: ნუ თუ უნებლად გადავურჩებით ამას?

— არ ვიცი, თქვენს დიხსებაზე; ეგ თქვენ უკად უნდა იცოდეთ.

— მე არ დავიმალავთ, რომ ამ საგანზე სრულებით დამშვიდებული არ ვარ. ადვილად შესაძლებელია, რომ, შრომითა და წვალებით გატარებული სიცოცხლის შემდეგ, მე გამვიცხვენ და გადამაყენებენ, ანუ გამგზავნიან სადმე. რითი მცემთ მაშინ ნუგეშსა?

მოლოზანმა და კარდინალმა შესუდეს ერთმანეთს თვალში ისეთის დაშტერებით და დამშვიდებითა, რომ ერთს წამს

აწთავენი შეგონენ, ერთიერთმანეთში თანასწორნი მუხრძოლის გამოცნობით.

ამის შემდეგ, როგორც რამ არწივი ბრძოლის წინაღობას შეიკრებს, აწთავენი შეუნიშნავად უგუსდგნენ, თითქოს ამით არა ეთქვათ-არა ერთმანეთისათვის. ლელამ ვერ გაუბედა კელესიის თავადს ყოველივეს თქმა, რაც განემტკნას სათხროვნელად და კარდინალმაც, მაშინვე შეატყუა, რომ ლელა არ დაემორჩილებას არც ერთს მუსულს შირ-შეგარულობისას. აქამდისან დიდის სიფრთხილით ეჭირა თავი, ერიდებოდა არაფრით შეუშინებინა, ანუ არაფერი არ ეწყენებინა ლელასათვის; ესლას კი ეგონა, რომ ლელა ხელში მიჰქრავსო და იმისათვის შირველად გაბედა თავის იმედების წარმოთქმა, მაგრამ დროზედვე მისვდა, რომ იმისთანა შეუძრვალად ხსნისათვის პატრონი კაცს ადვილად არ დაჭყვება.

კარდინალი ანაბელი იყო მალალი ჭკუის კაცი, გულგაშლილის და მდიდარის ბუნების პატრონი და ძლიერის ვნებათა-ღელავით, ბიწიერებას ჭყარავდა მასში მისი ღირსებანი და ღირსებას ბიწიერებას. თუმცა აღზდილი იყო განცხრომაში და შეჩვეული ქვეყნიერ ფუფუნებას, მაგრამ უმალელის იდეალისადმი მისწრაფების ინსტიგტი განუშორებლად იყო დაბუდებული იმის ჭრსებაში. იმის ხელთ არ იყო სწორე გზით მიესწია, მაგრამ პროგრესის წინაღობობა განუშორებლად ესატებოდა მას თვალ-წინა, როგორც აღთქმული იმედი და მომავალი. ეს გარემოება აქეზებდა მას ენერგიულად და გამბედავად ემოქმედნა. ლელა მაშინვე მისვდა, რა ძვირფასი მოკავშირე იქნებოდა იმისთანა კაცი იმისათვის.

— თქვენო ღირსებაჲ, უთხრა მან შემდეგ დიდი ხნის სდრეუმიანს:— მე მისთანას არას ვხედავ, რომ ჩვენ ორნივე განსა-

კუთრებით თავ-განწირულებაში ჩავცვინდეთ, თუ ჩვენი განძრასვა არ აღსრულდება, უმეტეს მაშინ, როდესაც ჩვენი განძრასვა სრულად უანგარო არის. ჩვენ გვინდა მხოლოდ განკასოტრელოთ ცხოვრებაში ის წმუნებანი, რომელებიც ჩვენში არსებობენ; დაე ამისათვის ჩვენ გვსუდეს ცანდეკნა და შვეწროება: ეს ბეკრად უადვილესია, ვიდრე დასთგუნოს კაცმა ძალა, რომელებიც იწეეს და ლამობს გარედ გამოსვლას.

— ლეღია, სთჰკა კარდინალმა და გაუწვდინა მას სული ნამდვილის აღტატებით. თჰკენ სწორედ მართალი სართ, და როგორც ჩემსედ ძალკანმა უნდა მიჩვენოთ მე გზა. იქნება თჰკენ ცოტად შესტდით ჩემს შესახებ იმ საგანში, რომ მე ჯერ ვიდეკერ დამითმია მსოფლიური თავ-მოყვარება, როგორც თჰკენ ფიქრობთ, მაგრამ მე ვკრძნობ, თჰკენი მაგალითი მე იქამდინ აღმამაღლებს, რომ სრულად დამავიწეებს ჩემს თავსა. დამერწმუნეთ, რომ თჰკენ იქნებით აბატი.

— ეგ როგორც თჰკენ გნებავთ. მე მაჰკს თჰკენთან უფრო უდიდესი თხოვნა, რომლისთვისაც განსაკუთრებით მოგიწვიეთ მოსალაპარაკებლად.

— სუდავთ! იფიქრა კარდინალმა და იმისმა თვალებმა ხელასლად იმედით გაიბრტყვიალეს.

— გმადლობთ! სთჰკა მან ძალდა სმით:— მე ვსუდაკ, რომ ნდობა გაჰკსთ ჩემი.

— დიად, მე მაჰკს თჰკენი დიდი ნდობა, უპასუხა ლეღიამ:— მე მინდა გთხოვოთ თჰკენ სულგრძელობით აღსავსე და ძნელად გასაბუდი საქმე მოიქმედოთ.

— რა გნებავთ თჰკენი? ჰკითხა კარდინალმა ცნობის-მოყვარეობით და ძლეჯვარებით.

— მე მინდა, რომ თქვენ გადაზრინოთ ვალმარინი. თქვენ შეგიძლიანთ ეს, თუ მოინდობეთ.

— მე აღვისრულებთ მაგას, სისწრაფით უზასუსა ვნახე-  
ლი:— გესმით თქვენ, რომ ჩემს სიტონსლეს ვსწირავ მაგას?..  
თუ მე ამ საქმის ბოლო ვერ დავფარე— დავიღუპები; ესე იგი,  
მართალი ვსთქვით, მე ჩამომასრინებენ!

— ვიცი ეგა; მერ მომივიდა ეგ ფიქრი, უზასუსა ლელიამ.

— ოჲ, ლელიავ, სთქვა კარდინალმა შემოფოთებით:— რა დე-  
და-კაცი სარ! მე გამოუთქმელად ვამეობ თქვენის მონდობილ-  
ბით!... ახა მითსარით, ახლა სად არის ამ უამად ვალმარინა?

— იმ სეეს იქით, უზასუსა, ლელიამ და სელით უჩვენა ფან-  
ჯარაში შირ-და-შირ.

— იმას ვიდეც დაეძებენ, ამისათვის დროს დავარკვავ არ იქ-  
ნება. უნდა ჩქარა გავგზავნოთ სამზღვარს-გარედ.

— თუ ტყე-ტყე წავა სამზღვარამდინ სულ ოთხი მილია,  
სთქვა ლელიამ.

— დაბრკოლება სიშორესე არ არის, საქმე ის არის, რომ  
იმის თავის ვინაობის ქალაღდი უნდა, შენიშნა კარდინალმა.

— რა საჭირია იმისათვის ეგ ქალაღდი, თუ თითონ თქვენ  
წაიყვანთ იმას თქვენის ეტლით? უზასუსა ლელიამ.

კარდინალმა იმ წამს ვერ დაჭტარა თავისი გარცება, შემ-  
დეგ გაიღიმა. იმას მოსწონდა გამბედაობა და თამამად შირში  
თქმა ლელიასგან: ამ გვარად მოქცევა უფრო ამადლებდა ლე-  
ლიას იმის თვალში.

— რამდენ საათზედ და სად უნდა წავიდე მე ვალმარინისა-  
თვის? ჭკითსა მან.

— ერთი ქალი არის, რომელსაც შეგიძლიანთ თქვენ ენ-

დღოთ, უზასუხს ლელამ; — ვაღმარინა იქნება იმის სახლში დღეს  
საღამოზედ; ის მწერდა ამას.

— ვინ არის ის ქალი?

— აი, წაიკითხეთ იმის ბარათი.

კარდინალმა აიღო ბარათი და წაიკითხა:

«საყვარელო ლელავ, ის, ვისაც შენ ეძახი ტრენმორს,  
მთხრავს მე ბინას ამალამისათვის; მაგრამ მე ძალიან ვშიშობ,  
და ვგონებ რომ ჩემს სახლში იგი საფრთხეშია; შენ იცი,  
რომ იმისთანა პირნი დადიან ჩემს სახლში, რომელთაც შეუძ-  
ლიანთ იცნონ იგი. განსაკუთრებით მეშინიან მე კარდინალი  
ანაბელისა...»

ფერ-წასულმა კარდინალმა წაიკითხა თუ არა ბარათის  
მომწერის სახელი, ძლივს შეიძაგრა თავი, რომ არ დაეჭმუჭნა  
ბარათი და არ მიეგდო ლელავს ფერხთან. თავში გაუელვა,  
რომ ლელავსაგან ეს მასხარად აკდება იყო, რათა გამოასშვა-  
რას ამის საიდუმლო და საღვთო გაცისათვის შეუფერებელი  
კავშირი დიაც ზინზოლინსთან.

— ეს რა არის, ხუმრობთ? ჰკითხა მან მთრთოლვარეს  
ხმითა.

— რა სახუმარია? დინჯად უზასუხს ლელამ: — მე ვაღმარი-  
ნის სუფს ვაძლეკოთ ხელში და იმ დღედა-გაცისა, სრამელიც  
არის ჩემი ლეიძლი და — და თქვენ გგონიათ, რომ მე ვმასხა-  
რავი!

— რომელი დისა?... ვინ არის თქვენი და?

— ის, ვინც მომწერა ბარათი; იგი სულ-გრძელობით მალავს  
ჩვენს ნათესაობას, მაგრამ მე არა ვმალავ.

— მომიტყუეთ, სთქვა კარდინალმა და დასწვა ბარათი: —



თქვენ ყველაფერში დამამარცხეთ, ყველაფერში დამიმორჩილეთ! მე თავს ვიდრეც თქვენს წინაშე!

— მე ვაფასებ თქვენს ჩემდამო პატივის-ცემას—უთხრა ლელამ და გაუშვირა ხელი. ვარდინალმა უნებლად მხურვალეს გრძნობით მოუჭირა მის ხელს თავისი ხელი.

— მას მე ვიქნები დღეს შუალამისას თქვ...ენ დასთანა, სთქვა მან. ჩემი ეტლი მოგვიცდის ქალაქ გარედ. სვალ მე გამოგეტყვადებით ანგარიშის მოსაგემად თქვენგან მონდობილ საქმის თაობაზე... თუ თითონ მეც არ დამიჭირეს.

— ვიმედოვნებ, რომ ეგ არ მოხდება, უზასუსა ლელამ.

— ვიდრე ერთი სიტყვა, დაუმატა ვარდინალმა:—თქვენ მოვალე ხართ ყველა ნამდვილი ალვიარით... მე მინდა და უნდა ვიცოდე ყველა: თუ თქვენ მე მომატყუებთ, შემძგლებით... აღსარება მითხარით, ისე როგორც მე ვალვიარე: ვალმარინა თქვენთვის იყო აქა?

— დიად.

— თქვენ უყვარხართ იმას?

— ვუყვარვარ, როგორც და.

— როგორ?... ისე როგორც მე თქვენ მიყვარხართ?...

ლელა ცოტად შეკრთა, შემდეგ უზასუსა:

— მე თქვენ მოგასხსენებთ, რომ იმას არაკითარი გრძნობა არა აქვს—ჩა ჩემდამი და-მმურის გრძნობის გარდა.

— მაგრამ წინად თქვენ ის ვიყვარდათ?

— სწორედ ისე, როგორც ესლა.

ვარდინალი გაჩუმდა, შემდეგ ჭკითხა:

— როგორ გგონიათ, რისთვის გაძლეუთ მე ამ კითხვას?

— იმისთვის, რომ გვიჩვენებინათ თქვენი თავი დიდ-სულე-

ვანად და კეთილ-შობილად, თუ ვინცობაა მე აღვიარებდი  
თქვენთან, რომ ვალმარინა მიყვარს მეოქი.

— დიად, სთქვა ანახელიმ და გაუწვდინა მას ხელი. უცქირა  
რამდენსამე წამს ტრფიალებით; შეიძებო საჩქაროდ გავიდა გარედ.

## XIX

ზოგი სევდისა და მარტოობისაგან, ზოგიც პოლიტიკუ-  
რის დეკნისა გამო, სტენოზი გაიქცა ალყავებულ იტალიის ნა-  
ზირებიდან ტივი დასავლეთის მხარეს, სადაც იმედი ჰქონდა გა-  
ნათლებულ საზოგადოების შორის გართობილიყო და თავის  
მდრღნელი სევდა და მოწყენილობა აღარ ეგრძნო. ყოველ სა-  
ზოგადო სიამოვნებისათვის შეძლება სულს უმართამდა. მის-  
ვლის უმაღლესი შეუერთდა ქვიფის მოყვარულ საზოგადოებას,  
ბედოვლათსა და ყომაზბაზებს. ქალების საზოგადოებაშიც გა-  
მარჯვებული რჩებოდა; ლამაზ კაცად მიაჩნდათ იგი და აღტა-  
ცებაში მდიდრდნენ იმის თავისებურებისაგან. ყოველ სალა-  
მოს უწერდა მათ ლექსებს ალბომებში და ჭფანტავდა ამისა-  
თვის თავის ნიჭის უკანასკნელ ნაპერწკალსა. დანაჩენ დროს  
ატარებდა ან ქალადის თამაშობაში, ან საზოგადო სასალებში.  
მხოლოდ რამდენსამე წელიწადს ეყო ამ კვარ ცხოვრებისათვის  
თავისი სიმდიდრე; ქონების გაფანტვისათანავე დაეცა იგი სუ-  
ლით, მოუძღვრდა და თავის მოკვლასუ დაიწყო ღაზარაკი.  
სულითაც და ხარციითაც მოშლილი დაბრუნდა თავის ქვეყანა-  
ში; მოგზაურობიდან მხოლოდ ერთი დასკვნა გამოიტანა:  
რომ მდიდართათვის სიღარიბესუ უარესი, არც შერცხვენა და  
არც ბიწიერება აღარ არის.

მას შემდეგ, რაც იგი მოგზაურობაში იყო, შესანიშნავი ცვლილებანი მოსდა იმის საოქოში. კარდინალმა ანაბელდომ და ქალმა აბატმა წმ. მარიაძისამ სრული რეფორმა მოასდინეს ზნეობასა და ჩვეულებაში. კარდინალი ქადაგების ნაცვლად კითხულობდა სამეცნიერო ლექციებს, რომლებსაც თან-და-თან უფრო და უფრო ემატებოდათ მსმენელები; ქალი აბატიც დვითის მეტყველებაზე ბასის მაგივრად მოწასტურში, ასწავლიდა სრულს გურსას სსვა-და-სსვა მეცნიერებისას აჩამც თუ მოწასტრის შეგირდებსა, იმათ ნათესავ ქალებს, მეგობრებს და ნაცნობებსაც. ლელის ნათლად და ცხოვლად აზრის გამოთქმის ნიჭი ჭქონდა და მოსასმენლად მოსულ ქალებს ესწნებოდათ ახალი ჭკეუნიერება და იმიტომაც მრავლად იკრიებოდნეს სსსმენლად. ლელი იმათს რელიგიურს რწმუნებას შეურაცხებით არ ესებოდა, ცდილობდა მსოლოდ რომ იმათი წამოდგენანი განწმინდა ცრუ-მოწმუნებათა და ამაო ფიქრთავან.

როდესაც სტენიომ გაიგო, რომორი სასულა და ჰატივი დაიმსასურა წმ. მარიაძის აბატმა ქალმა, გული მწარე ნაღვლით აკესო. იგი ყოველთვის იმ ფიქრით ნუგეშობდა, რომ ლელის ძვირად დაუფდებოდა უარ-ყოფა იმის საყვარულისა და მოილალებოდა მოწასტრის ერთგვარის ცხოვრებითა, მაგრამ როდესაც ხსა, რომ იმის აზრს საზრდო უზოენია შრომაში, საშინლად გული მოუვიდა და შეშურდა. სამაგელმა, დაბალმა წვრილმანმა გრძნობებმა შეიპყრეს იმისი სული; კარდინალი არც კი ენახა, მაგრამ შეიძულა და იმასა და აბატ ქალს შორის კავშირზე ეჭვიანობდა. ასე გასინჯეთ ბოროტ განძრასვით ყველგან დაჭყარა ამაზედ ხმა. იმას გაცლოებამდის შურდა და სწინდა, რომ იგი, ჰოკტი, საესე იდეალურ მისწრაფებათა მიერ, ძალაღის აზრით გამსკვალული სახიერებასა და კაცთ-მოყვარე-

ბაზე, ნამდვილად იმოდნად მდებარე ადგილსადაც, სუსტი და ბიწიერი იმართან შედარებით, ვისთანაც ადრე ისე ამპარტაკნობდა გულში თავის ულაქა და შეუბღალავის სიწმინდიოთა. ამას უნდოდა მათი დამცირება და უძისდა ცბიერებს, იზუიტებსა, ინტრინგანებსა და სწორდა მათზე სატირას ლექსადაც და პრანადაც.

ლელოაზე იგივე მოსკვენებს ან აძლედა, უმეტესად მაშინ, როდესაც იმაზე ლაპარაკი ეკლავან ესმოდა. ორჯულ ხაიცივა ქალური ტანისამოსი, რომ მონასტრის ეკლესიაში შესულიყო ლოცვის დროსა; გულის სიღრმემდინ ალედა, როცა ხახა, რომ ლელოა ადრინდელივით მშვენიერი იყო, თვალუბი ძველებურადვე უბრწყინავდენ და რომ მედიდურობით საგსე წამოსადგობავე ჰქონდა.

იგი მოიცავს ერთმა განუშორებელმა სურვილმა: ენახა ლელოა და ელაპარაკა იმასთან. მონასტერში შესვლა ტრასებისა და ბანების შემწეობით ძნელი ან იყო და აი სტენიო რამდენსამე ლამეს ზედა-ზედა დადიოდა ამ გზით მონასტრის მიყოლებულ ეზოებსა და ბაღებში. იმის გონებაში უმგზავსო აზრები და პლანები სდებოდა. იცოდა, რომ თავადის ასული კლავდია ბამბუჩისა იმყოფება აგრეთვე მონასტერში და ალგეცას ეპირება. იმას აცდუნებდა ერთი აზრი: უნდოდა ჩაკვლო ხელში ეს მისსეკვლი და ამით ლელოას გაკლენა და იმის გაწოტვანა მასსაჩად აკვლო, შეეცდინა გატაცებული ქალწული, რომელიც დღესმე თავის ნებით ეძლეოდა ამას, რა გამარჯვება იქნებოდა მაშინ სტენიონსათვის და რა დამცირება—ლელოასათვის!

ერთს ამ გვარ ლამეებში იგი დადიოდა მიწების ზეებქვეშ, იგონებდა სიტყვებს, მოძრაობას და სახეს აბატი ქალისას ეკლესიაში ლოცვის დროსა და უნდა გასტეხოდა თავის-თავსა,

რომ ლელოს სწეობით უფრო გავეითაწებულყოფი, თან დაყოფილი ძალა იმისი აშინებდა კიდევ და თანაც იზიდავდა სტენიოს. ბაღიდან გამოსული წავიდა ალალ-ბედზე, მსუბუქი კამარებით დამაგრებული ვიწრო-ვიწრო გალერეისაკენ, რომლის ბოლოშიც დაინახა ხეუღლი მარმარილოს კბე, ეგონა რომ ის გზა რომელსამე ტრასასზედ გაიყვანდა, ავიდა კბეზედ და გამოსცხადა განიერი შავი მაუდის ფარდას წინ, რომელიც კარების ნაცვლად აბატი ქალის ოთახს ჰქონდა ჩამოფარებული. პირველი ოთახი, რომელშიაც სტენიოს შევიდა, იყო სამლოცველო, მორე — ლელოს სენაკი.

ის სენაკი ხელოვნურის სიმარტივით იყო მოკრთული, დიდი სპილოს ძვლის ჯვარცმა გარკვევით ისახებოდა მუქს-სოსანი ხავერდის ჰიერუსედ. გასა კედლებთან იდგნენ დადრონი ეკალ-მუხას სის სკამები ალისფერი ხავერდის ბალიშებით; სტოლზედ ეწყო ქაღალდები, წიგნები და გაზა მშვენების უკავილებით. ერთად-ერთი ბრონძის კანდელი იშვიათის ხელოვნებისა ანათებდა სავამოდ მოზრდილ ოთახს, რომლის ბოლოს სტენიომ მოულოდნელად დაინახა ლელო და დარჩა გაშეშებული სახით ერთს ადგილს.

გუბოს მსგავსად მოყვანილ დაბალ ქვეშაგებზედ იჯდა ლელო. იმის პირის-კანის ფერი, ხელების და შიშველა ფესებისა უერთდებოდა სითეთრით საბურველსა, რომელშიაც იყო შესვეული. რომელ დროსაც უნდა გენახათ, იმის ტანთ-საცმელი ყოველთვის განსხვავდებოდა შეუდარებული სიახლით და სპეტაკობით, რომელიც უმატებდა იმის სახეს ფანტასტიკურს ელფურსა.

სტენიოს უცქერიდა იმას დიდ ხანს. იგი არდინდელზედ უფრო მშვენიერი იყო და, თუმცა იმის გამხდარ ლოყებს აჩნდა

გამოკლილი ღელვა, მანც ოც-და-ხუთის წლისასე მეტი არ გეგონებოდათ. იმის სასის გამოსატულობა იყო დინჯი, ნათელი და ისე მისაზიდავად მშვიდი, რომ სტენიომ იგონებოდა გულში იმისთანა ალერსი, იმისთანა აღტაცება, თითქმის არც კი გაუგვია ექვსი წლის განშორებას, ექვსი წლის სამძულვარეს, ზიზღს და დაცინებასა...

ღელვა თითქმის ვერ ხედავდა იმას; სასესე მანც არ შეეცოდა არც განცვიფრება, არც აღელვება; უცებ სტენიომ შეამჩნია, რომ ღელვას თვალებს თან-და-თან მოერივნენ ცრემლები და ფერ-მკრთალ ლოყებზედ ხელად ჩამოეშინა მღუღინება.

— ოჰ, სთქვა მან და მიუახლოვდა—მეორედ ვხედავ შე შენს ცრემლებს. მითხარ: რაზედა სტირი?

ღელვამ შესედა იმას უშიშრად, გაუგვავრებლად და უთხრა:

— შე ვფიქრობდი შენზედ: იმარად, როგორი იყავი შენ და ახლა რა ხარ! რად მოსკვლ შენ აჰ?

— განა ჩემი აჰ ყოფნა შენთვის ისე საშიშარია, ღელვავ? წარმოსთქვა სტენიომ ასეთის მიღებისაგან დაფანტულმა.

— არა, უზასუსა ღელვამ.

— იქნება საწყენად დაგრჩა, აღვაშფოთა?

— არც საწყენად დამჩნა და არც აღვაშფოთა, გულ-გრილად ვუყურებ ამ თქვენს ქცევას.

— შენ არ მითხარ ესლა, რომ ჩემთვის სტიროდი?

— დიად: შენს დანახვასზედ შე გამახსენდა ის არსება, რომელიც შე ოდესმე მიყვარდა და შენმა ხმამ მომაგონა ის ძვირფასი სასურველი ხმა, რომელსაც შე თავის დღეში ვერსად გაგიგონებ!

— ლელიაჲ, რას ამბობ?... მე არ მესმის! შეჭყვირა სტენიომ განწირულებით.

— მე ვეკლავიერი მასსოკს, ვეკლავიერი. ლელიამ ყური არ ათხროვა იმას და განაგრძელა:—მასსოკს, სიფსულის ცხელ დღეებში როგორ დაკდიოდით ერთად მთებში და ლელებში; როგორ ჩაგვიძინებოდა სოფელ დაღაღულს და გიჭექ თავით და ვსტებებოდი შენი ცქერით. მამინ ბუნდური ვიყავ, მიყვარდი! ღოჭ, რა მსეღია მარტო იმის მოგონებაც კა, რომ ეგ ტუხები, რომელთაც მე ვკოცნიდი, უშვერის ტლფშნით დასჭკნენ, რომ ეგ შენი მელო-დიური სმა გაფუჭდა სიმთვრალეში ღრიალით; და რომ მთლად ის ჰოესიის ცუცსლი განჭრა ლოთიბაშების ღრიალწელს შორის!

— ლელიაჲ, ლელიაჲ! ნუ ლაზარაკობ მაგრე, შემიწყაღე, თორემ მე მეკონება, რომ თავის დღეში არ გეყვარებივარ! შეჭყვირა სტენიომ, დაეცა მუსლ-მოკვეთილი იმის წინ და ცდილობდა იმის ხელის გამორთმევას, მაგრამ ლელიამ წაართვა ხელი.

— მე შენ არ გელაზარაკებოდი, სთქვა მან დამშვიდებით:— სტენიომ, შენ გინდოდა ჩემი ნასვა, აისრულე სომ სურვილი; ასლა წადი.

— არ წავალ აქედგან, ვიდრე არ მეტყვი, რას გრძნობ ჩემ შესახებ, უზასუხა სტენიომ:—მინდა შევიტყო, რა გრძნობით შესცვალე ის სიყვარული, რომელიც ამ წამს შენ თითონ აღვიარე?

— არაფრით, უზასუხა ლელიამ:—შენ ჩემთვის არ არსებობ.

— არაფრით?... შენ შიშაც არა გრძნობ? აღშფოთებით წარმოსთქვა სტენიომ, წამოდგა და პირ-მჭეშად მიუხსლოვდ გაცუცსლებულის თვალბით.

— შიში? წარმოსთქვა მან; — ანა, შენ ძალიან სუსტი ხარ, რომ შენი მეშინოდეს. ოდესმე იყავ შენ წარმომადგენელი სინამდვილესი და გრადიასა; ესლა ხარ შენ წარმომადგენელი დამცირებისა. ერთი-ლა გრძნობა შეგფუერის შენ, მოწყენა.

— შენ კი ანა გრძნის მოწყენა? უზასუსა სტენიომ დაცი-  
ნებით და სიმწარით: — რითი სტრატსლობ შენ? შენ არავინ გი-  
ყვარს და არავის უყვარსან! საბრალე ლელაიკ! მე შენ მებრა-  
ლები!

— მაგაში მართალი ხარ, უზასუსა ლელიამ სეკდიანის  
ხმით, რომელმაც გააოცა და ღმობიერად აღაგუსო სტენიომ:  
— გზას, რომელიც მე ამოვიარნიე, არ მიჭყვავს ბედნიერებასთან.  
მე ვერ დავსთრგუნე ჩემში თანაგრძნობის მოთხოვნაილება, ალერ-  
სის და ურთი-ერთის ბედნიერების სურვილი; კაცი და ქალი  
შექმნილია ერთმანეთისათვის და, რასაკვირველია, მოლოზნის  
ცხოვრება არ არის ნორმალური, აღმდინთ შესაფერი ცხოვრე-  
ბა. მაგრამ ეს ცხოვრება სჯობია იმ დამოკიდებულებას, რომ-  
ელიც დაუდგენია საზოგადოებას ცოლსა და ქმარს შუა. მე  
და შენ არას დროს არ ვიქნებოდით ერთად ბედნიერი, სტე-  
ნიომ; შენი აღზრდა, ჩვეულება, მთელი ქვეყნის მაგალითი და  
თვით კანონი, გაძლეკდა იმ უფლებას ჩემზედ, რომელსაც მე  
ნება-ყოფილობით არ ვიკისრებდი. ავიღოთ თუნდა მარტო ის,  
რომ შენის მხრით ლაღატისათვის, მე ვერაფერს გადაგახდევინებდი  
და შენ კი ჩემის მხრით ლაღატობისათვის დაკმაყოფილდებოდი  
იმით რომ შემატრსვენდი, უზატიურად გამხდიდი და საზოგა-  
დობიდან გამომარტისხინებდი ჩემს თავს. შენ იქნება გგონია,  
რომ ჩვენ შეგვედლო არ მიგვეხედნა ამ გადუწვევითელი საგნის-  
თვის და გვეცხოვრნა ერთად წესის მიუხედავად. მე ხომ კი-  
დეც გამოვსტადე მაგ გვარი კავშირი და დავრწმუნდი, რომ დე-



 სებანი ქართლის-ცხორებისა.

1) თუ თქვენ მარტო პალეოგრაფიის მხრით განიხილათ  
 ქართლის-ცხორების ვარსიანტებს, უბეჭველად დაწმუნდებით,  
 რომ ქართლის-ცხორება იწერებოდა იმ დროს, როდესაც მხედ-  
 რული ჯერ არ არსებობდა და მხოლოდ ხუცური ანბანი იყო  
 გავრცელებული. როგორც ვიცით, ხუცურში ზოგერთი ასოე-  
 ბი, მაგ. შ და ბ, ტ და ძ, ი და ლ ერთმანეთში ძნელად გა-  
 ნიარჩევა; ამის გამო მწერლებს ძველადვე ეს ასოები საიტყუებში  
 აურევიათ და ამ მიზეზით ვითხულობთ მაგერ შიოშისა, არ-  
 შაკისა, არდაშირისა, მოზიდანისა, შაბურისა, ახალისა, შანქო-  
 რისა, ჯვანშერისა, დარკალანისა, მურღულისა—ბიობ, არბაკ,  
 ადრანბრ, მოშიდან, ბაბურ, აშად, ბანქორი, ჯვანბურ, დარ-

დალანი, მუძღული, და სს. ეს შეცდომილება სშირია და იმი-  
სი კვადი დაწინილია თვით მეთორმეტე საუკუნის «სომ-  
ხურ ხრონიკაში», რომელიც ზევით მოავხსენეთ და მეცამეტე  
საუკ. მსიტარ აირივანქელის «ხრონოლოგიურს ისტორია-  
შიაც».

2) თვით ლექსთა-წყობა და გრამატიკული ფორმები ძვე-  
ლის ქართლის-ცხოვრებისა აღმოაჩენენ საგრძნობელს განსხვა-  
ვებას, თუმცა მათ მოძივადის საუკუნოების კალმის კვლიც კი  
ეუფობა. გარდა ამისა, ვზოულობთ იმისთანა ლექსებს, რომ-  
ელნიც შემდეგ საზოგადოდ აჩიან მიღებულნი, მაგრამ ძვე-  
ლად კი ან არ იხმარებიან, ან განსხვავებულის აზ-  
რით იხმარებიან, მაგ. ბიძა, ჰაჰა სულ არ ამოვიტ-  
ხვის; ამათ მაგიერ იხმარება მამის ძმა, დედის ძმა, მამის მ-  
მა, თარგმანი—იხმარება მთარგმნელის ნაცვლად: «კანანელ-  
თა თარგმანთა», ამოუწოდა თარგმანსა». სშირია სეფუ და  
ამ ლექსიდგან წარმომდგარი რთული სიტყვა: სეფეშვილი, სე-  
ფეშალი, სეფეწული, სეფისპირი, სეფე შვიგნობარი, სეფენი  
ჭკუენისანი. მერთქვესვე ნაცვლად სიტყვისა მეუკსეულად:  
«და მთქვა მხედველ მუნთქვესვე»; «და მუნთქვესვე განიგურ-  
ნა». ხარაგა სულ ძველად, შემდეგ ხარკი, მასუგან ხარაგა,  
სულ ბოლოს ხარაგა. სანახები ნაცვლად სიტყვისა საზღვარი,  
გარეშემო ადგილები: «სანახები ქართლისა»; «სანახები მუნსა-  
რისა»; «არქნი და სანახები შიდა ქართლისანი.» მავგუესი  
—შვიდეულის მაგიერ ან სწორის სწორისა: «დაიბანაკეს  
მავგუესი ერთი»; «დაჭევეს მუნდ მავგუესი ერთი.» მრავალია  
ქართლის ცხოვრების ძველს ნაწილში ამ გვარი ლექსები, რომ-  
ელთაც იგივე მნიშვნელობა აქვთ თვით სანახების უძველეს  
გარეანტებში და სსვა მანუსკრიპტებში. სხვა-და-სხვა ჭაჭრებით

განსვენებულნი ბრესკო ამტკიცებს, რომ ქართული სუთასიანი ანუ სირიული ქრონიკონი შემოღებულაჲ 780 წელს ქრისტეს შემდეგ. ამ საგანზე რა საბუთებს გვაძლევს ქართლის-ცხოვრება? სულ ძველად ქართლის-ცხოვრება სმარობს სრონოლოგიას ბერძნულის წესით: ანუ დასაბამიდან სოფლისა, ანუ ქრისტეს შობიდან თუ ამაღლებიდან; სანდასან რომლისაჲ სანინო შემთხვევიდამ, მაგ. «სვეტის-ცხოველის აღმართებიდამ»; «მინკვანიდგან ვიდრე...» და სხვ. სუთასიანი ქრონიკონი პირველად ქართლის-ცხოვრებაში იხმარება აშოტ-გურგატვალატის სიკვდილის ჩვენებაში. აშოტი გუფობდა 786—826 წლამდე. ეს ის აშოტი, რომელსაც მოიხსენებს ოპიზის მონასტრის წარწერა. შემდეგ ამისა ქართლის-ცხოვრება ყოველთვის სუთასიანი ქრონიკონის სმარობს.—ერთ დროსვე შემოდის ეს ქრონიკონი აგრეთვე ეკლესიების წარწერებში და მანუსკრიპტების მინაწერებში. აქ უნდა შევნიშნათ ერთი ღირს-საცნობელი შემთხვევა. როგორც ხსალმა გამოძიებამ დაასვენა, არაბული ტიპრები შემოტანილია ინდოეთიდან პირველ საუგუნოებში ალექსანდრიის ნეკროლოგონიკებში და შემდეგ მერვე საუგ. მითვისებული არაბებისაგან. ყველანაჲ ადრე კი არაბული ტიპრები უხმარიათ ქართველებს ძველის ტიპრების წარწერებში, რომლებშიც ამ ტიპრებს იგივე ფორმები აქვს, როგორც ინდოეთში უჩვენებენ (Mél. Asiat., II, 7778; V, 73—74). ძველი ქართლის-ცხოვრება შეიცავს ერთს-დიდად შესამცნევს ძაგტსა, რომელიც გვაძლევს შეურყეველს საბუთს თავის სინამდვილისას. აი ეს ძაგტი: ქართ.-ცხოვრებაში გვარამ-გურგატვალატის დროდამ (826—876) ტაოს ანუ ზემო-ქართლის შემდეგ სამცხე-საათაბაგოს—ძველობელთა და იმათ სახლის წულთა უწოდს მამფელებად. ლექსი მამფელი უწოდს შემდეგის საუგუნოების მთავარს და იხმარება მხლ-

ლოდ მათე საუგუნის გასკლამდე, როდესაც მამულეები ერთ-მპურობელების დასკების გამო საქართველოში გაქტენ. ამ-ვე ლექსს ხმარობს, როდესაც ტაოს-მპურობელთ შუესება მუ-ათე საუგუნეში ბიზანტიის მწერალი გოსტანტინე პორტიორ-გენი, და ხმარობენ აგრეთვე იმავე დროისათვის მეთერთმეტე საუგუნის მეტატანე სტიფანოზ აზოლივი და სხვა-და-სხვა ქარ-თული მანუსკრიპტები და გუჯრები. საკვირელოა, რომ ლექსი მამულეი ზემო-ქართლის სხვლერებს თითქმის არ გასცილე-ბია და ამასთანავე მეთერთმეტე საუგუნეიდან არც მეტატანეებში, არც სხვა ძველ მწერლობაში აღმოგიითხება.

3) ჩვენ ზემოთვე მოვიხსენეთ, რომ ქართლის-ცხოვრე-ბის წერა იწუება ქართველთა მიერ ქრისტეს აღსარების მილე-ბის დროდამ. გიქონდა თუ არა ანბანი ანუ აღქავიტი მიროან მეფის დროს, ამის ქაქტი ჯერ არ არის, თუმცა ეჭვ გარეთ უნდა ვიქონიოთ ისიცა, რომ ჩვენში სულ პირველად ისმარება სურთრი ასო-მთავრული, საიდანაც მეშვიდე და მეჩვე საუგუ-ნიდამ იხადება სურთრივე წერილი ანბანი და აქედამ მათე საუგ. ჩნდება მხედრული, რომელსაც მეთერთმეტეიდან მეთორმეტე საუგ ჯერ კიდევ სურთრი ასოების თვისება აქვს. რომ სურთრი ასო-მთავრული ძველად-ძველია, რომ იმიდგან მომდინარეობს რივე დანაშთენი ანბანი, ამის დასამტვიციებელს საბუთს გვამ-ლევენ ძველი ჩვენი მანეთები (მეხუთე საუგუნიდამ), ძველი მანუსკრიპტები (მეხუთეიდან მეშვიდე საუგ.); ჯვარის მონასტრის წარწერანი (მეშვიდე საუგ.) და უძველესი გუჯრები; ამ საბუთ-თაგან ზოგნი ახლა ჩვენ ხელში გვაქვს. ეს აზრი ქართულ აღ-ქავატებზე მარტო ჩემი აზრი არ არის. აი რას ამბობს ამ საგანზე ბატონი-შვილი თეიმურაზი: *არამელამე მეთორმეტეი ჩვენნი გულ-მსიტიველებენ, რომელ სურთრი იყო პირველ ფარ-*

ნავაზისაცაჲ (იხ. იმისი ისტორია, 116). ჩვენ არ ვიცით, ვინ არიან ეს მეისტორიანი, მაგრამ როდესაც სულ ძველს ჩვენს მწერლობას პალეოგრაფიის განხილვაში შესდისანთ, ცხადად ვხედავთ, რომ შეუძლებელია ჩვენს ალფაბეტს იმ დროს ის სისრულე და ის ძეგლების მშენიერება ვქონიყო, თუ რომ იმას მანამდე რამდენიმე საუკუნე არ გაეკლა.

რომ ჩვენს ძველ მწერლობას ზოგიერთი საკუთარი ნამდვილი ცნობები ვქონია მივიანზე უწინდელს საქართველოზე, რომ მივიანის დროდამდე, არა თუ იწერებოდა ქართული ისტორია, არამედ გაგრძელებულიც კი ყოფილა უცხო-ქვეყნების მწერლებში, ამ აზრს აცხადებებს, ჩვენის თქმით, შემდეგი ისტორიული ძეგლები:

ა) ფარნავაზის მეფობაში (302—237 წ. ქრისტეს წინ) ქართლის-ცხოვრება ისხენიებს ასურისტანის ანუ სირიის მეფედ ანტიოქოზს. ანტიოქოზი იმ დროს რომ იყო და უკანასკნელი მათგანი მეფობდა 261—244 წ. ეს ანტიოქოზი უნდა ვუვანდეს მხედველობაში ქართლის-ცხოვრებას. მიწვანოს I-ს დროს (162—112) სირიის მეფეა ანტიოქოზზე და სომხეთისა არშაკი. მართლაც, ხუთთა ანტიოქოზთა შორის უკანასკნელი მეფობდა 112—94 წ. და სომხეთში არშაკი 127—113 წ., მეფე ფარნავრომ (112—93). ქართლის-ცხოვრებით ამას შემოაქვს ქართლში «სჯული დედული», ანუ ცეცხლის მსახურება. ქართლის ერისთავნი სომხის მეფეს გამოსთხოვენ შემწობას და შეიღს მეფედ. მართლაც, ამ დროს სპარსეთში გაძლიერებული იყო ცეცხლის-მსახურება და სომხეთის მეფე არტაშეს I იყო მკაცრი კვბთ-მსახური. აქ ისტორიული წინააღმდეგობა არა არის-რა, რადგანაც ჩვენი და უცხო ტომთ შოთსრობა ერთმანეთს ეთანხმება.—არტაგ (81—66). ამ არ-

ტავს არტაგესად იხსენიებენ ჰომეროს დროს რომაელთ მეთ-  
 ტროიის დიონ კასიუსი და აპიანი.—ადრეკი (2 წ. ქრ. წინ—  
 55 ქრ. შემდეგ). რომაელთავე ცნობით იბერიის მეფე მიტ-  
 რიდატის შვილი ფარსმანი სომხეთის მეფედ სვამს თავის უმ-  
 ცროსს ძმას მიტრიდატს. ეს ცნობა არ არის მოხსენებული  
 ქართლის-ცხოვრებაში, მაგრამ 55—72 წ. მეფობენ ბარტომ  
 და ქართამი და 12—87 ფარსმანი: ქართლის-ცხოვრებით პირ-  
 კელის მეფობაში კესპასიანმა წარმოსტევენა იერუსალიმი; მე-  
 რის მეფობაში სომხეთში მეფობს იარვანდი, რომელმაც მიუ-  
 ღლო საზღვარი ქართლისა. სომხური წყაროს ჩვენებით ეს  
 არის ეროკანი (58—78), რომელსაც ვითომც მართლად და-  
 კურა ნაწილი ქართლისა. ერთი ქვა ბერძნულს წარწერით,  
 ნაპოვნი ამას წინად მცხეთის მასლობლად, მოიხსენებს 75  
 წელს აკესპასიანისაგან აღშენებას ციხისას კეისრისა და რომ-  
 მაელთ მეფობრის იბერიის მეფის ფარსმანისა და იამაზდის  
 შვილის მიტრიდატისათვის». — ქართლის-ცხოვრებით, 113—  
 122 წ. ჩვენში მეფობს ფარსმან II. შემოთ სსენებულის დიონ  
 კასიუსის თქმით, აღრიანე იმპერატორის დროს (117—138)  
 მეფე იბერიისა ფარსმანი აღბანიაში—ზოგოერთის მანუსკრიპ-  
 ტების თქმით—აღბანიაში—იწეობს დიდს ომიანობას, რომელიც  
 ვრცელდება მიდიაში, სომხეთში და კავკასიაში. ამ ფარსმა-  
 ნისათვის რომში ბელონის ტაძარში აღუმართავთ სასსოკარი  
 ძეგლი.

ბ) ქრისტეს სჯულის შემოტანას ქართლში წმ. ნინოსა-  
 გან, მირიანის დროს (262—342) მოგვითხრობენ მეოთხე-  
 საუკ. ბერძენთ მწერალთაგანნა რუფინი და სოზომენი და მე-  
 ხუთე საუკ. სომხთაგანი მოსე ხორენელი,—მოუთხრობენ იმ  
 გუარად, რომ არ შეგვიძლიანთ არ იფიქროთ,—იმათ სელში



უნდა ჰქონიერთ ჩვენი სწონიკა: ისე ზედ-მიწევნით ეთანხმებინ ამ უკანასკნელსა. თქვენ ფიქრს აცხოველებს ის ჭაჭტიც ხორენელის შესახებ, რომ ხორენელი თავის ისტორიაში მოხსენებს ქართველთ სეფე-წულებს. ეს ცნობა, ჩვენის აზრით, იმას უნდა ამოეკითხა ჩვენს წყაროში. — კარაზ-ბაგურის (377—393) შვილი მურვანოზ, მონოზონობაში წმ. პეტრე, დიდ ხანს მოღვაწეობდა პალესტინაში, სადაც ეპისკოპოსად აღესრულა. ამის ცხოვება, მის მოწაფისაგანვე აღწერილი, ჩვენამდე მოღწეული. ამ აღწერის ცნობას სიტყვა-სიტყვით იმეორებს თავის მსოფლიო ისტორიაში მეცამეტე საუკუნის სირიელთ პატრიარქი მიხეილ დიდი (იხილე Langlois, *Chronique de Michel Le Grand patriarche des Syriens*, 1868, გვ. 153—154). საიდან, თუ არ ქართულის წყაროებიდან? — ჩვენ დრომდე მოღწეული მეშვიდე საუკუნის რამდენიმე წარწერა ჯვარის-მონასტრისა, მცხეთის მანსლობად მთაზე, წარმოკვიდგენს იმ დროის საქართველოს მდგომარეობას და სრულებით ეთანხმება ქართლის-ცხოვების თქმულებას. როგორც ვიცით, მეექვსე და მეშვიდე საუკ. საქართველო საბერძნეთის გავლენას ექვემდებარებოდა. — ჯვარის მონასტრის ქანდაკი გვიჩვენებს სურათებს მთავრის სტეფანოზ I-ის (600—619) მის დიმიტრისას, ადარნასესას (619—639) და ადარნასეს შვილის სტეფანოზ II-სას (639—663): იმათში ადარნასე იხსენიება იპატოსად, სტეფანოზი პატრიკად. ესეც საბუთი: მეშვიდე საუკ. არაბთა სარდალი ხაბიბი სტეფანოზ II-ს პატრიკადვე უწოდეს. — ამ გარე ჭაჭტები მეშვიდე საუკუნეიდან მჩაუდებს, ამისთვის არ არის საჭირო, რომ უველასე შევადგეთ. მხოლოდ რჩოდე სიტყვა კიდე. ჩვენ ზემოდ მოვიხსენეთ კოსტანტინე პორფიროგენის წყარო ზემო-ქართლის

ბაგრატიდებზე. კონსტანტინე წარმოგვიდგენს იმათ გენეალოგას მეტსრე საუგ. გასულიდამ ვიდრე მეთერთმეტე საუგ. დამდეგამდე. ეს გენეალოგა თითქმის იგივეა, რაც არის ქართლის-ცხოვრებისაგან გადმოცემული შთამომავლობის სე. — ამ ცოტა ხანში აღმოჩნდა ერთი ძველი ტყაზე ნაწერი გუჯარნი ბაგრატ მე-IV-სა (1027—1372), შვილითურთ გიორგით. ამ გუჯარს საგნად აქვს მამულის სამზღვრებზე დაკა ოპიზარტა და მიჯნა-ძორეფთა ჭოროხის ხეობაში. გუჯარში მოხსენებულია სადა-ვო საგანზე ძველი გუჯარები გვარამ მამფალისა, ერისთავთ ერისთავის გურგენისა, ბაგრატ IV-ს შავის ბაგრატ III-სა და მამის გიორგისა. არაერთარ წინააღმდეგობას ამ გუჯარისას არა ვპოვებოდათ ქართლის-ცხოვრების ცნობაში: ამ ცნობით გვარამ მამფალი † 883 წ., ერისთავთ ერისთავი გურგენ † 968; მეფეთ მეფე გურგენ † 1008 წ., შვილი მისი ბაგრატ III მეფობდა 979—1014; შვილი ამისი გიორგი I 1014—1027; შვილი გიორგისა ბაგრატ IV 1027—1072 და შვილი ამ ბაგრატისა გიორგი კურატპალატი 1072—1088.

გ) რა მნიშვნელობას აძლევდენ როგორც ძველად, აგრეთვე შემდეგში სომხეთის მწერალნი ქართულ წყაროებს, აი ამისი დამამტკიცებელი საბუთი. ჩვენ ვუჩვენეთ ზემოთ ასომხური ხრონიკა ანუ უკეთ «ქართული ხრონიკა». ქართულიდამ სომხურად ნათარგმნი მეთორთეტე საუკუნეში. გარდა ამისა, ერთ-მა «აზიურის საზოგადოების» წევრთაგანმა, რომელიც ქართულის ისტორიის შესწავლას შეუდგა, განსვენებულმა შულცმა, თავის არხეოლოგიურ მოგზაურობაში 1830 წ. აღმოაჩინა სომხურ ენაზე ხრონიკა, რომელიც იმის სიკვდილის შემდეგ—შულცი მოკლეს ქურთებმა—იმის ქაღალდებში იპოვეს. ეს ხრონიკა შეიცავდა წელთ-აღწერას 1201 წლიდამ 1755.

წლამდე. მისი თარგმანი იწყო სენ-მარტენმა და, როგორც აღმოჩნდა, ის სრულნიკა არის ერთი ვარნიანტობისა ქართული-დამ სომხურს ენაზე ნათარგმნი, ჩვენი მსტიანე, თვით ვასუშტის ისტორიაში ჩართული. — ყველას სმენია სახელი ერთის გამომჩენილის ტარს ანუ ზემო-ქართლის ბაგრატიდის დავით დიდის გურატპალატისა, რომლის სიკვდილს მოახსენებენ 1001 წელს. დავითის მოღვაწეობას და მეტადრე მისგან წარგზავნას ქართველის ლაშქრისას ბიზანტიის იმპერიის შესაწვენელად, ბარდა სკლიაროსზე, რომელმაც მთელად ბიზანტია ააღლავა, მოგვიტოსრობენ ბიზანტიელნი, სომხეთის მწერალნი: აზოლიკი და ლაზდიკერი, ზარზიმის წარწერა და სხვა ქართული წყაროები. დაწვრილებით ამბავს ამ გალაშქრებაზე გადმოგვცემს ერთად მანუსკრიპტი, ტყავზე ნაწერი ათისა და თერთმეტის საუკუნისა, რომელიც ეგუთნის ივერიის მონასტერს. ათონისას და რომელიც იქიდან მომდინარე ამას წინად ბენედიკტე ბერმა და ჩვენ შემთხვევა მოგვცა იმის განხილვისა და შემოწმებისა სხვა წყაროებთან. აღმოჩნდა, რომ ამ წყაროდამ გამორეკეთია ცნობა დავითზე, როგორცათაც ქართლის-ცნობურებას, აგრეთვე თვით აზოლიკს: ისე ეთანხმება ჩრდილს ეს წყარო ათონის მანუსკრიპტს, რომ ჩვენს აზრზე ეჭვი არ შეიძლება. — რასაც რომ ვარდნი დიდი ანუ სტეფანოსი ორბელიანი (მეცამეტე საუკ.) საქართველოზე ჩვენ მოგვიტოსრობენ, ყველა ამ მოთხრობას ეტყობა ქართული მწერლობის კვალი: ცხადია, რომ იგი თითქმის მთლად არის გამორეკეთილი ჩვენის წყაროებიდან. თვითონ ვარდნი დიდიც და სტეფანოსიც უჩვენებენ ამ წყაროს. ვარდნი ამბობს: ივერიის მეფეთა ისტორიაშია იმათზე აი რა არისო ნათქვამი, როგორც ამას მღვდელი მხიტარე მოგვიტოსროსო. ეს მხიტარე, ანუ ლად ცნობილი, როგორც ამტკიც-

ცემენ, სცხოვრებდა მეტოქემეტე საუკ., მაგრამ იმისი ისტორია აქამომდე დაკარგულია. ამ მხიტარს თვით სტეფანოზიც მოახსენებს და ამასთანავე სტეფანოზს სულში ჭქონია, რომორც სჩანს, ნამდვილი ქართლის-ცხოვრება, რომელსაც ის ამ სახელსვე უწოდეს (იხ. *Всеобщ. исторія Вард. вел., издание Эмина, Москва, 1861, стр. 115—116; Brosse, Histoire de la Siounie, 1 livr, p. 212*). — კიდევ ერთი საბუთი ქართლის გავლენისა სომხურ წყაროებზე. მეცამეტე საუკუნის გასულს სცხოვრებდა სხვა მხიტარი აირივანქელი, რომელსაც შეუდგენია «სრონოლოგიური ისტორია». უოკელივე, რაც ამ ისტორიაში ცნობაა საქართველოზე, ბროსესს გამოუკვლია და ჩაურთავს *Les Ruines d' Ani*-ში, p, 160—174. თავის ისტორიაში, სხვათა ცნობათა შორის, მხიტარს შეუტანია სია საქართველოს კათალიკოზებისა და მეფეებისა. რომორც თვითვე ამბობს მხიტარი, მას აქ დედნად ჭქონია ქართული წყარო. ეს წყარო ყოფილა სუცური, რადგანაც იგი არშავს უჩვენებს არბაკად, ჯვანშერს—ჯვანშერადც და ჯვანბურადც. ამასთანავე მხიტარის ცნობები ეთანხმება უფრო მარამ დედოფლის ქართლის-ცხოვრებას, ვიდრე აკადემიის ვარინტს: კათალიკოზთა სიაში მხიტარი არ იხსენიებს ენონს სტეფანოზ II-ს დროს, სვიმონს გიორგი I-ს დროს, მელქისედექს, ოქროზიანს და გიორგი ტაოელს ბაგრატ IV-ს დროს, გაბრიელ საფარელს იმავე ბაგრატისა და გიორგი მე-III-ს დროს. ეს კათალიკოზნი არ არიან აგრეთვე მოხსენიებულნი არც მარამ დედოფლისა და რუმიანცოვის მუხუუმის ვარინტებში; ნაჩვენებნი არიან მხოლოდ აკადემიის ვარინტში. ისიც უნდა გვახსოვდეს აქ, რომ მხიტარის ისტორია თითქმის იმ დროსვე თავდება, რა დროსაც თავდება ძველი ჩვენი ქართლის-ცხოვრე-

ბა. მხიტარს შემოაქვს აგრეთვე თავის ისტორიაში სომხურის ასოებით ქართული სასულები ზოდიავის ნიშნებისა და სსკათა შეიღთა ვარსკვლავთა.

ასლა, როგორც მკითხველი ჰხედავს, ძველის დროის ქართლის-ცხოვრების შინაარსი არა თუ არ არის უარ-საყოფელი, არამედ მოითხოვს მეცნიერების მხრივ ყურადღებით შესწავლასა და გამოკვლევას. რომ მოძებნული ნაწილი ქართლის-ცხოვრებისა მირიანის მეივის დროდამ თანა-მედროეთაგან იწერებოდა, ამას ადგილ-ადგილ ქართლის-ცხოვრებაზე ცხადად გვიჩვენებს. ზოგიერთთა ეჭვი შეჰქონდათ და შეაჭკი კიდევ ქართლის ცხოვრებაზე იმ გარემოების გამოცა, რომ ქართლის-ცხოვრება არ იხსენიებს, რომელი მოთხრობა როდის და ვისგან არის შედგენილი. ეს მართალია; მაგრამ უმთავრესი ამისი მიზეზი, რომლის განხილვაში არაინ შესულა, იმითი აიხსნება, რომ ქართ.-ცხოვრება შეადგენდა სსკა-და-ასკა ვრცელთა კერძო სწონიკათაგან გამონაწერს საზოგადო საგითსავს წიგნსა. ამ სწონის საბუთს იმისი შინაარსივე გვაძლევს, როდესაც გვაუწყებს, მაგ., «ვითარცა წერილ არს არც ცხოვრებასა სომხთასა...» «...წიგნსა წამებისასა რიფსიმესასა (ავთანგილის ისტორია).» «ვითარცა წერილ არს ცხოვრებასა სპარსთასა...» «...ბერძენთასა». «...ვითარცა წერილ არს სრულსა ცხოვრებასა და სასწაულნი მათნი (ათორმეტთა სირიელთა მამათა) და დაისხნეს ეკლესიათა შინა ქართლისათა და აწ ვიწყოთ შემოკლებით ცხოვრება მათი». «...რომელი თითოეულად ჰქონდა ცხოვრებასა მათსა (აფხაზთა მეფეთასა).», «ვითარცა მოგვითხრობს ძველი მატანე ქართლისა», «ვითარცა მოგვითხრობს ძველი მატანე ქართლისა», «ვითარცა მოგვითხრობს წიგნი მეფეთა», «და ესე მცირედი სიტყვანი ვითარცა თეს-

ღის მკრებელმან მიმოგან თესილნი წმინდათა წერილთაგან  
 ერთად შემოკვრიბენ», «ვითარცა მოკვითსრობს ჩვენ აღწერი-  
 ლი გუჟარი, რომელსა შინა აღწერილ არიან მეიგენი და წარ-  
 ხინებულნი ტომებით და სოფლებით მათით». თუძესა, რომ-  
 გორც ეს გამონაწერი გვამცნებს, სირიელ მამათა და სხვა  
 წმინდათა კარემოებისნი მხოლოდ გავკრით არიან ნახელები ქართ-  
 ლის-ცხოვრებაში და ამასთანავე იმათი შემადგენელნი არ არიან  
 დასასვლელბულნი, მაგრამ მომეტებულს ნაწილს ამ წმინდათა  
 ცხოვრებისას ჩვენამდე მოუღწევია, რადგან იგინი იკითხებო-  
 დენ ეკლესიაში, რომორც ამას მოითხოვდა საეკლესიო გა-  
 ნიანი; ამის გამო თვითრეულის მათგანის ავტორებიც ვიცით,  
 ვინ არიან. ამას ვერ ვიტყვიტ საზოგადოდ საერო კერძო  
 სწონიებზე, რადგანაც იმათ ან არ მოუღწევიათ ჩვენამდე, ან  
 ჯერ არ არ არიან აღმოჩენილნი. მხოლოდ ორი-სამი შემთხ-  
 ვება ვიცით, რომელსაც ქართლის ცხოვრება მოახსენებს ავ-  
 ტორებს. აი ეს შემთხვევანი, რომელნიც სიტყვა-სიტყვით შე-  
 მოგვაქვს: «წიგნი ესე ქართველთა ცხოვრებისა, ვიდრე ვას-  
 ტანგისადმე აღიწერებოდა უძითი უძამდ. ხოლო ვასტანგ მე-  
 ფისიდგან, ვიდრე აქამომდე აღწერა ჯვანშერ ჯვანშერმან... და  
 ამიერიტგან შემდგომთა ნათესავთა აღწერონ, ვითარცა იხილონ  
 და წინამდებარემან უძამან უწყებად მოსცეს გონებასა მათსა...».  
 ესე არჩილის წამება და მეფეთა ცხოვრება და ნინოსაგან  
 ქართლის მოქცევა ლეონტი მროველმან აღწერა და ახლა იოანე  
 დეკანოზმან აღწერა». «ცხოვრება და უწყება ბაგრატონთა  
 ჩვენ ქართველთა მეფეთასა, თუ სადით მოიწივნეს ამას ქვეყა-  
 ნასა ანუ რომლით უძამდგან უზურიეს მათ მეფობა ქართლისა,  
 რომელი აღწერა სუმბატ ძემან დავითისამ». რა ეგუთვნის  
 ქართლის-ცხოვრებაში ანუ მრავლს, ანუ ჯვანშერს, ანუ იოანე დე-

კანონს არ ვიცით. არ ვიცოდით აგრეთვე აქამომდე, რა ეკუთვნოდა სუმბატს, რადგანაც ამაზედ მხოლოდ შენიშვნაა მიწერილი ძველს აკადემიის ვარაიანტში; მაგრამ როდესაც მარამ დედოფლის ვარაიანტი გავესწრეთ, ვნახეთ, რომ აქ სუმბატის ხრონიკა მთლად ცალკეა შეტანილი ქართლის ცხოვრების ტექსტში, იწყობა მეშვიდე საუკუნიდან და თავდება მეოთხეტე საუკუნეში ბაგრატ მეოთხეს დროს. დაბეჭდილს ქართლის-ცხოვრებაში კი დაგლეჯილია და აქა იქ გაფანტული. სუმბატის ვინაობაზე ცნობა არა გვაქვს. ჩვენის ფიქრით, ის უნდა იყოს ტაოელთ ბაგრატიდთაგანი, რადგანაც ამ ბაგრატიდების ისტორია ქართლის-ცხოვრებაში ეკუთვნის სუმბატს. ამასთანავე მხოლოდ ტაოელთ ბაგრატიდებთა შორის ვპოულობთ რამდენსამე სუმბატს დავითის ძეთა. იქნება იგია უკანასკნელი სუმბატ, რომლის სიკვდილსაც ქართლის-ცხოვრება უჩვენებს 1011 წელს და თუმცა სუმბატის ხრონიკა ცოტათი იმის სიკვდილს გადასცილდება, მაგრამ შესაძლებელია, როს ეს შემდეგი სხვამ განაგრძო. ამ გვარადვე უნდა იყოს აქა-იქ ქართლის-ცხოვრებაში დახვეული თვით მროკლისა, ჯვანშერისა და იოანე დეკანოზის ხრონიკები. ვნახოთ, იქნება ესეც აღმოჩნდეს რომელსამე ვარაიანტში.

სემო-სსენებულთ ცნობათა გარდა, ჩვენამდე მოუღწევია სხვა ცნობათაც ძველს ქართულ წყაროებზე, რომელნიც არ ვიცით, სად იპოვიან, კერძო სასლებში, თუ მონასტრების წიგნთა-საცავებში. მაგალითებრ, სად არის ბაგრატ მეფისაგან მესამე საუკუნეში შედგენილი «ათხასზეთის ისტორია», საიდან იერუსალიმის პატრიარქს დოსითეოსს მქვამდებოდა საუკ. ადგილობრივ გამოუყრეფია თავისი ცნობები და რომელნიც ქართლის-ცხოვრების ცნობათაგან განსხვავდებიან? სად არის ანუ

ის ისტორია, რომელიც, როგორც ვახუშტი გვარწმუნებს, ვასტანგ მე-VI-ის ბძანებით იყო შედგენილი გიორგი ბრწყინვალის დროდამ თვით ვასტანგ მეფემდე, ანუ ის მასალა, რომელიც ვახუშტისვე ჭქონია თავის გეოგრაფიისა და ისტორიის წყაროებად, ესე იგი, «იმერული ძველი გარიგების წიგნი, დავითნი მესხური, სუთ წიგნად განყოფილი \*), იმერული სძლის-პირი ეტრატზე, ტლამაძის აღმოწერილი ქარანოვანები, გუჯარნი ბარათი ნათა, თუმანანთა და სსკათა...» (ის. ქართ.-ცხოვ., II, 237)? სად არიან ის სსკა-და-სსკა გვარნი წყარონი, რომელთაც ბატონი-შვილი თეიმურაზ მოხსენებს თავის ისტორიაში და რომელნიც თვით იმას ჭქონია სელში.

ბევრი შრომა გვჭირდება საქართველოს წარსულის ცხოვრების გამოკვლევისათვის. ჩვენ უნდა გამოვიძიოთ და ცნობაში მოვიყვანოთ, სადაც კი, საქართველოში, თუ იმის გარეშე, გერძო სასლებში თუ მონასტრებში დაცულია ჩვენი სწონიკები. ჩვენ უნდა გადმოვწეროთ, თუ გადმოვსაზოთ ძველის ეკვსიების კედლებიდან, მინუსკრიპტებიდან და სანეკლეოთა სამკაულუბიდან ისტორიული მინაწერები, რომელნიც ბლომად მოიპოვებინ და რომელნიც, რამდენადაც დრო გადის, იმდენად ჩვენის დაუდგენლობით იღუბებიან. ჩვენ უნდა შევისწავლოთ შინაარსი გუჯარებისა და სიგელებისა, რომელნიც განაოცნარს სიმრავლეს შეადგენენ ამიერ-იმერის საქართველოს კეთილ-შობილთ.

\*) ამ მესხურ დავითნზე, რომლიდამაც ათიოდე ფურცელი განსვენებულის ვ. იოსელიანის ბიბლიოტეკაში ვიპოვე და რომელიც შეიცავს დიდად ღირს საცნობელს ცნობებს, იხილე ჩემი წერილი «Источники истории Вахушта», второй выпускъ Извѣстій Кавказскаго Общества истории и археологии.



სასალებში და სასამართლოებში, რომელთა მნაშენელობა ცხადად ჩანს იქიდან, რომ შოგიერთი იმათგანი სიტყვა-სიტყვით აწმს შეტანილი ჩვენს ძველსა და ახალს ქართლის-ცხოვრებაში და რომელთა მხოლოდ მცირედის ნაწილის შესწავლით თვით ბრძოლსა სემ საქართველოს პოლიტიკურს და საზოგადოებრივს ცხოვრებას ნათელი მოჭფინა. ჩვენ უნდა გავიცნათ ჩვენ წინა-პართ ნაწარმოები, საეკლესიო და საერო, რომელნიც ჩვენის წარსულის ყოფა-ცხოვრებას და ეკონომიურ მდგომარეობას გამოგვიხატვენ, ანუ გვიჩვენებენ წარმატებას სხვა-და-სხვა ხელოვნებაში, ხელ-საქმობაში, არსიტექტურაში, მანუსკრიპტების მინიატურებში (წვრილი მხატვრობა) და ტანკების მხატვრობაში, რომელთა შესწავლით შეგვიძლიან, სხვათა შორის, შევიგნოთ, რა დროს, სადა და სად, რა და რა ტან-საწყელი გვქონია. ჩვენ უნდა ჩვენი წყაროები შევამოწმოთ უცხო ტომთა წყაროებით, სომხურით, სირიულთ, ბერძნულთ, რომაულთ, არაბულთ და სხვ. რომელსაც ყველა ეს ცნობები გვქნება შემოკრებილი და შესწავლული, მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი ნამდვილის საქართველოს ისტორიის შედგენა.

აი, ჩემის თქმით, ჩვენის ისტორიის შესწავლის პროგრამა. მართალია, ძნელია ეს საქმე; ძნელია გაფანტულისა და მიძალულის მასალის შემოკრეფა; ძნელია იმათი მცნებურული შემუშავება ჩვენის მოუმზადებლობის გამო ამ გუარის მოღვაწეობისათვის, ჩვენის უღონისძიებობის გამო. მაგრამ თუ საზოგადოდ ვგრძნობთ საკუთარის ისტორიის შესწავლის საჭიროებას, ყველა-დამაზნელებელ შემთხვევათა თავიდან აცილება ადვილია. არის ჩვენში ყმაწვილ-კაცობა თბილისში და თბილისს გარეთ საზოგადო-სწავლით შეიარაღებულნი: განსაკუთრებულს ანუ სპეციალურის მომზადებისათვის საჭიროა მხოლოდ შრომა და იმ მეტოდის

შესწავლა, რომელიც ესლა გაადვილებულია, ამასთანავე ჩვენ-  
 გვეყვანან შემძლე პირნიცა, რომელნიც თავის შეძლებას არ დაჭ-  
 უოგვენ საზოგადო საქმისთვის; გვაჭკვს ბანკები, გვაჭკვს ის  
 ღონისძიებაცა, რომ, როდესაც საჭიროება მოითხოვს,, სა-  
 ზოგადო ლექციები და სხვა ამ გვარი შეამავლობა მოკინმა-  
 რთ. თავდაპირველად კი აუცილებელი საჭიროებაა, რომ სა-  
 ზოგადოება შესდგეს, რომ ამ საზოგადოებამ წესდება შეადგი-  
 ნოს და იმის ხელმძღვანელობით ხელი მიჭყოს შრომას. უა-  
 მისოდ საუბარი საუბრად დარჩება და საქმეს წინ კერ წავწევთ  
 ვერას დროს.

დ. ბაქრაძე.

## საანდაზო ლექსები

(ამოკრეფილნი «კეთხვის ტყაოსნიდამ», «ქიდილა და მანიდამ» და «გურამიანიდამ»)

ტ.

(ქიდილა და მანიდამ)

ტრელთა ენათა კერძალე,  
კატი გიუკარდეს ცნობილი.

ტრფილი თვისის ნუბითა  
სატრფოსა არ მოჰსცილდების.

ტანზე თავს ვინდა მოახამს,  
ფესვი თუ არ აქვს სანერგა.

ტიტინის ათასს კალასა  
ერთ ქრთილად არ ვიუდიო.

ტრფილების გზასა მავალს  
ბოლო აქვს მოუღებელი.

უ.

(ქილილა და მანილა)

უგურნებელი სენია  
შური თუ კაცსა ეცისა.

უცხოთა შეწყნარებასა  
ღმერთი გვიბძანებს ცხოველი.

უგანს აღუქსისა გაურა ჭსჯობს  
არისტოტელის თქმულია.

უგანის ბუნებისაგან  
ქმნა ნურა გაკვირს ნურასი.

უსაყვარლოდ ეს სოფელი  
რამტა იუოს საყოფელი.

უსამართლონი ნადაგ  
თვისთა გულთაგან იწვიან.

უცბებს ქარს ვინ ჭსდევს შეპყრობად,  
ვინ მოეწევის მდეუარი?

უჭკვოს მოყვარეს იგიუ ჭსჯობს  
ჭკვიასა მყოფელი მტრია.

უკუდო ვირი კუდისა  
საძებრად იარებოდა.

უსძენლად ვით მოვიწონო  
ადონისა სტკენანი?

ულხენელს ჭირსა ვინ ნახავს  
ტრუდის წამლითა ნარგებსა!

უმწეოდ ვით იმუშავოს  
ვინც შრომა გადიდა.

უმოუკრო კაცი, ვით ფიფქვი  
უმწეოდ დაილეოდეს.

უნჯთათვის ღომნი ჭაბუგნი  
ასნი, ათასნი არიან,  
მაგრამ რა სულზე მიდგება,  
სიკვდილი შეესარიან.

უქონელობის უძნელე  
თემზე არ არის სენია.

უწესო თემისა ყოველი  
საქმენი დარღვევიან.

უსანოს სოფლის სიკუთე  
ვის შეუსრულდა სრულადო?

უხუცესის ცასა აგზანუ  
 მონაწილეთა ისარი.

უცოდინარნი ჭაბუგნი  
 ხალად არ ეღირებიან.

უგვდავებითა მონათვლენ  
 დაუღუგველი დღენია.

(გურამიანიდამ)

უსწავლელი ვაჟი-ვატი  
 სიბერის დროს გაწილდების.

უგვანად დიდის მძებნელსა  
 ვატარაც დაკვარების.

უსივრცვილეს თუ არ ანცხვენ,  
 ბაძით მოვრცვიც გაურცხვდების.

უქმად ბერისა მჭაძელი  
 გაუძაძლარი ღორია.

უწმინდურთ ქალთა  
 მჭრო-ქსოვილთ კალთა  
 დაჭფარავს კეჩა.

(ვეფხვის ტყაოსნიდამ)

შბულო კაცი ვერ კაცობს,  
კაცთაგან განაკიდიან.

უცებნი მოსწონის მცოდნეთა  
ცოდნამან, სელოვნებამან.

უსკად გაჭსტემდი, ზღვათაცა  
შეჭსდის და გაედინების.

ფ.

(ვეფხვის ტყაოსნიდამ)

ფათურაკი სწორად მოჭკლავს  
ერთი იყოს, თუნდა ასი.

(ქილილია და მანიდამ)

ფარშავანგი მწერის მზგავსად  
არა თქმულა, არ შობილია.

ძ.

(ვეფხვის ტყაოსნიდამ)

ქმნა მარტლისა სსმარტლისა  
ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად.

## (ქილილა და მანილამ)

ჭარჭვეტს ჭარი სწრაფად შეჭსძრავს  
და ანა ტინს მუანად მდგომელს.

ჭა სხეკალსა ვერა გაჭსტეს,  
ცუდად ძალსა აცადუნებ.

ჭარი თუ ღრუბელს ატარებს,  
კლდე ჭარსა გაიმსატარებს.

ლ.

## (ვეფხვის ტყაოსნიდამ)

ღმერთმან ერთი რად აცხოვნოს,  
თუ მეორე არ წაწყობინდოს.

ღმერთი ბოლოდ ღვინსა მისცემს,  
ვინცა შირველ ჭირთა გაჭსძლებს.

ღმერთი გუარავს, სწორად გაჭკვეტს  
შეშა ვის ჭსტე, თუნდა ხმალი.

ღვარსი რა ზღვათა შეერთვის,  
მასშინ ეტრეცა წუნარია.

ღმერთი კარგსა მოაკლენებს  
არ ბოროტსა არ დაჭბადებს.



ღმერთთა მზრდელი ყოვლისა  
დანერგულ-დათესილისა.

---

ღმერთსეუ მადლი: ესე იყო  
წადილი და მისი ნება.

---

ჟ.

(ვეფხვის ტყაოსნიდამ)

ყოლა ღვინთა ვერ იამებს  
კაცი ჭირთა გადუხდელი.

---

(ქილილა და მანილამ)

ყოველს დროსა სიტყვა უნდა,  
ლაზარეს მისი ადგილი.

---

ევაისა გვერცხი  
ევაისა ჭშობს.

---

ყოველი უური ვერ შეჭმდებს  
სვაშიადისა სმენასა.

---

(გურამიანიდამ)

ყოველი წულბ მშობელთა,  
მზგავსი მგზავს ემგზავსუბიან.

---

ურმა სწავლაში დამშვიდდების,  
რკინა ცეცხლში დაბილდების.

ყინვა ხორცს მაწრობს,  
სიცხე სულს მაძრობს.

უკვლამ იცის, რომ ჯახანს კაცს  
გულს უკვლავს სხვის მამაცობა.

შ.

### (ვეფხვის ტუაოსნიდამ)

შიში გერ იხსნის სიკვდილსა,  
ცუდია დაღრეჯილობა.

შენ გეკას ირგებ, მე მარგებ,  
ძმა ძმისა უნდა ძმობილო.

### (ქილილია და მანიდამ)

შენივე ტომი შეიტგებე,  
ნუ გაკლი სხვისა არესა.

შეოთვის მტერს უნდა მიუშვა  
გამოცდილების მდინარე.

შეუცოდარი მამატი  
გულგონად გამბედავია.

---

(გურამიანიდამ)

შენთვის ღახვრით დაჭრილსა,  
გულსა ცრემლით ჰხანდელ.

---

შენც იმ გზასკად სარ წამსვლელი,  
სად მამა-მამათ უვლია.

---

ჩ.

(ვეფხვის ტყაოსანიდამ)

ჩქარად ეტეს, ვერ გაუძლებს  
გული ღზინსა მკობის-მკობსა.

---

(გურამიანიდამ)

ჩემს თეთრს თულუნს არეინ გაჭსტვლის,  
შენს შავს არახტელ.

---

ჩაკვარდი ცოდვის სნარცვშია:  
ვსტადე და ვერ ამოკვლა.

---

ჩემთან კი ბუღებდეს,  
სხვათა კვერცხს უღებდეს.

---

ც.

(ვეფხვის ტყაოსნილამ)

ცუდი არის დამზრალისა  
გასათბობლად წყლისა ბერკა.

---

ცუდთა კაცთა საუბარი  
კაცსა მეტად დააჭმუნებს.

---

(ქილილა და მანილამ)

ცუდია იგი მამაცი  
დაცმა მოაღორკისა.

---

ცა მიჯსრემს უცოდინარსა  
სადავეს საწადლისასა.

---

(გურამიანილამ)

ცუდსა მეთევზეს შერჩება  
უბრალოდ წყალთა მღვრეებანა.

---

ცოცხალიც აჩუის ვახსოვარ,  
მკვდარს ვინღა მომიგონებსო.

---

ცრუვან საწუთრომ რაც მომცა,  
ისეკ იმანვე წამართო.

---

ცხენი მარტო მარბენადი  
მუხლ-მოკლედით გამაღდების.

---

d.

(ვეფხვის ტუაოსნიდამ)

ძნელია პოვნა კაცისა  
ღვთივ ზეცით განაწირისა.

---

(ქილილა და მანიდამ)

ძუნწობა ჭსჯობს გაროქვასა.

---

ძელი რომ წყალში ჩააგდო,  
იტოღე არ დასძირავსა.

---

(გურამიანიდამ)

ძრახუავე ჭსჯობს სამრახუსა  
ძრახვას კაცი მოუფრთხუების.

---



(ვეფხისტყაოსნიდან)

წასვლა ჭსჯობს წარმატებისა  
აწ დაუოკნება ხანისა.

წესი აწის მამათაგან  
მოჭირვება, ჭირთა თმენა.

წელულსა დანა ვერა ჭკურნებს,  
გაჭკვეთს, ანუ გაამსოვნებს.

წარსდა ჩემი ჭირნახული,  
ვერ მოვიძვე, რაცა ესთესი.

წყალსა სწრაფად ნუ დასსამ  
რეცხლსა ძნელად დასაშრეტსა.

(ქილილა და დამნიდამ)

წუთის სოფლისა სურვილი  
უგუნურება მკონია.

წასული საქმე მოქცევით  
აწ გაგონილა აწ ოდეს.

წვერის დგლეჯა ჭსჯობია  
 ცოლისა ხელთა უოფასა.

წამხდარს საქმესა რას აჩებს  
 მერმელა თითხედ კბენანი?

(გურამიანიდამ)

წესია საშენთ აღმშენთა  
 პირველ საფუძელის დადება.

წუთს მოყვარესა დამოყვრდნენ,  
 მკვიდრსა დაუწყეს მტრობაო.

წარწემენდილია ვინცა ჭსთქვას  
 ძმასთან ძმის დანაშორები.

წაღმა ბრუნავმა დრო-ჟამმა  
 უგულმა შექმნა ტრიალი.

ჰ.

(ვეფხვის ტყაოსნიდამ)

ჭირსა შიგან გამაგრება  
 ასე უნდა ვით ჭკით-ვირსა.

ჭირსა გადრეკა ან უნდა,  
 რა სსსაუბრო პირია.

---

(გურამიანიდამ)

ჭირს მყოფი ლხინში შესული  
 შეებად მიითვლის ვნებსა.

---

ჭკუა უხმარ არს ბრეფოთათვის  
 ჭკვა ცოდნით მოიხმარების.

---

ჭკვის უკეთესი საქონლად  
 არა რა საქონელია.

---

ბ.

(ვეფხვის ტუაოხნიდამ)

ხამს თუ ვაფი ან შეუდრეკეს,  
 ჭირს მიუხდეს მამაცურად.

---

ხამს თუ ვაფმა გონიერმა  
 ძნელი საქმე გამოაგოს.

---

ხსოვნა არა ხამს ჭირისა  
 ვით ღლისა გარდასრულისა.

---



სამს მოყვარე მოყვრისათვის  
თავი ჭირსა ან დამრიდად,  
გული მიჭსცეს გულსისათვის,  
სიყვარული გზად და ხიდად!

სამს მამაცი გულკონობდეს,  
ჭირსა შიგან ან დადონდეს.

(ქილილა და მანილამ)

ხაზად ნუ ითხოვ ხმოსანი  
მუტობი ხარ, თუ მგოსანი.

ხმალი არა ვკრათ, არ ვარჯა,  
უფროსე გვიძახუნებენ,  
ჭაბუკად ვინდა გვახსენებს,  
დაცნიც დაგვიწუნებენ.

ხან მოყვრობისა რძე და თათული ჭსდით,  
ხან სამტეროსა ისარს ისკრიან.

ხინატელისა ქონასა  
ნუ დასჯერდება გონება.

(გურამიანილამ)

ხელში საჭერი კეთილი  
შეგვექმნა სამებნულია.

ხან სიტხით დამწავ, დამდაგავ,  
ხან სიტყვითა მუინავო.

---

ჟერ მწარე ჭამე, კვლავ ტკბილი  
თუ ემე გემოვნებსა.

დასრულდა.

---

# ქართულთ სამართო მისი ფილოლოგიასა და ლექსი- კომპრაზიაზედ

(ფილოლოგიური ესკიზები)

## 1. თვალთ ანუ თეატრი

ამ სიტუაციაში ჩვენ ვპოულობთ მიმდევრების დაბრუნებას აწმყო დროის მოქმედებითა და შემთხვევით; სწავლობს რადიკალური უცხოების შემთხვევით. ეს შემთხვევა, ესე იგი თუ, სოციალური წინააღმდეგობა აღარაღიფრებს ენაზე—მოტანას, მოუვანას. ამ ფესვითგან რომ არ სწავლობს ქართული სიტუაცია მომტანის, მატარებელის მნიშვნელობითა? მე ვგონებ, რომ ეს თ მსახურება შედეგად საზოგადოებრივ მისახვედრებელის მნიშვნელობითა შემწვევრულ ღონედ მრავალთა შემთხვევა შედგენისათვის. მომტანის მაგალითად სიტუაცია თნება, რომელიც წინააღმდეგობა მიფრებას, აქვს ცხადად ფესვი ნება, ესე იგი, მოხსენებულს შემთხვევაში წინააღმდეგობა—ვისისამე ნებისაებრ მოქმედებას.

რომ არა აქვს მასთან სამართო კავშირი და-საც, როგორც მისაბამს (приставка) მრავალთა შემთხვევა დასაწყისში, რადგანაც ერთმანერთზე გარდაცვლა და და თ, სამართო თვისება ქართულთა ენათა; როგორც მაგალითად თ აღმნიშნული ქართულს ენაში სიმრავლისა, სკანურში და-და იცვლება?

## 2. თანდებული pari სოფლისებურთა წარწერილობათა

(შესწორება სეისის წერილის შესახებ)

Menuas'-ის მე-X-ე წარწერილობაში, სეისის წერილში მოხსენებულია თანდებული pari (პარი), სოფლისებურად  $\geq \text{I} \geq \text{II} < \text{I}$ , აღმნიშვნელი სიტყვისა გან, ანუ მიერ. სეისი სწერს: it is curious that in Georgian par is 'to steal'. აქ დიდებულმა მეცნიერმა ადგილი მისცა პარტაკს შეცდომას. ქართულად მართალია არის ერთი ზმნა პარება, რომელსაც აქვს მნიშვნელობა წარტაცებისა, გაჭურდვისა და არა par (პარ). სოფლისებურად ეს ზმნა უნდა ყოფილიყო parubi (პარუბი).

## 3. პრეფიქსი მესამეს პირისა ქართულის ზმნის მე-II-ე უღლვილებისა

ამ შენიშვნაში განზრახვა მაქვს ახსენა, რას ნიშნავს უცნაური უ ზმნის მე-II-ე უღლვილების მესამე პირისა, რომელსაც ვხვდავთ პრეფიქსად ზედშესრულის შედარებით სარისხებში (შეთანასწორებითი უ და აღმატებითი უუ) და რომელსაც ავრეთვე ვხვდავთ მნიშვნელობით არ ქონებისა, არ ყოლისა (რუსულის ნემხ)?

ამ უამად უგანასკნელ ორს. შემთხვევას ცალკე გტოვებ, რადგანაც აქ უ სხვა ფესვიდან უნდა იყოს წარმომდგარი, რომელსაც შემდეგს შენიშვნებში, ვეცდები, განმარტება მივსცე. პირველის შემთხვევის გამო ვი ვიტყვი, რომ სოფლისებურ წარწერილობაში

იზოგება ნაცვალ სახელი *udas* (უდას), რომელიც ჰნიშნავს სიტყვას ეს. ამასში ხომ არ უნდა მოვსძებნოთ წარმოება მოხსენებულის პრეფიქსისა, რადგანაც სხვა ენებშიაც ამ გვარი შემთხვევა იშვიათი არ არის. მაგალითად ჰტონებენ, რომ *i* მესამე პიკისა სემიტურის ენებში წარმოსდგა ნაცვალ-სახელისაგან *iati*, ჭართულად თვით, რომელიც დაწინიდა მხოლოდ სამარტულთ ენაში.

#### 4. ურია ანუ ჰურია

ბერძნული თეორია დაუდგენიათ ამ სიტყვის სახსენებლად და მასთან, როგორც კხედავთ, ყოველგან უფროდღებოდ დაუტოვებიათ ჭართულთა ენათა უბრალო გადაცვლა ხმათა. მე ვლანაწარმოებ გარდაცვლასზე ევ ჭართულ უ-ად. ამ ყველასათვის უცნაურის სიტყვის სახსენებლად მე ორს თეორიას ვარდგენ: ერთსა, რომ ეს გარდაკეთება ბერძნულის (ბიზანტიურის გამოთქმით) ევრიოს-ისა, ანუ რომ ებრაულის *eber*-ისა (ჭართულის გამოთქმით ჰებერ). პირველს დასკვნასზე ადვილად მივალთ, როდესაც ბიზანტიურ გამოთქმის ამ სიტყვისას ევ შევცვლით უ-ად და მოკვეთთ ბერძნულს დაბოლოებას. ამ მოსაზრების სასარგებლოდ გვემოწმება მოსე ხორენელის ცნობა (II, IX), რომ სომხეთის და მესსადაძე საქართველოს ებრაელები მიმდევარნი იყვნენ რაბბის ქანანისა და რაბბის ელიაზერისა, რომელნიც, ტალმუდის სიტყვით, სცხოვრებდნენ იერუსალიმის ტაძრის დარღვევის შემდეგ და მასსადაძე მხოლოდ ამ დროს შემდეგ მოვიდნენ საქართველოში, თუმიცა კი არ ეთანხმება მართანეთა ჩვენებსა, რადგანაც ძნელად შესაძლებელია, რომ ქანანის თვისის სწავლის მიმდევარნი ეპოვნა კავკასიაში. მეორე მოსაზრება იმაში მდგომარეობს, რომ ეს სიტყვა *eber* ხალ-

ხისკუთრის ენის გამომეტყველების თვისებით შეცვლილა. ამის სასარგებლოდ ის გარემოებაა, რომ აჭამომდე არ ვიცით, კავკასიაში მოსასლე ებრაელები ამ სიტყვას როგორ სმარობდნენ. ფრიად შესაძლოა, რომ ვ ისინი ასე გამოთქვამდნენ, როგორც W (უ), ესლანდელი ებრაელებისავით პოლშაში, და რომ ისინი სმარობდნენ ძველს დაბოლოებას i, როგორცა ჩანს ფინიკიურის სიტყვებიდან. ამ გვარად შეიძლება ავსხნათ სომხური სიტყვა, რომელიც ქართულად ასე გამოითქმის ჰირეაჲ და რომელშიაც ჰირ ნაშთია, ვგონებთ, გამოთქმისა: აინ-ისა.

## 5. Schiri (ქართ. გამოთქ. შირი). სოფლისებურთა წარწერილობათა.

(ეტიმოლოგია სეისისა ჩემის მოსაზრების დამატებით)

შულცისაგან გადმოწერილ მე-XVI წარწერილობაში არის სიტყვა შირი, რომელსაც მნიშვნელობა აქვს შურის ორმო-სი, ქვის სათელავისა; სეისი ამ სიტყვას ადარებს პლანი-სისაგან თავის Historia naturalis-ში (XIII, 73) მოხსენე-ბულ კაზადოკიურ სიტყვასთან siros (სიროს), (ქართულად ნიშნავს ორმოს) და მოჭყავს ქართული soro (სორო) აღმნი-შვნელი სვრელისა და სომხური schirim (ქართ. გამოთქმით შირიმ), აღმნიშვნელი სათელავისა. მე ვუმატებ ამას სომხურ sor (ქართ. გამოთ. სორ) იმავე მნიშვნელობით, როგორც ქართული სორო და ვგონებ, რომ ამ სიტყვაში რაღაც თამა-შობენ ისეთი სიტყვები, რომელნიც საერთოა არიან საზო-გადოდ ქართველთ ენისა. (ქართულია მეგრული, სვანური) ღ

სახელდობრ შ, რომელიც აღნიშნავს საგნის შინაგანობას და რომელიც წარმოებულია ომნისაგან: შინება და არსება (ყოფნა). აქ ა-ნი ხშირად იწველება ო-ნად, როგორც მაგალითად ქართულად ვარ, სქანურად არის უორი.

ალექსი შრაენ.

19 ივნისს, 1884 წ.

ს.-პეტერბურგი.

## ხ ი ლ ა ლ

### (კოდით - კიდემდე)

«მშვიდობიანობისა და თავისუფლების კავშირის (ლიგის) კრების (კონგრესის) სხდომები შვეიცარიაში. — სიტყვა სხვაა, საქმე სხვა, შუა უზის დიდი ზღვარი. — გერმანიელთა და ფრანცუზთა სუსტი მხარე ანუ ალზას-ლორენი — ხალხთა-შორებრივი საექიმო კრება დანიაში. — პასტერის სიტყვა. — ახალი ფარ-ხმალი ცოფისა და ცივების წინააღმდეგ. — ქართველ პოეტებიდამ უცხო ენებზე თარგმანნი. — გრაფ ბობრინსკი, მეუნარგია, ლეისტი და მხორევესკი.

სხვათა სამეცნიერ და კაცთ-მოყვარეობითი გრძნობით გამსჭვალულ საზოგადოებათა შორის, ევროპაში არსებობს ერთი საზოგადოება, ანუ უკეთა ესთქვათ, კავშირნი იმ პირთა, რომელთაც სწადათ და რწმენათ, რომ ყოველი დიდი და უადრესი ხალხთა-შორებრივი საქმე სახელმწიფოთა შორის უნდა სწუდებოდეს არა ტეტხლითა და ხრმლით, როგორც დღეს ვხედავთ, არამედ მოპირდაპირე მხარეთა შეთანხმებით არჩეულას მედიატორეთა მსჯავრის ძაურ. ამ მოწადინე და დაწმენებულ პირთა შე-



ერთებას ჰქვია «კავშირი (ლიგა) მშვიდობიანობის და თავისუფლებისა». მრავალი წარჩინებული პირნი ევროპის პოლიტიკური ასპარეზისა, მრავალი ნიჭიერი პოეტნი და მწერალნი იღებენ მონაწილეობას ამ კავშირის მცნებათა გავრცელებაში, მაგრამ, ჟერ-ჟერობით მაინც, იგი ჰგავს დღე ნაკლებად შობილსა და უნიადგო დაწესებულებას. დიდი უმრავლესობა აწინდელი ევროპის მმართველობათა წევრებისა და საზოგადოებისა, არა თუ დაცინვით, მტრულად თვალითაც უყურებენ მას, როგორც იმისთანა კავშირს, რომელსაც საგნად აუღია ბარბაროსულის, უოკლად ბრძანდის ძალადობის მოსპობა სინაღისისა და სიმართლის საქმეებში, და რომელიც მიესწრათ სამართლისა და სამართლიანობის მეუღების აღორძინებას ხალხთა-შორებრივი ცხოვრების უაღრესს საქმეებში მაინც... ადვილი გასაგებია არის, თუ მოხსენებულ დაწესებულებათა წევრთ უმრავლესობა და მათ გავლენის ქვეშ აღზრდილი საზოგადოების უმეტესი ნაწილი ასე უყურებს «მშვიდობიანობისა და თავისუფლების კავშირის» მოღვაწეობას. საკვირველს ვხედავთ იქ, სადაც არ იყო მოსალაღონელი. ამას წინად შვეიცარიის მთავარს ქალაქ ბერნში იყო წლიური ჩვეულებრივი სხდომები კავშირისა. ამ სხდომებზე უნდა მოეპოვებინათ დონისძიება რამების მოსპობისა და ნაცვლად მედატორეთა სამსჯავროის შემოღებისათვის. სიტყვა ჩამოვარდა, სხვათა შორის, იმაზედ, რომ, რადგან ჟერ-ჟერობით რამები მაინც სუფიქსენ, სანამდის ეს მათი სუფიქსა გადავარდებოდეს, ის მაინც მოვასხერხოთ, რომ რამის დროს ზოგიერთი მიწები და გზები მიუდგომელად, ნეიტრალ-

ლურჯად იქმნან აღიარებულნი. წარმოითქვა თუ არა ეს წინა-  
 დადება, ფრანცუზები მაშინვე მოეჭიდენ მას, როგორც  
 სასლსა და მოულოდნელ კავს, და შეიტანეს წინადა-  
 დება, რომ რადგან ასეა, მაშ რამის დროს აღზას-ლო-  
 რენი ნეიტრალური მიწა იყოსო! პირდაპირ გულში მოხვდათ  
 ეს სიტყვები ნემცებს, რომელთაც ჯერ კიდევ უელში აქვთ  
 კახსირული უბედური აღზას-ლორენი, ეგ ჩინებული რამ  
 მხრსა, 150 წელთ განმავლობაში საფრანგეთისაგან ნაფუფუ-  
 ნები და აღუვაკებულთ, მაგრამ ნაპოლეონის III წყალობით ლუ-  
 დის თაყვანის მტკემელთაგან დაპყრობილი. ამიტომაც ნემცებ-  
 ში განაცხადეს კრებაში, რომ ისინი მეყვსეულად მიატოვებენ  
 სხდომებს, უკეთუ ფრანცუზების ხრეიანი წინადადება შეწყნარე-  
 ბულ იქნება. ეს შემთხვევა კერძა ჰკრავს გერმანიის გამოჩენი-  
 ლი მსუღარო-მთავრის სიტყვებს, კავშირისადმი მიმართულთ:  
 პასუხად იმ თხოვნაზე, რომლითაც მას იწვევდენ ამ საზოგა-  
 დების წევრობის მისაღებად: «ჯერ კიდევ ბევრი გოგა წყა-  
 ლი ჩაივლის, ჯერ კიდევ მრავალი საუენენი შეტურდება წყვდა-  
 დის სივრცეში, ვიდრე ხრმაღს კალამი შესცვლის, თოფ-იარაღს  
 —მელანი, ზარბაზანს—ეპისტოლე და გონიერი მსჯავრი—  
 რმსაო.»

\* \*

რმის ასაცილებელი წამალი თუ ჯერ კერ გამოუგონიათ,  
 თვით წამლის სამთავრო — ეჭიძობა ანუ მედიცინა, როგორც თე-  
 რეთიკული, ისე პრაქტიკულიც მსწრაფლი და გარდნაქმნი-

ჭაიანის ნაზიჯით მიდის წაღმართ-წაღმართ. ამას ამტკიცებს ის დასკვნასი მეცნიერ ექიმთა, რომელნიც წარმოითქმებიან სოღმე მათს რექტორატებში ჩვეულებრივს წლიურს ვრებაზე ევროპისა და ამერიკის ერთსა თუ მეორე ქალაქში. წრეულს ვრება იყო დანიის სატასტო ქალაქ გოპენჰაჰენში. არც ერთს ამისთანა ვრებაზე, როგორც სამართლიანად სთქვა ინგლისის მეცნიერმა ჯექს ჰაჯეტომ ან დასწრებას იმდენი ექიმი—მეცნიერნი და გარეშე მსუფრებლები, რამდენიც წელს დაესწარო. 1,400 მეცნიერი—ექიმი და 300 მსუფრებელი—ადგილი სათქმელის! მთელი დანია, მეთვის სასულემწიფოდამ დაწყებული უბრალო ქალაქელ მუშამდე, აღტაცებულს სინარულთ მიეგება ამ ფრიად საყურადღებო ვრებას, რომლის სხდომებზე ყოველ-დღეობით ესწრებოდნენ სამასი წარჩინებულნი პირნი დანიის სამმართველო წრისა და მათ შორის თვით მეფე და დედოფალი დანიისა, მინისტრები და სხ. იყვნენ აგრეთვე საბერძნეთის მეფე და დედოფალიც. მრავალ მეცნიერთ შორის პირველი ადგილი ეჭირათ: ჰასტერსი, საფრანგეთის უმთავრესს წარმომადგენელს ამ ვრებაზე, და ვირსოვს — გერმანიისა და ჰაჯეტს ინგლისის წარმომადგენელს. სხდომებზედ თავსმჯდომარეობდა დანიის პროფესორნი ჰანუმი, რომელიც ვრების განსწავლას ვრებობის შესაფერის სიტუაციით მიეგება სპატიო სტუმრებს. «ამ გვარ გონგრესთა (ვრებების) საგანი არის—სთქვა ჰანუმი—ბრძოლა კაცობრიობის მტერთა წინააღმდეგ, ე. ი. წინააღმდეგ ავად-მყოფობათა და მათ მიზეზთა. ამ კეთილშობილურმა საგანმა უნდა აღძვრას წყნართა შორის დიადი გრძნობა ძმობისათ. ამ შემდეგ ყურადღება მიაქცია თავის სიტუაციაში ვრების სხვა-და-სხვა ტომობასა. ერეკლესებს არავითარად ვაჟმირი არა აქვს მეცნიერებასთანა, ჩვენს ვრებას მასთან არაფერი საჭმე არა აქვს. აქ საჭმე არ

ეხება ანც ერკონულთ და ანც ჰოლიტიკურ სანგნებსაო. ერთიც  
 ანის სიტყვა შემსები ერკონულთ თავ-მოყვარობისა და უში-  
 რატესობის მიმტეში რომელმე ერკონებათაგანისათვის იქნებო-  
 და შეუწარსყოფა გრების ყველა წევრებისა, რომელთაც თანხა-  
 რის უფლებით შეუძლიათ თავ-თავის ერკონობით ამაყოფა და  
 ერთი და იგივე გვარნი ვალი აქვსთ თავ-თავისა სამშობლოის-  
 სიყვარულისა. მე ღარწმუნებულთ ვარო, რომ ყველა ამ გრძნო-  
 ბათ შეინახავთ ჩვენს გულთა სიღრმეშიო». ჰან-უმის მერმე  
 ილაზარაჲსა გერმანიის წარმომადგენელმა ვიწროვმა და შემდეგ  
 საფრანგეთისამ—ჰასტერმა. ხანგრძლივი ტაში და გრძნობით  
 დამსილი მრავალი ბრავო ერგო ვირველ ორს მჭევრ-მეტეველთ,  
 მაგრამ მესამემ, როგორც ამ ორს, ისე სხვებსაც ერთობ გა-  
 დასტარება იმ თანგრძნობით, რომელსაც მეტის-მეტი გულ-  
 აღტყინებით და სიფიცხით უცხადებდა მას ორი ათასი ევრო-  
 პიელთ რჩეული საზოგადოება. როცა წარმოხდგა ჰასტერი—  
 ასე მოგვითხრობენ გაზეთებში დაბეჭდილი ანგარიშები—გაცნ-  
 ეტონებოდა ირვეკოდნენო უზარ-მასარის ღარბაზის სვეტნი,  
 ისეთის ატეხილის, რამდენიმე წამის განმავლობაში შეუწყვეტ-  
 ლის ტაშის კვრით მიუგებნენო მას. » როდესაც შესწყდა ტაში,  
 გრების სხდომათა გმირმა თავის დედა-ენაზედ, რომელიც მას-  
 თანავე ანის ხალხთა შორებრივი, ენაც, საფრანგეთის მაგიერ მად-  
 ლობა უძღვან თავსმჯდომარეს მეცნიერების ხელუხლებელ (ნე-  
 იტრალურს) ბალუუმზე (ნიადაგზე) დაუენებისათვის. ჩვენ ვა-  
 მოწმებთ—ამობდა იგი—ამ ნეიტრალობას ჩვენს უოფნით ამ  
 გრებაზე; ტაშს ვუგრავ პატივცემულის ჰან-უმისაგან წარმოთქმულ  
 გრძნობებს. მეცნიერებას ანა აქვს მამული, ანუ, უკვლ ვსთჭვათ,  
 მეცნიერების მამული შეიცავს მთელს კაცობრიობას. აქ უოფნა  
 დანიისა და საბერძნეთის მეუფებისა, რომელნიც საღამით და-

უხვდენ ქვეყნის ყოველ კუთხიდან შემოკრებულ მეცნიერებს, განა არ აკურთხებს ამ ჭეშმარიტებას? მაგრამ, ბატონებო, მეცნიერების კაცი უნდა ზრუნავდეს ყველაფერზე, რასაც კი შეუძლია მისი მამულის სახელის განთქმა: ყოველს დიდ მეცნიერში თქვენ შესვლით დიდს მამულის-შვილს. თვისი მამულის სახელისათვის რაიმეს შეძინების აზრი, მეცნიერს ამხნეებს ხანგრძლივის ღვაწლისათვის; ახუმებული პატივ-მოყვარეობა, რომელიც აწუხრებს მას თავის მამულის ნახვას კაცობრიობის წინა რაზმში, იძულებულ-ჭეოფს აიტანოს დიდად ძნელი, მაგრამ სახელგანთავსა, რომელსაც აგვირგვინებს საუკუნო ძლევა-მოსილება. მამინ კაცობრიობა სარგებლობს ამ მონადგაწებით, ქვეყნის ყოველ კიდიდან მომდინარით; ადარებს მონადგაწს მონადგაწთან, მათს აჩვენებენ შედის, და სიამაყით იფლავს, ისაკუთრებს ხალხთა დიდებას—მეცნიერთა მონაგარს. თქვენ, ბატონებო, წარმომადგენელნი. კაცობრიობის საამაყო ცოდნათა; თქვენ, აქ მოხმანებულნი მსოფლიოს საღაროში თქვენის შრომის მოყვარეობით მონადგაწის შესატანად; თქვენ, რომელთ სახელი შეადგენს თქვენის ქვეყნის სიამაყეს—შეგიძლიათ იამხარტანეთ მით, რომ თქვენის მამულის სარგებლობისათვის მოღვაწეობით, მთელს კაცობრიობას უწევთ სამსახურს! »

მეორე სხდომა პირველზე უფრო მრავალ-წევროვანი ყოფილა, რადგანაც ამ დღეს (თერთმეტს აგვისტოს) პასტერს უნდა წაეკითხა რეჟერატი ცოფის თაობაზე.

\* \* \*

მეოთხულს კარგად მოეხსენება, რომ ცოფით დაშხამულს დღემდის წამალი არა ჰქონდა. აგრეთვე კარგად იცის ყველამ, რომ ცოფისაგან სიკვდილი ყოველ გვარს სიკვდილზედ უსამინელესია. პასტერს ბევრი უცდია, რომ როგორმე დაეხსნა

კაცობრიობა ამ საშინელი სენისაგან, და ბოლოს მიუგნია უბნარი ღონასძიებისათვის. პირუტყვებსეუდ ბუერი ცდის შემდგომის დაუძირებლობა, რომ ცოფის აცრა შეიძლება იმ გვარადვე, რა გვარადაც უფროან ყვაილსა. ცოფი, ერთი პირუტყვიდგან გადასული მეორესეუდ, მეორედგან მესამესეუდ, მესამედგან მეოთხესეუდ, და სსკებსეუდ, თუჩმე თან-და-თან სუსტდება, და თუ ეს შესუსტებული ცოფი აუტერით ჟან-მრთელს პირუტყვს, იგი ცოტადანად უჭეიფოდ გახდება, რომლის შემდეგ ცოფი სრულიად აღარ შეეჩება, თუნდაც რამდენჯერმეც დაგლეჯილ იქმნას ჯანჯანებულნი ძაღლისაგან, ან სსკა პირუტყვისაგან. ვასტერს საგანგებოდ არჩეული კომისიისათვის წარუდგენია პარეუმი ოც-და სამი ცოფით აცრილი ძაღლი და ამდენივე აუტრელი; კომისიას ჭეხებში დაუჭერია ცოფიანი ძაღლი და ყველა ვასტერის ძაღლები დაუგლეჯინებია. დაგლეჯის შემდეგ აცრილ ძაღლებში არც ერთი არ გამხდარა ავად, აუტრელები კი თითქმის სრულიად დაცოფიანებულან.

მკითხველი ადვილად გადასწყვეტს, თუ რა დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ამ აღმოჩენას, და რაოდენად უნდა დაეხმაროს იგი კაცის ჟან-მრთელობას და მის დახსნას ერთ-ერთი საშინელი სიკვდილისაგან.

\* \* \*

ამ დიდს, საეჭირო ისტორიაში თითქმის კბოქის შემადგენელს აღმოჩენასუ ნაკლები მნიშვნელობა არა აქვს იტალიელ მეცნიერ-ექიმის ტომასო-გრუდელის აღმოჩენას, რომელიც თვით ტომასომ რექერატივუ გააცნო კრებას და მთელს ჭკუანსაც. ამ პათო-ტემულ მსწავლელს დიდი ხნის განმავლობაში შეუსწავლია ციება პონტოს ზღვის ნაპირა ჭაობიან ადგილებში, იქ სადაც სასტიკი მარეუსი თავს იფარკვიდა თავის

რომაულ მტერთაგან, და სადაც ავი თვისების ციება გამოუდგებოთ ბუდობს. იმას შეუნიშნავს, რომ ამისთანა ადგილებში ადგილობრივ მცხოვრებში უკელა როდი ხდებიან ავად, — არიან თურმე ბეკრნი ჟალაზობანი, რომელთაც ციება სრულად არ ეკარება. ტომაში ამ მოკლეხას ხსნის ბუნებითი შერჩევით, რომლის ძალითაც ციების შესამი არ ეკარებათ, დიდხანს ცხოვრებენ და თავიანთ ჩამამკვლავს გადასცემენ ამავე თვისებასა. ამ სახით ჭაობიან და ციებ-ცხელების ადგილებში მრავლდებიან პირნი, რომელთაც ამ ავად-მყოფობის შესამი ან სრულად არ უდგებათ, და ან სუსტად მოქმედობს მათზე და მტირდება რიცხვი იმ პირთა, რომელთაც ეს სენი ადვილად ედებათ.

შერჩევითი განონის მოქმედება არ არის თურმე ერთადერთი მიზეზი, რომელიც ეწინააღმდეგება ციების შესამის მოქმედებას ადამიანის სხეულზედ. შესამიან ადგილებში მცხოვრებლებს ჭსტოდნით თურმე უებარი წამალი, რომელიც ბეკრით სჯობნება ქინა-ქინასაც და დაწიშხანასაც. ექიმების უძლიერესი წამალი ქინა-ქინა, ტომაშის სიტყვით, თუძცა თავდაპირველად ძლიერად მოქმედობს ციებაზედ, მაგრამ შემდეგში მისი გავლენა ერთობ სუსტდება, და ამას გარდა თვითონ ქინაქინაც მაკონებელია სხეულისათვის, მეტადრე დიდ ხანს თუ ხმარაბენ მას. დაწიშხანა თუძცა ქინაქინაზედ უფრო კარგად მოქმედობს ქრონიკული ციების წინააღმდეგ, მაგრამ სხვა მსრით ბეკრს ექიმებს იგი მაინებლად მიანინათ და ხალხი ხომ ძალიან ავის თვალთ უცქერისო. ციებ-ცხელების ადგილების მცხოვრებნი იტალიაში ამ სენის წინააღმდეგ თურმე ხმარობენ ლიმონის გამოხარ-შუფს წვენსა, რომელიც ამ გარდა მზადდება: დასტრიან მთელს ლიმონს ქერქიანად და მარცვლებიანად წვრილ-წვრილს ნაწილად

ბად, ჩაჭყრისან ვატარა ქოთანში, დასხმენ სამს ჭიქა წყალსა და იქმდის ადრელებენ, ვიდრე ერთი ჭიქა წვენი არ დადგება. შემდეგ ანელებენ ამ წვენს და სმენ. ტომასის მიუხედავად ურჩადლება ამ წამლისადმი, უნდა მისი მოქმედება ბევრს ავიცილებთ ავად-მყოფს ადამიანზედ და დარწმუნებულა, რომ ეს წვენი ძლიერი და მშვენიერი წამალია. თავის რეჰერატში იგი ძლიერ აქვდა ამ წამალსა და უჩვენდა ეჭიმებს მისი ხმარება უთუოდ შემოკლოთ. მართალია, ეს წამალი მეცნიერული წყაროდგან არ მომდინარეობს, სთქვა მან ბოლოს, მაგრამ რადგანაც იგი თითქმის უებარი ღონისძიებაა, ამიტომ ჭარბაკლოვანებაში ერთი უპირველესი ადგილი უნდა დაიჭიროს. ჩინებული, დიდად გასახარებელი და საუურადლებონი არიან ორივე აღმოჩენანი, მაგრამ ჩვენ მანაც უნდა ვსთქვათ ინგლისელებთან ერთად, რომ «ერთი ნამტევი წინ-დახედულება სჯობია ერთს რამდენსამე ჩანახს წამლებსას.»

\*  
\*\*

რაც ვასტემა სთქვა მამულზე და მეცნიერებაზე, ჩვენის აზრით სწორედ იგივე იოქმის მამულზე და პოეზიაზე. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ მეცნიერულ აღმოჩენას უფრო ნაკლებად სჭირია ერთის ენიდამ მეორეზე გადალება უნხო ხალხში ფეხის მოდგმისა და გაურცელებისათვის, ვიდრე პოეტურ ნაწარმოებს. მაშასადამე თავის მამულის სახელისათვის მოღვაწე პოეტს ეჭირება მთარგმნელი, რომლის ღვაწლი შეადგენს საპატრიო რგოლს კაცობრიობის სასახელად მოღვაწეობისა და გონებითი ქმნილების ჯაჭვში, რომ თავისთავადთა (ორიგინალური) პოეტთა ნაწარმოებს დაეუფლოს კაცობრიობა, თავის გონებითი სალაროში პოეზიის ობოლ-მარ-



გალიტების შეტანით. დღემდის, ამისთანა მთარგმნელის უყოლ-  
კელობით ჩვენი მართლაც და მდიდარ ჰოეზიას ვერ ეცნობო-  
და კაცობრიობა, რომ მითი ესტეტიკური გრძნობები და-  
ეკმყოფილებინა და ჩვენ სასული შეგვიძინებოდა. დღეს კი, ჩვენ-  
და სასიამოვნოდ, ნელ-ნელა ჩნდებიან ამისთანა სასურველი  
შუამავალი ჩვენსა და ეკოლოგის საზოგადოების შორის. გრაძის  
ა. ბობრინსკის ჩინებულად, როგორც სამედიკო პიტიუმა ვად-  
მოგვცეს, გადაუღია ფრანციულად «თავისუფალის» თარგმნით  
უკვდავი ქმნილება ჩვენი უნივერსისა; ბ-ნ ი. მუხარბია იმავე  
ქმნილებას თარგმნის ფრანციულადვე, დედანის კილოსა და  
ახრის მტკიცედ დაცვით; ჩვენი დღეს ახლო ნაცნობი ბ. არ-  
ტურ ლეისტი სომ მოგვხსენებთ აწნობებს გერმანიისა და  
პოლანდების საზოგადოებას ჩვენი ჰოეზის მარგალიტებს; მაგ-  
რამ ამათში ყველაზე უფრო ნიჭიერად, მუყაითად და თანის-  
თანობით იღწვის ნიჭიერი მთარგმნელი—პოეტი ბ. თხორეკე-  
სკი, სატირული ყურნალის ქნარის რედაქტორად ნამყოფი,  
რომელსაც განუზრახავს გადათარგმნოს ქართული ჰოეზიის  
საუკეთესო ლექსთ ქმნილებანი (რუსულად) და ერო-ტომად  
დაბეჭდოს. სხვათა ჩინებულ ნაწარმოებთა შორის ეს ფრიად  
პატივ-საცემი ჩვენ მიერ პირი სთარგმნის «ვეფხვის ტყაოსანს»  
(რადა თქმა უნდა, კაცმა ქართულიდამ სთარგმნოს და «ვეფ-  
ხის-ტყაოსანი აჩა, ეს ხომ რომში მისულა და პაპის უნახ-  
ვად წამოსულა იქნებოდა!) აჯავის თორნიკე მრისთავილამ  
ერთს თავს, სასულდობრ ომს და მ. გურიელის ჯერ დაუბეჭ-  
დელი პოემის რაშიდ მარდანიძის მეორე ნაწილის პირველს  
თავს «ძარჩხალის მთას.»

გგონებ უკელამ სელის წამართვის მეტი ვერაფერი ისურ-  
ვოს ამ საქმეში ბ. თსორყუესვისათვის და ჩვენი საზოგადოება  
სამ საუკუნოდ დავალებულად უნდა სთვლიდეს თავს ამ პატიო-  
სანის და ნიჭიერის პოეტი-მთარგმნელისაგან.

✱

## შენიშვნები

ჩვენს ცხოვრებასა და ლიტერატურაზედ.

ჩვენი მდგომარეობა.—ჩვენი ბუნების სიმდიდრე და მისი წარმოება ჩვენს უკიდურეს სიღარიბესთან დაკავშირებით.—ღარიბი და ლატაკი ლიტერატურული წარმოება მდიდარს და უხვს ლიტერატურულ წარმოებასთან ერთად ჩვენში. ისტორია და პოეზია. იათი ფასის ისტორიკოსები.—გაზ. «კავკაზი» № 92. გაზ. «ახალი მიმობილება» № 136. საქართველოს მოკლე ისტორია მ. ჟანაშვილისა და თ. გ. ერისთავის ბიოგრაფია.

ვინც ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას აკვირდება, ადვილად შენიშნავს, რომ ჩვენი საზოგადოება, ანუ ესრედ წოდებული განვითარებული მისი ნაწილი, ძალიან ცდილობს, რომ მონაწილეობა მიიღოს ცხოვრების მიმდინარეობაში, დაახინდოს თავისი კვალი და ასე თუ ისე გზა გაუკვალოს ქვეყნის სწავლას და გონებას. ეს ნაწილი ძალიან მცირეა რიცხვით, ძალიან სუსტია, მაგრამ ანც ერთი და ანც მეორე გარემოება მის მნიშვნელობას კიდევ ისე მჭიდროდ ვერ შემოსაზღვრავდა, ისე მცირე საბოიელს ვერ შემოუხსნავდა, რომ თვით ცხოვრება მეტად განსაკუთრებულ და განსხვავებულ ვითარებასა და გარემოებათა შორის არ სწარმოდგობდეს.

ბუკრ-გვარის საჭმე და მოღვაწეობა დღეს ჩვენის საზოგადოების შეგნებულის ნაწილის გარეშე სწარმოობს და მისი არსება, გონება და გული იმაში არავითარს მონაწილეობას არ იღებს და, მაშასადამე, არამც თუ ვარჯიშობას არის ამის გამო მოკლებული ყოველ-მხრივის და სრულის ცხოვრების შესაძენლად, არამედ დოკლათი და ქონებაც ქვეყნისა ამის გამო ძალიან და ძალიან მტირკედის რაოდენობისა ვერჩება ხელში. ამ აზრის დამტკიცება მაგალითებითაც შეიძლებოდა, მაგრამ ვიშობთ, რომ მაგალითების დასახელებამ არ მოკვისპოს შეძლება მკითხველთან ხასისა. ჩვენ მხოლოდ ორიოდ სავსანს შევეხებით მთავარის ჩვენის აზრის გამოსარკვევად.

საღსი და ქვეყანა მამინ იცხოვრებს ბუნდურად და ნიუთიურადაც მამინ იქნება დაკმაყოფილებული, როცა ბუკრ-გვარის წარმოებას მის ხელში. საღსს მარტო ზურის მოსავალი არ გაძღობს, არ შემოსავს და არ აცხოვრებს. მიწის შემუშავებასთან: სუნა-თესვას თუ შეკვანსობა, ყულტურულ მტენარეთა გაშენებას თუ მრეწველობაში დიდად გამოსადეგი და სასარგებლო წარმოების გაძლიერება (ბამბა, აბრანში), მებაღობა თუ საქონლის ყოლა და მეძროხობა (წველის წარმოების გაძლიერება), უნდა საღსსა და ქვეყანას ცოტა სხვა ხელაწინებანდ მიუწვდებოდეს ხელი და რამდენიც უფრო ბუკრისა და მრავალგვარის ეს ხელ-მისაწოდში საგნები წარმოებისა, იმდენი უფრო გარკვია ქვეყნის დოკლათისა და ქონებისათვის, იმდენად უფრო უკეთესია ქვეყნის ნიუთიური მდგომარეობა და ბუნდურია თვით საღსი. ისეთი გვარის წარმოება, როგორც არის მაგ. ქვანთუნდის წარმოება, ქვან-ნახშირის მებაღეობა და მისი შემუშავება, სხვა და სხვა გვარის საღებავი და საფერავის მებაღეობა მიწაში და წარმოება (ბათუმის მარცაში და ალბუჯანისკენ იშრება. ამათი

მადნები), აგრეთვე გლახუბერის მარცხის წარმოება (მუხრანში, სგარეჟოში და ბეგრგან სხვაგან), წარმოება რკინისა, თუჯისა, ოქროსი და ვერცხლის მადნებისა, სპილენძისა, გოგირდისა, ნავთის წყაროებისა (იმერეთში, კახეთში, ბაქოში) — უოველივე ეს შეადგენდა დიდსა და უღაველს სიმდიდრეს ქვეყნისათვის, რომლისთვისაც იგინი დიქრთს მიუნიტუბია ისეთის სიუხვით, როგორც ჩვენს ქვეყანას აქვს მინიტუბუა. ასისა და ორასის მილიონის მანათის ქვა-გუნდა და ქვა-ნახშირი გავა ჩვენის ქვეყნიდან და ჩვენ გაგვამდიდრებდა, რომ მათი შემუშავების საქმე ჩვენ გვქონდეს ხელში. და რაღა უნდა გვიმდიდრეს, როდესაც ყველა ეს ჩვენს საგუთარს ქვეყანაში იზოება, ჩვენს მიწასა და მამულებში მოიძებნება. თუელი და კაპიტალი თაკად სძებნის ისეთს წყაროს სიმდიდრისას და ხალხთა კეთილ-დღეობისას, როგორც არის ნავთის წყაროები, მაგრამ როდესაც ეს ნავთის წყაროები სიმძაგით სცემენ მალა ცაში ამ კაპიტალების წყალაბით, ისე რომ ვეღარ დაუყენებიათ ეს ნავთის შადრეანი, როდესაც ლამის მთელი ევროპა მოიარწყოს მით და როდესაც იგი ხდება მილიონების დამბადებელი, ჩვენ, ქართველებს, წყალს გარეშე ვართ დარჩენილი და მხალად სეირს შევცქერით.

მაგრამ ასია ჩვენზედ. უწინვე უნდა კარგად გვცოდნოდა, რომ ასე მოხდებოდა, რომ ჩვენ თვალებს დავებრეცავდით ჩვენივე სიმდიდრის ცქერით, რომლის გამოყენებასაც ვერ მოვახერხებდით.

ლიტერატურული წარმოება სრულიად წააგავს ქვეყნის ეკონომიურს წარმოებას. გონებრივი მოღვაწეობა ქვეყნისა პირდაპირ დამოკიდებულობასა და ურთიერობას მის ბუნებისა და ბუნებრივ სიმდიდრეთა და სიუხვეთა სარგებლობასთან. ნივთიე-

რე კეთილ-დღეობა სალხისა ყველგან დასახადი ყოფილა გონებ-  
 რივის წარმატებისა, მეცნიერების აღმოჩენებისა, ხელოვნების  
 შემოქმედებისა და სულიერის ინტერესების განცხოველებისა.  
 ამ ურთიერთობას ესლა აღსანიშნავი აღარ უარ-ჭყოფს. გონებ-  
 რივი წარმოება მოქმედობს ნივთიერს წარმოებაზედ და უგუ  
 მოზრუნებით კიდევ, ნივთიერი წარმოება გონებრივ წარმოება-  
 ზედ.

ჩვენ განვიხილოთ არა სანეტარო მდგომარეობა ჩვენს  
 ქვეყნის ნივთიერის წარმოებისა; იმავე არა სანეტარო მდგომარ-  
 ეობაშია, ჩვენდა სამწუხაროდ ჩვენი გონებრივი წარმოებაც.  
 როგორც იქ, ისე აქაც, მიუცაიებავართ ორსა და მხოლოდ სამს  
 გვარს წარმოებას და მიგვიტოვებს ბევრი სხვა გვარი ხელ-შეუ-  
 ბლად. როგორც იქ ჩვენ მხოლოდ პურისა და ღვინის წარმოებას  
 ტყუილავართ, ისე აქ მხოლოდ ერთსა და ორს ჩაკეცივები-  
 ვართ. ან არა და ჩვენ კი არ ჩაკეცივებივართ, თვით ისინი გვე-  
 ჩხირობიან მუდამ თვალში, ჩვენ მდგომარეობაში მხოლოდ ისინი  
 გვიღვიძებენ გონებას, აღელვებენ გრძნობას. მე ვამბობ ჩვენს  
 ისტორიასა და პოეზიასზედ.

პოეზიას ამ უმად თავს ვანებებთ და ისტორიასზე ვადაუ-  
 დივართ. ზემოდ ჩვენ მოვისუნეთ, რომ ვინც აკვირდება ჩვენ  
 საზოგადოებრივს ცხოვრებას, იგი შენიშნავდა, რომ ჩვენი სა-  
 ზოგადობრივი მოღვაწეთა დასი უფრო მომეტებულია გულ-  
 მოდგინებითი მუშაობს მხოლოდ ერთსა და ორს გვარ საქმე-  
 ზე და მეტს კი ვეღარ გასწავდომია. ამისა გამო ჩვენი გონებ-  
 რივი ცხოვრება ჭარბინიულ შეწყობილობით და სისრულით  
 სრულიად არ განსაკავდება. ჩვენს გონებრივს მოღვაწეობაში  
 ისეთ-ისეთი ნაკლი მოიძებნება, ისეთ-ისეთი დატოვებული მო-  
 უშკალი უსახები და სკეპი, რომ გიგვიჩს, ასე რამ მიაძინა ხალ-

სის გონება და გონებრივი ძალნი. მაგრამ სამდვიოდ კი ასეა. ასეა იმავე მიზეზებისა გამო, რა მიზეზებითაც უღუკვლინი წყარონი ჩვენის ნივთიერის ბედნიერებისა დღეს ჩვენგან წარმოებაში არ არის შესული და, ვინ იცის, ვის განასარებს. ისე აქაც. ჩვენის ქვეყნის ავისა და კარგის შესწავლა, ჩვენის ცხოვრების დაკვირვება, ჩვენის წარსულისა და აწმყოს გამოძიება და გამოკვლევა სრულიად ჩვენ არ გვაძლევს სულს, არ გვეხერხება, და სხვას კი სულს აძლევს, ძალიან ესერხება, სარფა და გამოსაყენებელია. იმავე ჩვენის უხეირობისა გამო ჩვენ არც ქართული მეცნიერება გვაბადია, რომელი სფეროზე გინდა აიღო მისი: ბუნების მეტეოროლოგია თუ იურიდიული მეცნიერება, ექიმობა, თუ სხვა რომელიმე (არითმეტრიკაც კი არა გვაქვს ქართული აქამომდე), არც რიგიანი ქართული თეატრი და არც სხვა რამე. ყველა ესეები იმავე დროს ჩვენს გვერდზე განვითარებაში არიან შესულნი, საქებურს წარმატებაში შედიან. სოლო რაც შეესება ყველა ამ უგანასენელთა მიმდევარს, ყველგან კარლია აქვს, ჰატივი და დიდება დიდი და, სასულსა და ქებას გარდა, კუჭიც მამდრადა აქვს.

მაგრამ მიუხედავად იმისა ჩვენს ისტორიულს უნანს? რა მდგომარეობაშია ჩვენი ისტორიული მეცნიერება და რას ვაკეთებთ თუნდა ამ საგნის შესახებაც, თუმცა კი ჩვენს წარსულს თავ-გადასავალზე ისე ლაპარაკს არ ჩამოვკიდებთ, მეტადრე უცხოელთან, რომ მითი. ხაჯი არ მოვიწონოთ.

ამ სანობით ჩვენ ვგსურს მკითხველის ყურადღება მიჰქციათ ორს რუსულს წერილს ჩვენ წარსულ ცხოვრების თაობაზე და ორს ქართულს შრომას იმავე საგნის შესახებ. პირველ ორს წერილში, ერთი გაზ. დეკანოზისა და დამკვიდრდილი და

მეორე გი «სახლ-მიმოხილვასში». ორთავე წერილის ავტორნი,
 რასაკვირველია, იმიტომ გი არ მოღვაწეობენ რუსულ გასეთებ-
 ში, რომ ქართულად წერა და შრომა არ ესერსებოდეთ. რა
 ბძანება! ან იმიტომ გი არა, რომ იქ სტრიქონზე გადაკვეთი-
 ლი სასუიდელია დანიშნული, ეს მათთვის რა საკადრისი იქნე-
 ბოდა. (თუმცა გი უნდა კაცმა სულს ჭკეშა სთქვას, შრომა
 უნდა დაჟიდდოდეს ყველგან). ქართულს ლიტერატურას
 ჟურ-ჟურობით ამ განვითარებამდე არ მიუღწევია, რომ სემო-
 ხსენებულთ წერილთ ავტორებს ჟუროვანი სასუიდელი აძლიოს,
 ისე როგორც არ უძლევათ ბერს სხვა პატარა ერის ლიტერა-
 ტურულ მოღვაწეთათვის მხოლოდ დროებით, გამოდარებამდე, ეს
 უნდა იყოს მიზეზი, რომ ერთ ამ გაყუბატონთაგანმა ხმა-მალდა
 საჯაროდ აღიარა, რომ ქართული ლიტერატურა, ანუ ადგი-
 ლობრივი მწერლობა და ლიტერატურანი ხელოვნებით დასერ-
 გილნი მცენარენი არიან, რომელთაც არც ფესვები აქვთ გა-
 მდგარი და არც ჟუროვანი ნიადაგი განვითარებისათვისაო. და-
 ლაც, დაღაც, ბატონო, რომ, რასაც თქვენ ამბობთ, ეგ აგ-
 რეა. მაგრამ ამას საჯაროდ როცა ჭევირნიან, იმასაც ჭლადე-
 ბენ, რა მიზეზი აქვს ამ გარემობას და ის მიზეზა საწყენია
 და ღრმად შეურაცხ-მეოფელი თქვენი, ჩვენის ბედის მწერალნი.
 თუ არა. რატომ იმასაც არ ჭლადებთ, რომ ის ვითარება,
 რაც საფუძვლად გახდა ჩვენის მწერლობის და, იქნებ უარარაობი-
 სა, უშინარსობისა, თვითც ხელოვნურია, ფესვებ გაუდგმელი,
 უ-raison d'être-ო, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ. მაგრამ ეს
 თქვენ, გეტყობათ, ფიქრშიაც არ მოგდით: რაც მართალია—
 მართალია და როგორც არ უნდა ვსთქვათო. დაღ, ჭაჭტო-
 ისეთია, როგორცაღაც თქვენ აღნიშნეთ, მაგრამ განმარტება
 ამ ჭაჭტოსა სხვა არის, ფილარსოფია მისი თქვენ, ეტყობა,



არ შეგხებიათ და თქვენ წერილში ხელიც არ გაგინძრევიათ, რომ გადაკვრით, მისკვდრით მანც გეთქვათ რაიმედი სიტყვა იმაზე.

მაგრამ ეს არაფერი, მეორე წერილი ჩვენის პუბლიცისტისა რომელიც დაბეჭდილი იყო იმავე «კავკასში» და რომელიც შეეხება თათარ-ყან დადიშკელიანის წერილს საქართველოს სამხედრო წყობილობასად მეთორმეტე საუკუნეში («ივერია» № 10, 1883 წ.) უფრო ნამდვილს მარგალიტებს წარმოადგენს კრიტიკულისა და პუბლიცისტუკურის ხერხებისას და მოპერობისას პატრიოსანის ნაწერისა და ნამოქმედარისადმი. ავტორს დაუხვევია ხელზედ ერთი თუ რაი საეჭვო ღირსების მოსაზრება მეცნიერულის გამოკვლევისა და ძიების ხერხებზედ, დასტრიალებს მათ თავზედ და განუსჯელად ჰკიცხავს მას, ვინც მის მოწონებულ ხერხებს არ ხმარობს ამ ძიების დროს. ვინაჲც წაუგითხავს შემოხსენებული წერილი ბ-ნის თ. დადიშკელიანისა, დაგვეთანხმება, რომ მეტის თავ-დაკაპებით დასკვნათა და სასოგადო მოსაზრებათა შედგენასა და გამოხასკავში, მეტის მიუდგომლობით, მეტის გულ-გრილობით უოკელ-გვარ-გაცვეთილ ტენდენციასადმი, არ ყოფილა თითქმის დაწერილი არც ერთი წერილი და ისტორიული გამოკვლევა ჩვენს ღიბუკრატურაში, ვიდრე დაწერილია საქართველოს მხედრობის განხილვა 1089 — 1122 წლამდე». ასე გასინჯეთ თვით და ბაქრამის ისტორიული მონოგრაფიებიც კი ვერ აჭარბებენ ამ წერილს ისტორიულის ობიექტივიზმით. უოკელს ავტორის საზოგადო მოსაზრებას თავისი საფუძველი აქვს სამიერკვლად, უოკელს განმარტებას ბუნებრივი და მარტივი არგუმენტაციად მიუბღვის წინ. მაგრამ მოგეხსენებათ, რომ ბუკრია ისეთი, რომელსაც აბრახებს სხვის გულ-დასმითი, დალაგებული, დაწინა-

რებული კილო მსჯელობისა ღ, რამდენადაც უფრო მეტს სერსს იხნთ ამ დროს, იმდენად უფრო სულდება და ვნებათ-ღელვას ეძლევა ის, ვინც თქვენ წინააღმდეგ აპირებს გამოლასშქრებას. ასე მოუვიდა სწორედ «გაკვაზში» დაბეჭდილის წერილის ავტორსაც. ბერს სცდილობს უკანასკნელი დაამტკიცოს უსაფუძვლობა დადიშკელიანის სტატიისა, მაგრამ მისი ცდა ამაოდ და უნაყოფოდ რჩება: ვერავის ვერაში აჯერებს და ვერავის თავის მცნაერების ძიების სერსებით ვერ აკვირვებს. აი მაგალითებიც და ვნახოთ, როგორ ცდილობს ავტორი დაარღვიოს მისგან ხმარებული სერსების უკანგვისობა. როგორც მიღებულია, მოჭყავს «გაკვაზის» მეფულტონეს ერთი ადგილი დადიშკელიანის წერილიდან, — რიცხვი მამინდელის საქართველოს სამეფოს მცხოვრებთა მიაღწევდა ოთხ-მილიონამდე. ხოლო თუ ვინგან-რიშებთ, რომ ათას სულზედ 10 კაციდან 15-მდე მეომარი ადვილად გამოვა, ოცი საერისთვო მამინდელი გამოიყვანდა სამამრად 40—50 ათასამდე მეომარსა». ამ ადგილს დიდ საგონებელში ჩაუგდის «გაკვაზის» კრიტიკოსი, ხაზი გაუსვია ჰიკველის ორის სიტყვისთვის და ბძახებს: «ავტორი არ უჩვენებს, რა ცნობაზე ამყარებს იგი თავის აზრს და ჩვენ ძლიერ ვეჭვობთ, რომ მოსსენებული აზრი საერთოდ მიღებული იყოს. (მეფულტონესაგან არის ხაზ-გასმული ეს სიტყვები.) მონგოლების შემოსევის დროს, მართალია, ხომლდა აღწერა მცხოვრებულთა, მაგრამ როგორიც უნდა ყოფილიყო იგი, დამყარდება ამ ვაკრ სტატისტიკურ ცნობებზედ ცოტა არ იყოს შეუსაბამობა».

რათა, ბატონო, რად არის შეუსაბამობა, ნება მოგვუცხეთ გვითხროთ, იმ ვაკრ სტატისტიკურ ცნობაზედ დამყარება, როგორიც არის მონგოლების სტატისტიკური ცნო-

ბანი. თქვენ ის გინდათ თქვამთ, რომ ნამდვილი არ იქნებოდნენ ეგ ცნობანი: ან ნაკლებად იქნებოდა ნახევრები, ან მეტად, თუ ის რომ მეცნიერულ გამოკვლევის დროს საზოგადოათ სტატისტიკურ ცნობაზე დაყრდნობა არ ძეიძლება. მაგრამ ჩვენ, როგორც ვიკვლი, ისე მეორე მოსაზრება, თუ მათ ადგილი ჰქონიათ ავტორის მსჯელობაში, შემცდრად მიგვაჩნია. ვიკვლი იმიტომ, რომ არამც თუ მონგოლების სტატისტიკას, ვერც ერთ ევროპის სახელმწიფოში ისეთ სტატისტიკურ ცნობას ვერ ვხედავთ, რომ ნამდვილს ეშვას ბამებოდეს: ან მეტი არ იყოს ნახევრები, ან ნაკლები. ჩვენ რუსეთის სტატისტიკაზე, და ისიც ოფიციალურზე, აღარას ვამბობთ. მაგრამ ამით ვი სტატისტიკაზე მეცნიერულ დასკვნათა დაფუძნება ვერ არავის არ უარ-უყვია. შეიძლება სტატისტიკის მეტოდი ესლა უკეთესია, ხერხები სტატისტიკურის ძიებისა უფრო მარტივი, გონიერული და სამჯობინარო, რაშიც ჩვენ ეჭვი არა ვაქვს, მაგრამ მაინც ეს იმას არ ამტკიცებს, რომ მონგოლებს თვლა არ სცოდნოდეთ და ღობიოთი დასთვლიდნენ თუ სამინდით, მაინც დაახლოებით, რათა-შუა რიცხვით ვერ შეიტყობდნენ საქართველს მცხოვრებთა რიცხვს. ესლანდელი სტატისტიკაც მსოფლიო დაახლოებით გამოკვლევაზე დაყრდნობული. მეორე მოსაზრებაც ავტორისა იქნება უსაფუძვლო, იმიტომ რომ იმ სტატისტიკურ ცნობაზე დაყრდნობულია ბევრგან ისტორიის მეცნიერი და ძიებისა და გამოკვლევის ხერხების არა ნაკლებ მცოდნე ბ.ნი დ. ბაქრაძე თავის ისტორიულს თხზულებებში. \*) დადიშკელიანს იუ დაუმაკებია, მამ

\*) იხ. Тифлисъ въ историческомъ и этнографическомъ отношеніи. Соч. Дм. Бакрадзе и Н. Берзепова,

ის დაუშავებია, რომ მეცნიერის კაცისაგან საფუძვლიანად მიღებული ცნობა საფუძვლად თავათაც მიუღია თავისს მისაზრების დასამტკიცებლად.

ამის შემდეგ ნება ჰქონდა ავტორს ეთქვა, რომ შეუფერებლობა დაძვარება ისეთ ცნობაზედ, როგორც აჩის მონგოლების ცნობა ქართველთა რადენობაზე? გაჭენებული კრიტიკოსი განაგრძობს: ბ-ს დადიშკელაიანს საერთო რიცხვი მცხოვრებელთა იმიტომ მოჭყავს, რომ მერე ანთმეტიკულის პრეპარაციის შემწეობით მცხოვრებთა და ჯარის რიცხვის შორის საპროცენტო ურთიერთობა დაძვაროს და გამოჭყავს, რომ თითო ათას კაცზედ 10—15 კაცი მეომარი ყოველთვის გამოვიდოდა, ისე რომ ქვეყნის კონომიურს მდგომარეობასაც წაწლია არ მისცემოდაო. ეს ტყუილს აზრს. შეადგენინებს მკითხველსაო, ბრძანებს მეფელტონე, იმიტომ რომ 40—50 ათი ათასი ჯარი არ ყოფილაო საქართველოს, ისე იყო გარეშემოწოდული მტრებით, რომელთა განდევნას და დამარცხებას მთლად სამეფოს ძალა და ღონე მოუწოდებოდაო. კარგი და პატრიოსანი და მერე ამით რა უნდა სთქვას ავტორმა. დადიშკელაიანი ამბობს, რომ სამეფოს სამხედრო ძალა ჰქონდა და ეს ძალა იმის აზრით ამდენ და იმდენ ჯარის კაცთა რადენობითაც რომ განსაზღვრულიყო, მანც ბრძოლას შეიძლებდა. ამას ამბობს დადიშკელაიანი, ე. ი. იღებს სრულიად მტერი რიცხვს ჯარისას იმ უწმიწინოთა დასაჯვრებლად, რომელიც პეტკანოვისა და მრავალ სხვა ვითომ და მეცნიერებისა არ თუოს საქართველოს წარსული მხოლოდ ერთ უდაბნოდ მიანინათ. თქვენ ამბობთ, რომ თვით დადიშკელაიანს მოჭყავს ის ისტორიული ფაქტი, რომ თამარ მეფემ მოიწვია ერთის თავის ბრძოლანათვის უგელა, ვისაც იარაღის ტარება შე-

ქმლად, მაშასადამე იმაზე ღაზადავი, რომ ჯარის კაცთა გამოყენების დროს ესრუნათ იმაზედაც, რომ ქვეყანას მუშა ხელი არ მოჰყვებოდა, მეტად. მაგრამ დადიშკელაძის ამასვე არც არა უღაზადავნიან-რა. იგი სრულებით არას ამბობს იმაზე, რომ ჯარის გამოყენების დროს მეფენი და სარდალნი იმით ხელმძღვანელობდნენ, რომ ქვეყანას მუშა ხელი არ მოეყვალათ. დადიშკელაძის მხოლოდ იმას ამბობს, რომ თუ საქართველოში 4 მილიონი ხალხი იყო, მას შეეძლო ქვეყნის ეკონომიურის ინტერესების დაურღვევლად გამოეყენა 40—50 ათასი მეომარი და კვონებთ ეს მოსაზრება სრულად წინააღმდეგი არ არის არც მეცნიერულის მსჯელობისა და არც თვით სინამდვილისა. სოლო უკეთუ ფაქტია ისიც, რომ ეს ძალა არა ჰყოფნიდა საქართველოს, რისთვისაც მას ქუდზედ კაცი გამოჰყავდა ვიდრე, ამას არც დადიშკელაძის უარ-ჰყოფის და ეს მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ საქართველოს ბევრჯერ დიდი გაჭირება სდგომია და ხშირად სამხედრო ბანაკად უყოფილს გარდაქცეული თავის სახელის და არსების დასაცავლად.

დადიშკელაძის აზრით დავით აღმაშენებელმა პირველმა დააწესა ესრედ-წოდებული რაქის სპა. შეფელტონე უკიუიებეს და ამბობს იმაზე, რომ ერთი უმთავრესი პირობათაგანი მეცნიერულის ძიებისა არა გცოდნიაო. საგანი უთქვამს მხოვ არ შეგისწავლია და უკვლავ წყაროები არ ცადაცემოდნია ამ საგნის შესახებ, თორემ გეცოდინებოდა, რომ დავითზე წინა ბაგრატ მე-IV ჰქავდა დაჭირებულნი ჯარი, მაშასადამე რაქის სპა, რადგანაც რაქის სპა და ჯამაგირით დაქვრივნი ჯარი ერთი და იგივეაო. ჰქ ხვენ გვგონია, რომ შეფელტონე სიტყვას გამოჰყვამობს და მეცნიერულის ხერხების უცოდინარობას ტყუილად აბრალებს დადიშკელაძის. თქვენ რომ

სთქვათ, მაგალითებზე, წმ. ნინომ პირველმა მისცა დასაწყისი ქართველთა გაქრისტიანებისათვის, რომ მართალი იქნება, მაგრამ კრიტიკოსი ყულში მოგვწვდებით მასშინაოვე და გეტყვით, ნინოზე ერთისა და ორი საუკუნით ადრე ანდრია მოციქული და სიმონ კანანელი ქადაგებდა ქრისტიანობას საქართველოში და მასთანადავე ნინოს პირველს არ მიუყვას სული ხვეწის ქვეყნის გაქრისტიანებისათვისათვის. აგრეთვე რომ სთქვათ, დავით აღმაშენებლად დავით III-ეს ამიტომ გუწოდებთ, რომ მან პირველმა დაიწყო შენება საქართველოსი, გაადიდა, გაამძლავრა ქვეყანა, იგივე უღმობელი კრიტიკოსი პირში სიტყვას გაგიწვევთ და თითის მიღწა აშუკრით დაგიწყოთ დამტკიცებას, რომ დავითზე წინად საქართველოს გაძლიერებას საფუძველი დაუდო და დასაწყისი მისცა ბაგრატონების გაძლიერებამ მესხეთში, ბაგრატ III და ბაგრატ მე-IV დროსათვის. თვით ბაგრატ მე-III თავის სულით ჩასდო საძირკველად ქუთაისის დიდის ტაძრის პირველი ქვა და სსუ.

აი ამ გვარი საზოგადო სასიათისა და უკვლასკან ცნობილის მოსაზრებათა ძალით კრიტიკოსი ცდილობს დაარღვიოს ჭეცნიერული დასკვნა და აზრები დადიშკელიანის წერილისა დადიშკელიანის უკუყენებს, რომ სსუა წყაროები არა ჭეცნიან-არა ხელში, როცა უწერია თავისი წერილი, თორემ ესა და ეს როგორ შესცდებოდაო. მოდი და ნუ გაგვიანებს! როცა კრიტიკულად აჩვენებს ამ წერილს ჭეცნიერული იმ ადგილს სამხედრო კაცისაგან დაწერილის წერილისას, სადაც ძველ ქართველთაგან მათგანის ჯარის მოსმარებაზეა ლაზარაკი, სულ თვით ბ. კრიტიკოსის ცოდნის და ნაკითხობის ანუ ერთდროის ავლადიდება დასტრიალებს იმავე ქართლის-ცხოვრებას და ბროსეს Addison-ს, საიდანაც მათე ედესელის და გოტიეს აღწერილობა

მომხსებას, ვითომ იმიტომ რომ აი, მე რომდენი სხვა-და-სხვა წყარო შემისწავლია ამ საკანსუდაო. ავტორი უარს ჰყოფს, რომ ქართველებს რუსურვის მოხმარება სცოდნოდეთ, იმ გეგმად, რა გეგმადაც ამას დადიშკელიანი განმარტებს და დასამტკიცებლად ქართლის-ცხოვრების იმ ალაგს უჩვენებს, რომელიც დადიშკელიანმა მოიყვანა თავის წიგნში. აქ გაუგებრობა გამოდის: მატანეს სიტყვით, დავით სოსლანის ჯარი შანჭრის ომის დროს ბაღებისა და ქანჭრობის ალაგისა გამო შეგვიანდა, ვერ მოუარა დროზე ქალაქს და მარცხენა ფრთას მტრისას გვიან დაეცა თავსა. აქ ქაქტი ქაქტად რჩება, მხოლოდ განმარტება ქაქტიას მატანესა სხვაფერია და დადიშკელიანისა — სხვა გვარი. დავითის მიერ მარცხენით მოვლასში მატანე არავითარს წინად მოსაზრებულს ჰლანს არა ჰხედავს და ვერც დაინახავდა და თავისებურადაც განმარტავს, ხოლო დადიშკელიანი, როგორც სტრატეგიის მცოდნე, ამ გარემოებაში ჰხედავს წინადაც მოსაზრებულს ჰლანს და ინდუქციით გამოხსავს თეორია ქართველების მიერ რუსურვის ხმარებისა დასწრების დროს. მატანეს ვითხვასა და მოხმარებისა ცოდნა უნდა. იქ, სადა ჩვენი კრიტიკოსისთანა ისტორიკოსი მატანეში ვერასა ჰხედავს, მატანეს მოხმარებელი ვრცელს თეორიას შეადგენს, სადა პირველი მოვლენათა შორის გავშირს ვერ დაინახავდა, მცოდნე კაცი, მიმხვლარი მტკიცე ლოლიკას აღმოაჩენდა, სადა პირველს ქაქტები მხოლოდ უსწორ-მასწორად და უზროდ მიუჩილი ჰგონია ერთი-ერთმანეთზე, იქ სრული შედ-მიყოლებითი პროგრესი აღმოჩნდებოდა, ახრი გამოაშკარავდებოდა. ახლა თვით მკითხველმა განსაჯოს, ვინ უფრო მეტი სიმართლით განმარტავს მატანესაგან მოხსენებულს ქაქტს: თვით მატანე, მეფელტონე ისტორიკოსი, თუ დადიშკელიანი,

ჩვენ გვინდოდა, წერილის სათაურის თანახმად, მოგვე-  
 ლაშაჩაჩანა მეორე ისტორიკოსის შესახებაც, რომელმაც ლამის  
 ცას მოსტაცოს კარსკულავნი, მზეს შუქი და დაგიო-სოსლანს  
 ძლიერება. გვინდოდა შემდეგ ორს ისტორიულსავე ნაწერზე  
 მოგვეჩქია მკითხველის ყურადღება, მაგრამ, ჩვენდა უნებურად, წე-  
 რილი ძალიან გაგრძელდა და ამისათვის იძულებულნი ვართ  
 მათ შესახებ საუბარნი შემდეგ წიგნისთვის გადავსდეთ.



புதுப்பலகை

ქართულთა უორის წერა-კითხვის გაავრცელებელის  
საზოგადოების საქმეთ-წარმოება

1883 წ. 15 მაისილამ 1884 წ. 15 მაისამდე.

საზოგადოებაში ირიცხება 315 წევრი. პირველს წელიწადს საზოგადოების დამფუძნებელს იყო 245 წევრი, მეორეს — 282, მესამეს — 311, მეოთხეს — 319 და წელს ირიცხება 315. ამ რიცხვიდამ დამფუძნებელია 115, მასსადამე 19 ადგილია თავისუფალი დამფუძნებელის წევრობისა, რადგან შეუცვლელი რიცხვი მათი არის 126. სახატო წევრი არის ერთი, არჩეული 1880 წ. — პროქესორი დ. ი. ჩუბინაშვილი, ნამდვილი 200 და კანდიდატნი ამ უკანასკნელთა 11 პირი, რომელნიც დღეს უნდა აირჩიოს საზოგადო კრებამ საზოგადოების ნამდვილ წევრებად.

დააკლდა დამფუძნებელ წევრთა რიცხვს სამი და ნამდვილთა ერთი წევრი, რომელნიც ამ სახანგარიშო წელს გარდაიცვალნენ: თ. დიმიტრი დავითის-ძე ჯორჯაძე, ისრაფილ-ბეგ იედიგაროვი, იაზონ დიმიტრის-ძე თუმანიშვილი, ნიკოლოზ იერონიმეს ძე ალექსეევ-მესხიევი და სერგეი სვიმონის-ძე მესხი, რომელნიც იყო აგრეთვე წევრი მმართველობისა.

საზოგადოების მმართველობას შეადგენდენ: თავმჯდომარე საზოგადოებისა და მმართველობისა თ. ივანე კონსტანტინეს-ძე მუხრანსკი, თავმჯდომარის ამხანაგი თ. ი. გ. ჭავჭავაძე.

ჭავჭავაძე. წვერნი მმართველობისა: ნ. ზ. ცხვედაძე, ი. ს. გოგუბაშვილი, თ. ი. გ. მახაბული, გ. დ. ქართველიშვილი, თ. გ. მ. თუმანიშვილი, ა. ი. საჩაჯიშვილი და მღ. დ. ჭანაშვილი.

მმართველობის წვერთა განდიდატებად ითვლებიან ბ. ნ. დ. ზ. ბაქრაძე, თ. მ. ჭავჭავაძე, ლ. მღებრიშვილი და ეკატერინე გაბაშვილისა.

საზოგადოების ხაზინადარი არის გ. დ. ქართველიშვილი, საქმის მწარმოებელი გრ. ყიფშიძე.

### საზოგადოების მმართველობის მოქმედება

წარსულის წლის ყრილობამ, რომელიც 3 ივნისს მოხდა, დამტკიცა შემდეგი სია ხარჯისა საანგარიშო წლისათვის:

აუცილებელი ხარჯი.

ა) ბათუმის სკოლისათვის 1700 მ., ბ) ქირა, გათბობა, განათება, მოსამსახურე განცუვარისთვის 300 მ., გ) სტიპენდიატებისთვის 414 მ., დ) სეკრეტრის ჯამაგირი 600 მ., ე) საგანცუვარიო ხარჯისთვის 100 მ. სულ 3114 მ.

არა სავალდებულო ხარჯი

ა) ახალის სკოლების შესაწევრად 300 მ., ბ) წიგნების დასაბეჭდად 2000 მ., გ) პრემიებისათვის 1000 მ., დ) მოულოდნელის ხარჯისათვის 300 მ., ე) სასწავლო ნივთების და წიგნების სასყიდლად 300 მ. სულ 3900 მ.

ორივე ერთად სავალდებულო და არა სავალდებულო ხარჯის რიცხვი შეადგენს 7,014 მ.

მმართველობამ წლის განმავლობაში მოახდინა 20 სხდომა. სხდომაზედ თავსმჯდომარეობდა თ. ი. გ. ჭავჭავაძე 10 ჟურ, ი. ს. გოგებაშვილი 10.

### ახალი სახალხო სკოლები

საანგარიშო წლის განმავლობაში მმართველობამ დაამტკიცებინა ბ-ნ გუბერნატორს ერთის სოფლის განაჩენი, სახელად ხელთ-უბნისა, რომელიც გორის მაზრაში მდებარეობს. ნება-რთვა ამ სკოლის გამართვისათვის მმართველობამ უკვე მიიღო ბ-ნ თბილისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორისაგან და იმუდია რომ სკოლა დამდეგს ენგენისთვის დაიწესოს მოქმედებას.

მეორე განაჩენი წარმოგზავნილი საზოგადოების განცუ-ლარიაში, სახელდობრ ს. დიდმის საზოგადოებისა მმართველობამ უუურადღებოდ დასტოვა, რადგან ამ განაჩენის ძალით მცხოვრებნი სკოლის შესანახავად ძალიან ცოტა ფულს იწერენ თავიანთ შორის უოკულ-წლივ, სახელდობრ 20 თუმანს. ეს ფული ისე მტირკია, რომ მასწავლებლისათვისაც არ იკმაკრება ჯამაგირად, არამცთ თუ სხვა საჭირო სკოლის მოწყობილებასა, წიგნებსა და სასწავლო ნივთებსა ჭეოფნოდა კიდევ.

საზოგადოდ, მმართველობას გადაწვეტილი ჭქონდა, რომ გორც ეს მოხსენებულა მის მოქმედების 1-ის წლის ანგა-რისში 187<sup>9</sup>/<sub>80</sub> წ., რომ იგა მხოლოდ იმ სოფელში და სასოფლო საზოგადოებაში იტვირთებს სკოლის გამართვას, წარმოებას და შესუხისგებას მის გარგად წარმოებისათვის, რომ-

დესაც სოფელი ან საზოგადოება გაიწივს განაჩენით ყოველ-  
წლივ სასკოლო თუღს არა ნაკლებ ოც-და-თუთნმეტის თუმი-  
ნისას. თუ შეტი ღონე არ არის მაგ., ან სოფელია ჰატარა,  
ან საზოგადოება, მმართველობა დათანხმდება და სკოლას გა-  
მართავს ამ გვარ სოფელში, თუ ეს უკანასკნელი იტვირთებს  
ყოველ წელიწადს სასკოლო გარდასასადს არა ნაკლებ ოც-და-  
ათის თუმნისას.

ჭერ-ჭერობით არც პირველ გვარი და არც მეორე გვარი  
განაჩენი სოფლებისა სკოლის გამართვის შესახებ მმართვე-  
ლობას არსაიღამ არ მიუღია ზემოხსენებულის ს. დიდის და  
სულთუბნის გარდა.

იმ აზრით, რომ ეს საქმე უფრო ცხოვლად და აჩქარე-  
ბით მიდიოდეს, მმართველობამ საჭიროდ დანიხსა ააჩიოს  
საქართველოს მასრებში სანდო და გაკუენიანნი პირნი, რათა  
მათ უჩიონ სოფლებს და საზოგადოებათა დამართონ სკო-  
ლები. ამას გარდა ამ პირთ სხვა მოკალეობა და ვალდებულე-  
ბაც ექმნებათ, რასაკვირველია, მაგრამ ამ სანდო პირთ დანი-  
შნულებაზე ქვემოდ მოვისსენებთ. ესლა კი ვიტყვი, რომ  
მსოფლოდ ადგილობრივ გამგე პირთ შეუძლიანთ სკოლების  
გამართლების საქმეში დიდი სამსახური გაუწიონ საზოგადოე-  
ბას და წერა-კითხვის გავრცელებას საქართველოში. ამ საან-  
გარიშო წელში მმართველობამ გამართა თბილისის სკოლა,  
მაგრამ ამასევე ანგარიში ცალკე იქნება ქვემოდ.

### საზოგადოების სკოლები.

#### ა) ბათუმის სკოლა

ბათუმის სკოლა მეოთხე წელიწადია რაც არსებობს ქ.  
ბათუმში განსაკუთრებით საზოგადოებისა სარჩით. ამ სკო-

დაზედ საზოგადოებას ეხარჯება ყოველწლივ 1700 მანათამდე. წარსულს საანგარიშო წელს და ამ წელსაც ბათუმის სკოლა საუკეთესოდ სწავლობდა სწავლების მხრით, რადგან მასწავლებელი იმავე გუჯროდგინებით ეუბოდა თავის საქმეს, როგორც წარსულის საანგარიშო წლის განმავლობაში, მაგრამ, სამწუხაროდ, სკოლის გარეგანი მოწყობილება კვლავ იყო კარგი; უნდა ვსთქვათ, რომ სასკოლო სახლიც წელს უკარგისი გამოგუადგა; თუმცა სახლში 400 მანათს ქირას აძლევდა მართველობა, მაგრამ იგი არც სასკოლო მოთხოვნილებას შეუფერებოდა და არც გოგიენურს საჭიროებას აკმაყოფილებდა. სასკოლო ოთახი ისე ვატარა იყო, რომ 40 ანუ 50 უმაწვილი ძლივს მოთავსდებოდა თავისუფლად. მოსწავლე უმაწვილების რიცხვი კი წელს იყო 164, რომელნიც ძლივს-ძლივს თავსდებოდნენ. მმართველობას იმედა ჰქონდა, რომ ეს სახლი მაინც გამოადგებოდა, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა არც ის შეუფერებოდა სკოლის მოთხოვნილებათა. ამას გარდა მისი დაქირავების ვადაც გავიდა აზრილის 25. სხვა შესაფერი სახლი მთელს ბათუმში არც ერთი არ აღმოჩნდა, როგორც გვაცნობეს. იქიდან თვითონ მასწავლებელმა და საზოგადოების გამგებელმა ბ. გ. გაბაშვილმა. ეველა რიგიანი სახლი დაქირავებულა, ხოლო დანარჩენი სასკოლოდ არ გამოდგებოდა, თუ საფუძვლიანად არ გადაკეთდნენ, მაგრამ რადგან გადაკეთებას დიდი დრო მოუხდება და ძველი სახლის დაქირავებაც მომავალს სასწავლო წელიწადის განმავლობაშიც შეუძლებელი იყო, მმართველობამ გადასწყვიტა შეუდგეს რომელიმე უფრო შესაფერი სახლის საფუძვლიანად გადაკეთებას ენკის-თვისათვის და მოაწიოს სახლი სასკოლო მოთხოვნილებისამებრ და საზღვრძლივის ვადით დაქირავოს, იმ დრომდე, კიდ-

რე საკუთარ სახლს იშოვიდეს, ან იყიდდეს, ან ააშენებდეს საზოგადოებას.

საკუთარი სახლის მოპოება ბათუმში საზოგადოებისათვის წელსაც ისევე ისეთს საზრუნავს საგანს შეადგენდა, როგორც შარშანს. როგორც მოგეხსენებათ, ბათუმში საზოგადოებას ჭქონდა დაპირებული ბათუმის გუბერნატორად ნამყოფის, კომაროვის მიერ სასკოლო ადგილი ერთის მხრით და მეორეს მხრით, ბათუმის მაჰმადიანთ ამ ორის წლის წინად სთხოვეს ესლანდელს გუბერნატორს, ბ. სემკალოვს, რომ ის ადგილი, სადაც მათ რსმალთ მმართველობის დროს ჭქონიათ სკოლა, ან მისი ღირებული ფასი გარდაეცეს «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას.» ამ თხოვნასეუდ ხელი უწერიათ 58 კაცს ბათუმის ქართველ მაჰმადიანთ. დღეს ეს ადგილი იყოდა «ამიერ კავკასიის ჩინის-გზის საზოგადოებაში» და ფუფუნ, რომელიც 7000 მან. მეტს შეადგენს გადადო კუთვნილებისამებრ. ჩვენი საზოგადოება შემოხსენებულია წერილობითი საბუთების ძალით სოფლის თავის თავს ამ ფუფუნის მოსაკუთრედ და ამისთვის მმართველობაში სთხოვა ქუთაისისა და ბათუმის გუბერნატორს, რათა ეს ფუფუნე გარდაეცეს «საზოგადოებას». ამ საგანსეუდე მან გაუგზავნა ქაღალდი ვიცე-გუბერნატორს თ. კრისტავს, რადგან იგი თავსმჯდომარეობდა საადგილ-მამულ კომისიაში, რომელმაც სხვათა-შორის ის, ჩვენის საზოგადოებისათვის ბათუმის მაჰმადიანთა მიერ გარდმოცემული ადგილიც, დააფასა შემოხსენებულ ფასათ. ამ საგნისეუე შესახებ ყოველი მიწერ-მოწერა და საჭირო ქაღალდის კოპიები, ნოტარიუსთან დამტკიცებულს რწმუნების ქაღალდებთან ერთად, გაგზავნა ქუთაისს იჭაურის სათავად-აზნაურს სკოლის ინსპექტორს ბ. ალ. ჭიჭინაძეს,

რათა მან ადგილობრივ თვალყურში აღეგნოს ამ საქმის მსკლე-  
ლობას და შეძლებისამებრ დაიცვას «საზოგადოების» ინტე-  
რესი.

სკოლაში სასწავლო წლის განმავლობაში სამი განყოფი-  
ლებაა. მოძვეალის წლისათვის საჭირო იქნება მეოთხე განყო-  
ფილების დაარსება. მასწავლებლად იყო და არის ბ. მ. ნა-  
თაძე. თათრულის სჯულის მასწავლებლად იყო არსაველ აკი-  
რეშიდ-ეძენდი-ზადე-მაჭმედ-ჭულში-ეძენდი. ტომით ჭანი.

ახგარიშის წლის დამლეკს სკოლაში სულ 64 მოსწავლე  
იყო. ამათში 28 მამაკაცი, 36 ქრისტიანი, ქრისტიანებში  
ერთი კათოლიკეა, დანარჩენი მართმადიდებელი. მამაკაცები  
სულ სუნიტის მოძღვრებისანი არიან; მამაკაცებში 8 ბეგია,  
3 აღა, 8 ეძენდი. დანარჩენები ვაჭრებისა და ხელოსნების  
შვილები არიან. ქრისტიანებში შვიდი აზნაურია, დანარჩენნი  
გლეხები. წელს სკოლას დააკლდა 19 მოსწავლე, ხოლო 25  
შეემატა. ეს რიცხვი მოსწავლეთა განყოფილებებში ასე არის  
განაწილებული: 1-ს განყოფილებაში სწავლობს 31 მოსწავლე,  
ამათში 14 მამაკაცი, 17 ქრისტიანი. მეორეში სწავლობს  
26—14 მამაკაცი, 12 ქრისტიანი. მესამე განყოფილებაშია  
შვიდი მოსწავლე.

მეოთხე წელიწადი მიდის რაც ბათუმის სკოლა დაარსდა  
და თუმცა ამ სკოლაზედ დიდი ფული ეხარჯება სა-  
ზოგადოებას, სახელდობრ 1700 მანათამდე, მაგრამ ამ ხარ-  
ჯსს შეესაბამი ნაყოფიც მოაქვს. სკოლა ფრად სასარგებლოა  
იმ მხარეში, მან მოიპოვა თანაგრძნობა ადგილობრივის მცხოვ-  
რებლებისა, როგორც მამაკაცთა მხრით, ისე ქრისტიანების  
მხრითაც და შეიძლება ვსთქვათ, რომ არსებითს საჭიროებად  
გარდაიქცა. იმის დასამტკიცებლად, თუ რა დიდი მნიშვნელობა  
აქვს ბათუმის სკოლას, ხვენ საჭიროდ ვსთვლით ვსთქვათ,  
რომ ბათუმის სკოლაში ყოფილა სულ 103 მოსწავლე დაარ-  
სებიდამ აქამომდე. ამ მოსწავლეებიდგან არც ერთი არ გასულა  
სკოლიდგან 6 თვეზედ აღრე, მაშასადამე არც ერთი მოსწავლე  
წიკავითვის უცოდინარი არ გაუსტუმრებიათ სკოლიდგან.



სრულის მადლობის და თანაგრძნობის ღირსია ბ. მ. ა. ნათაძე, რომელიც მმართველობის მხრით, ისე საზოგადოების მხრითაც, იმ ერთგულისა და გონივრულის მეტადნებობისათვის, რომელითაც იგი ემსახურება ფრთხილ სასარგებლო საქმეს ბათუმის სკოლის ბავშვთა დაწესებულების ქართულ მანქანადანთა შორის.

ბ) წინარების სკოლა.

ეს მესამე წელიწადი მიდის, რაც წინარების სკოლა გაიმართა და მუშაობს. რომელიც წარსულის წლის ანგარიშიდან სწავს, წინარების სკოლა ამ დროს გაიმართა, რომელიც ყოველივე ფორმალური წესები სკოლის გამართვის შესახებ დაკმაყოფილებული იყო, მხოლოდ მოწიბობა არ იყო სასაღმრთლო სკოლების დირექციისაგან გამოგზავნილი სკოლის გამართვის ნება დასაროველად. ამ მოწიბობის მიღება დაგვიანდა სხვა-დასხვა მიზეზების გამო, რომელიც ვითარება წარსულის წლის ანგარიშიდან მოკესნებათ ბ-ით წევრთ. დაგვიანდა 1883 წ. 16 იანვარამდე. დირექციისაგან მოუვიდა ქალაქი, რათა მმართველობას დაეკუთვნა დირექტორის ნება-დაურთველად გამართული სკოლა. მმართველობამ ვერ იტყვირთა და ვერ დაჭკუტა სკოლას რომელიც ადმინისტრაციის განკარგულებით დაკუთვლი იქმნა.

ამის შემდეგ სკოლა მეორედ გაიხსნა მხოლოდ ამ წლის 9 იანვარს, რადგანაც რეფორმისად ნება-რთვა სკოლის გამართვისათვის მმართველობამ მიიღო დირექციისაგან 16 ნოემბერს და მმართველობის მიწერილობა კი სკოლის გახსნის თარიღად გორის მაზრის უფროსის მიერ აღსრულებული იქმნა 2 იანვარს.

მასწავლებლად წინარების სკოლაში დანიშნული იქმნა თბილისის წმ. ნინოს სასწავლებელში სწავლა შესრულებული სალომე მალალოვის ქალი. სკოლაში ორი განყოფილებაა, პირველში 12 მოსწავლეა, ხოლო მეორეში კი 22, მასწავლებელი სულ რიცხვი მოსწავლეთა 34. ამათში ქალი 20, ვაჟი 14. სწავლის მხრით ამ წელს სკოლა ჟეროვანის რიგით სწავლობს.

როგორც მმართველობას შეტყობილი აქვს სკოლის მზრუნველთაგან, ხოლო თვით მმართველობის ერთ-ერთი წევრი სკოლას დაწესებულებას მისის დამლევეს, როცა ბავშვები საზაფხულოდ უნდა დაითხოვონ.

წელს მმართველობაში სკოლის შენობის ცოტათი მანძი რიგიანად მოწყობისათვის 55 მ. გაჭვსაუნა. 50 მ. მასწავლებელს მისცა ჯამაგირად, რადგანაც სასკოლო გადასახადი ისე მცირეა, ე. ი. 250 მ. რომ ეს თუთი საკმაოდ არ არის მასწავლებლის ჯამაგირად. მმართველობავე უგზავნის თავის საკუთარს საშუალებიდან, როგორც სასწავლო ნივთებს და წიგნებს, ისე ყოველ-გვარს სასკოლო იარაღს და მოსწავლე ქალებისათვის ხელ-საქმის მასალას. წელს გაგზავნილი ამ გვარ ნივთების თვისი შეადგენს 30 მ. ხოლო სულ რაც დაეხარჯა ამ სკოლასად სოფლიდან შემოტანილ სასკოლო თუთს 250 მ. ვარდა არის 150 მ.

### გ) თონეთის სკოლა.

თონეთის სკოლა ამ საანგარიშო წელს გაიძარტა. ნება-რთვის მიღებისთანავე ბ-ნ თბილისის გუბერნიის სასახლო სკოლების დირექტორისაგან, 16 ნოემბერს 1883 წ. მიეწერა მასწავლებელს ბ-ნ ბესარიონ ჭილაძეს, რომელიც გორის სა-ოსტატო სემინარიაში არის სწავლა დამთავრებული და რომელიც საზოგადოების სტიპენდიატი იყო, რათა მას შეეკრება ყმაწვილები და დაეწეო სწავლა, ბ-ნ ჭილაძეს, გაგზავნილს ს. თონეთში ენკენისთვეშივე, მინდობილი ჰქონდა მმართველობისაგან მოემზადებინა სახლი სკოლისათვის, შეეტო ადგილობრივი ვითარება და როცა ყველაფერი მომზადდებოდა ადგილობრივ და ნება-რთვა მოკიდობდა სწავლა-განათლების მთავრობისგან, დაეწეო (სწავლება) — წარმოება სკოლისა. ისიც ისე მოიქცა. 20 ნოემბერს გაგზავნა მას ყოველივე სასწავლო ნივთი და იარაღი, წიგნები, საკლასო მუხლი, სულ 283 მ. 20 კ. და მიეწერა დაუყოვნებლივ შესდგომოდა საქმეს. 28 ნოემბერს სკოლას აკუთრებეს და სწავლაც დაიწყო. შევირდუ-

ბის რიცხვი პირველ ხანებში იყო 45. ამ რიცხვში 35 ვაჟი და ათი ქალი. სკოლის მზრუნველის ბ-ნ გონსტანტინე ყვერევის ქალად დიდად, რომელიც მან მმართველობას წარმოუდგინა, სჩანს, რომ სკოლა კარგად გაიმართა და კარგად სწავლობს, რომ საზოგადოების ხარჯზედ აღსრდილი ბ-ნი ჭილაძე სინიდისიანად და მხნობით ექსკვა თავის საქმეს.

### სტიპენდიატები.

წელს გაათავებს გუგის ორი სტიპენდიატი საზოგადოებისა გორის საოსტატო სემინარიაში და ამით გათავდება ვიდრე სტიპენდიატების ყოლა საზოგადოების მიერ.

### შემწეობა სახალხო სკოლებისათვის.

წელს საქართველოში დაარსებულ სკოლებს ისე ვრცლად და უხვად ვერ აღმოუჩინა მმართველობამ შემწეობა, როგორც შარშანდელის საანგარიშო წლის განმავლობაში. მიზეზი ამისი ის იყო, რომ შარშანდელმა კრებამ ვერ გაჭბუდა გადაედო ცოტადენი ფული მანც ამ საგნისათვის, რადგან შიშობდა, რომ ჰაი თუ ფული აუცილებელ ხარჯისათვის დაგეგმულა. მაგრამ მთელმა საანგარიშო წელმა დაგეგანა, რომ ეს შიში უსაფუძვლო იყო. საზოგადოებამ დაკამფოფილა ყველა საკადებულო ხარჯი და ზოგი ანა საკადებულო ხარჯიც გაისტუმრა, ისე უხვად შემოუვიდა მას ფული წელს, როგორც კერძო პირთაგან და საზოგადოებათაგან, ისე წვერთაგანც.

თუმცა ეს ასე იყო, თუმცა მმართველობას ანაეთარი თადარიგი ანა ჭქონდა დაჭერილი სასწავლო ნიუთებით და წიგნებით ხელი გაემართნა საქართველოს სკოლებისათვის უხვად, მანც ცოტ-ცოტად ხელს უმართავდა ისეთს სკოლებს, რომელიც მომართავდნენ ხოლმე მას ამ გარის თხოვნით. მაგ. მან გაუგზავნა საჭირო ნიუთები და წიგნები მესტიის სამრეკლო სკოლას სვანეთში, სადაც მ. ქურციკიძეს უგისრნია მომართვა სკოლისა და 20-მდე მოსწავლერ შეუკრეფია, ს. ხოკლევის სკოლას გორის მაზრაში, ლაილაშის სამრეკლო სკო-

ლას ლეჩხუმში, ამტნის ხეის სკოლას თიანეთის მაზრაში, თვით თიანეთის სკოლას და საჭიროებისამებრ ეგზავნებოდა დაუყოვნებლივ სამს სკოლას, რომელნიც საკუთრად დასაზოგადოებისა სკოლებად ითვლებიან: ბათუმისას, წინაჩხისას და თიანეთისას.

### საზოგადოების გამგებელნი მაზრებში.

რადგანაც საზოგადოების მმართველობა იმყოფება ქალაქში და არ აქვს შეძლება ერთის ადგილიდამ მისწვდეს საქართველოს (ეველას) სსვა-და-სსვა კუთხის საჭიროებს, წერა-კითხვისა და წიგნების გავრცელების საქმეში და აგრეთვე ეველას ამ საქმეების შესახებ, რომელნიც საზოგადოების მოვალეობას შეადგენს — მმართველობამ განიზრახა ამოიწიოს საიმედო პირნი გამგებლად საქართველოს სსვა-და-სსვა ადგილას. ამ აზრით მან აირჩია გეთილ-საიმედო პირნი ეველას მაზრებში და მისწვრა, რათა მათ ეტვირთათ საზოგადოების აგენტის მოვალეობის შესრულება. გამგებელთ უფლებათა და მოვალეობათა განსამართლებლად შესდგა მმართველობისაგან ისტრუქცია, რომელიც წერილებთან ერთად გაეგზავნა არსებული პირთ სახელმძღვანელოდ. ეს ინსტრუქცია მმართველობამ დაჭბუტდა კიდევ და თავისის შინაარსით წარმოადგენს შემდეგს მუხლებს: გამგებელმა უნდა აზრუნოს, რომ შეკმატოს საზოგადოებას სახლი წევრები, იგივე აზრუნავს საზოგადოების შეძლების გაძლიერებისათვის სსვა-და-სსვა ღონისძიებითა: წევრთაგან საწევრო ფულის მოკრეფით ყოველ წლივ, სპეკტაკლების და სსვა-და-სსვა გასართობი საღამოების გამართვით საზოგადოების სასარგებლოდ. მისსავე მოვალეობას შეადგენს სკოლების დაარსებაზედ აზრუნვაც და აგრეთვე დაარსებული სკოლების დახმარებაც და მათ მსუფულობის თვალ-ყურის ჭერა და სს. და სსვ., რაიცა თვით დაჭბუტდილ ინსტრუქციაში აღმოიკითხება დაწვრილებით და კრცლად.

შემოწირულებანი საზოგადოების სასარგებლოდ.

1) მის უგანათლებულესობისაგან სამეგრელოს მთავრის

ძის ნიგოლოზ დავითის-ძის მიერ საზოგადოებამ მიიღო ძვირფასი დიდი სურათი შოთა რუსთაველისა, ძვირფასი ჩაწიხთი შემეგული, 2) თ. გ. მახაბლისაგან დიდი სურათივე თამარ მეფისა, ჩანსთვისაც მმართველობა დიდს მადლობას უძღვნის ამ პირთ, ამას გარდა ბ. ადამიამ შემოსწირა ორი ოზმა საწერი ჭაღალდი № 6 და 7. ორი შუშა მეღანი, კალმები, კალმის ტარები და კარანდაშები, 4) ბ. დრეკინმა შემოსწირა აჩსენას ჭეჭსა 59 კგზ., თამარ ბატონიშვილი 30 კგზ., თ. რ. ერსთვის. თხზულებათა 1 ტომი 29, 5) ბ. ი. დავითაშვილმა შეაგროვა დურგლებში და საზოგადოებას შემოსწირა 30 სასაზავი, 6) თ. ი. ჭავჭავაძემ შემოსწირა საზოგადოების ბიბლიოთეკისთვის შემდეგი წიგნები: ა) Кавказъ въ памятникахъ христіанства, соч. Д. Бакрадзе, 1-ый выпускъ кавказскаго общества любителей исторіи и археологіи, б) Народное образованіе и народныя школы: ихъ современное положеніе и относящееся къ нимъ законодательство во всѣхъ государствахъ. გ) საქართველოს სამართსე, საბინისაგან დაბეჭდილი. 7) ბ. საბინისმა შემოსწირა ერთი ხელთაწერი წიგნი სახელად «სმა ცოდვილისა ღმრთისადმი», იამბიგოდ თქმული თ. გიორგი ავალოვის მიერ. გადაწერილი 1839 წ. მისკოკს. 8) მღ. ვ. კარბულაშვილმა შემოსწირა ერთი ნომერი ყურნაღის «ცისკრისა» 1852 წ. 9) ბ. ს. ვაწაძემ ხელნაწერი ჩინგის-გაენზედ.

### საზოგადოების ბიბლიოთეკა.

თუძნა ამ სახანგარშია წელს «საზოგადოების» ბიბლიოთეკის გასამატებლად არა იყო რა შარშანდელის სმეტით გადადებული, ისე რომ მმართველობამ ვერ შეიძინა ისეთი საჭირო წიგნებიც კი, როგორც არიან აკტები არჩეოვრამდის კომისიისა, მაგრამ მანც საზოგადოების წევრთა შორის აღმოჩინდნენ ისეთი პირნი, რომელთაც არ დაიშურეს შემოსაწირავად თითო-ორი წიგნები, როგორც ზევით მოკისსენიეთ, მაგრამ უკლავად უხვი შესაწირავი ძველის ხელნაწერებისა და

მანუსკრიპტებისა იყო შემოწირული აწ გარდაცვალებულის, სა-  
უგუნოდ მოსასწავლებლის ივანე იერონიმეს ძის ალექსეევ მეს-  
სიევისაგან. მან შემოსწირა წარსულის წლის სექტემბერში ანუ  
საანგარიშო წლის დამდეგს 55 მეული სელთაწერი წიგნი, რომ-  
ელთა შორის ბევრი ფრად საინტერესო და ძვირფასია ის-  
ტორიისა და ლიტერატურისათვის. ამ უხვი შემოწირულ-  
ბით ბევრი შექმატა ბიბლიოთეკა, ისე რომ დღეს 175 ცალის  
მაგიერად, კატალოგი უკვე 232 არის, სოლო თითო ცალ  
წიგნში სან რი და სან სამი სელთაწერია მოთავსებული;  
მაშასადამე სელთაწერთ რიცხვი 400-მდე აღის. დაბეჭდილი  
წიგნები 100 მეტია. სამწუსაროდ, კატალოგი ამ სელთაწე-  
რებისა და აგრეთვე დაბეჭდილ წიგნთა, თუმცა შედგენილია და  
ნომრებით მოსწავლებული, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერ დაბეჭდა  
მმართველობამ, რადგან შედგენილს კატალოგს შემოწმება და  
შესწორება ეჭირება მცოდნე და დახელოვნებულის პირისაგან.  
ამას გარდა კატალოგი შედგენილი უნდა იყოს მეცნიერული  
მეტოდით, სოლო რა ძნელია მეცნიერულის წესით ესრედ-წო-  
დებული კატალოგიზაცია მანუსკრიპტებისა, კრებას კარგად მო-  
ესწავება. ბ. დ. შ. ბაქრაძე დაპირებულია, რომ იგი იტვირ-  
თებს ამ საქმეს. თუ მან მოიცალა ჩვენის ბიბლიოთეკისათვის,  
მაშინ შეიძლება მისი კატალოგის დაბეჭდა ცალკე წიგნად,  
რისთვისაც სარჯი დაპირებისამებრ ივისრა შარშან წინვე სა-  
ზოგადო კრებაზედ ბ-ნმა იოსებ გრიგოლის-ძემ შეაქიშვილმა.

### ახალი წიგნების ბეჭედა.

მმართველობას საანგარიშო წლის განმავლობაში დასა-  
ბეჭდი წიგნი ბევრი მოუვიდა. წარსულ წლებშიაც მოუვიდა  
რარილ წიგნი, ასე რომ წიგნების ბეჭედის შესახებ მმართვე-  
ლობას შეუძლიან თავისი მოქმედება გააძლიეროს და გააფარ-  
თლოს. საჭირო სარჯიც ამ საგნისათვის ჯერ-ჯერობით საკმა-  
ოდ აქვს. 1000 მ. შემოწირული ქუთაისის საადგილ მამულს  
ბანკისაგან იმ პირობით, რომ ამ ფულთ სკოლაში საკითხავი  
წიგნები და საჭირო სახელმძღვანელონი დაბეჭდოს. ამ საგ-

ნისათვის მოუვიდა მმართველობას 500 მ. თ. ვ. მანხაღისა-  
გან, რომელიც მას ჰეტეროურგში მოუგრძედა ადგილობრივ  
წიგნის საბუქდავად, მაგრამ მათ უქონლობის გამო ეს თუელი  
«წერაკითხვის საზოგადოებას» გადმოსცა. დავასახელებთ შემდეგს  
წიგნებსა, რომლებიც დასაბუქდად მზად არის წელს:

1) რობინზონ კრუსო ასონტოკის რედაქტორობით გა-  
დაკეთებულა და შემოკლებული, თარგმანი ა. თუძანიშვილის-  
მიერ. ამ წიგნისთვის საჭირო კლიშეები მას უკვე შექმნილი  
აქვს ს. ჰეტეროურგის წერაკითხვის კომიტეტისაგან, რომელ-  
საც იგინი გამოართავ იმავე მხნე წევრმა საზოგადოებისამ თ.  
ვ. გ. მანხაღმა თავის საგუთარის ფასითა.

2) მეორე წიგნი, აგრეთვე დასაბუქდად გამზადებული  
არის მ. ქ. ყიფიანის-მიერ ნათარგმნი სახელმძღვანელო ფი-  
ზიკა, პრაქტ. გაოკლესა. ამ წიგნის რამდენიმე თაბასი უკვე  
დაბუქდილია.

3) მმართველობას აქვს მიხეილ ყიფიანის-მიერვე თარგმ-  
ნილი პირველ დაწყობითი სახელმძღვანელოები, რუსულად გად-  
მოღებულნი ანგლიურადამ ანტონოვიჩისაგან, რიცხვით 5:  
გეოგრაფია, ქიმია, ასტრონომია, ზოოლოგია და ბოტანიკა;  
მაგრამ ჯერ დასაბუქდად მომზადებულინი არ არიან.

4) ამას გარდა მმართველობას აქვს ჯერ დაბუქდისათვის  
მოუმზადებელი წიგნი: «О. PPOBЪ», ბროშიურა თარგმანი გ.  
შარაშიძისაგან და რობინზონ კრუსო ანენსკის რედაქციის გა-  
მოცემას რუსულად გავრცელებით და ქართულად ნათარგმნი რ.  
ჭაჭანაშვილის-მიერ. იმედია, რომ ხსენებულ სახელმძღვანელო-  
თაგან ნახუკარი მანც დაბუქდება მომავალი საანგარიშო წლის  
განმავლობაში.

### საზოგადოების შემოსავალი

წარსული წლის ანგარიშისა კასსაში იყო 2 მ. 91 კ., შემო-  
სავალი წევრებიდან 358 მ. 80 კ., წინარების და თანეთის  
საზოგადოებათაგან 850 მ., გასუიღული წიგნებიდან 64 მ.  
19 კ., ნანიშვილისგან უკან დაგვიბრუნდა 70 მ., გუბონებით

მგვილეთ 65 მ., ქუთაისის ბანკიდგან 1,000 მ., ბათუმის და თბილისის ბალებიდგან 803 მ. 90 კ., ბანკის უუღაბიდგან 4 მ. 72 კ.; კასილ გიორგის-მე მახაბლასაგან 500 მ., სულ 3,719 მ. 52 კ.

### გასავალი

ბათუმის სკოლასუდ დახარჯა 1,283 მ. 96 კ., წინა-რქხის სკოლასუდ 289 მ. 14 კ., თონეთის სკოლასუდ 406 მ. 66 კ., სტიპენდიანტებსუდ 288 მ., ჰარტების გასაკეთებელი 164 მ., წიგნების სუიდეისათვის 163 მ. 30 კ., წიგნების გადასათარგმნელად გასამრჯელო 40 მ., სეკრეტრის ჯამაგირი 600 მ., ქირა კანცელარიისა, გათბობა, განათება და მოსამსახურე 292 მ., წიგნების გასაგზავნი საკანცელარიო, დამოუღოდნელი ხარჯი 391 მ. 10 კ. სულ 3918 მ. 16 კ.

### 1884 წლის 15 მაისისთვის

გერჩება კასაში 253 მ. 36 კ., კომერციულს ბანკში 3,118 მ. 88 კ., ოცნ მომკები ბილეთი 4,000 მ., მუხრან-სკის ბანკის ბილეთი 1,000 მ., აღმოსავლეთის ბილეთი 300 მან., ბილეთით მოკებული ფული 500 მ., სულ 9,172 მ. 24 კ.

შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა მომავალის წლისათვის:

### I. მოსალოდნელი შემოსავალი.

1) 115 დამფუძნებელ წევრთაგან 2,300 მ. 2) 200 ნამდვილ წევრთაგან 1,200 მ., 3) სარგებელი საზოგადოების თანხისა 260 მ., 4) ბაღისაგან 600 მ., 5) ქუთაისის ბანკისაგან შესწირავი 1,000 მ., 6) საზოგადოების გამოცემათა გასუიდეისაგან 200 მ., 7) სპეკტაკლებისაგან და სხვა განუსაზღვრელ წყაროთაგან 1,000 მ., 8) ხელთუბნის სოფლის საზოგადოებისაგან 560 მ., 9) წინარქხის სოფლის საზოგადოებისაგან 500 მ., 10) თონეთის სოფლის საზოგადოებისაგან 300 მან. სულ 7,920 მან.



II. მოსალოდნელი გასავალი.

1) ბათუმის სკოლა 1,700 მ., 2) კანცელარიის ქირა და გათბობა და მოსამსახურე 300 მ., 3) სეკრეტარის ჯამაგირი 600 მ., 4) საკანცელარიო ხარჯისათვის 100 მ., 5) წინა-რეზის სკოლა 350 მ., 6) თონეთის სკოლა 350 მ., 7) სულთახის სკოლა 700 მ., 8) წიგნების დასაბეჭდათ 1,500 მ. 9) სასწავლო წიგნებისა და ნიუტების გასაგზავნად ღირებ სკოლებში 500 მ., 10) მოულოდნელი ხარჯი 500 მან. სულ 6,600.

თავმჯდომარის მაგიერი თ. ი. ბ. შავჭავაძე.

წევრნი: {  
  იაკობ ბოგებაშვილი.  
  თ. ი. მაჩაბელი.  
  ბიორგი მართველიშვილი.  
  ნ. ცხველაძე.  
  მლ. ღიმ. ჯანაშვილი.  
  თ. ბ. ბ. თუმანიშვილი.

საქმეთ-მწარმოებელი ბრ. ჟიფშიძე.

მისი წარმოება ჩვენს უკიდურეს სიღარიბესთან დაკავშირებით.  
— ლარიბი და ლაზაკი ლიტერატურული წარმოება მდიდარს  
და უბეს ლიტერატურულ წარმოებასთან ერთად ჩვენში.  
ისტორია და პოეზია. იაფნ თასის ისტორიკოსები. — გაზ.  
«კავკაზი» № 92. გაზ. «ახალი მიმოხილვა» № 136. სა-  
ქართველოს მოკლე ისტორია მ. ფანაშვილისა და ბიოგრა-  
ფი თ. გ. ერისთავისა. . . . .

**VII. შინაური მიმოხილვა**

დამატება:

**VIII.** ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცე-  
ლებელის საზოგადოების საქმეთა წარმოება  
1883 წ. 15 მაისიდან 1884 წ. 15 მაისამდე.

**IX** მასალა ისტორიისათვის. შემოკლებითი აღწერა  
საქართველოს შინა მცხოვრებთა თავადთა და  
ახსნაუროთა გვარებისა.

**XI** ბანცხადება (ყდაჩედ).

ამ წიგნისათვის დამხადებული «შინაური მიმოხილვა»  
სხვა წიგნებშიაც ვეღარ დაიბუღდება. რედ.

**რედამქციისაგან**

ვისაც «იუკრიის» სრული ფასი ჟურნალს წარმოუდგენია,  
დანაწიენი წიგნი უფრანლისა აღარ გაეკზინება.

რედ.

ნ 383  
1884

**განცხადება.**

ამა 1884 წელს ჟურნალს «იმერიანში» ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ მთელის წლით.

ფასი მთელის წლისა შვიდი მახათი.

ხელის-მოწერა მიიღება «ივერიის» რედაქციაში, სამონ-სონოვის ქუჩაზე, 1-ს კლასიკურის გამზაზის უკან, ნა-ზაროვის სახლებში, აგრეთვე შავკრდოვის სააგენტოში.

მუთაის ში, შილაძის მაღაზიაში.

ბათუმში, წარაკითხვის საზოგადოების სკოლის მას-წავლებელ მ. ნათაძესთან.

ქალაქს გარეშე ხელის-მომწერთ წერილი ჭ ფული შემ-დეგის ადრესით უნდა გამოგზავნონ:

**Въ Тифлисъ**

**Въ Редакцію журнала «ИВЕРІЯ»**

ვისაც ჟურნალი თავის დროზედ არ მიუვიდეს, ვთხოვთ, მალე აცნობოს რედაქციას.

რედაქტორი ილ. შამუგაძე.